დიდი ინკვიზიტორის მხატვრული სახე შილერს თანამედროვეობით და სრულად აქვს ასახული. გიორგი ტატიშვილმა ვერ შესძლო სათანადოდ გამოყვეთა ინკვიზიტორის შილერისეული სახე. როდის შესაქმნელად მსახიობი მხოლოდ მხას დაყვრდნო, ეს კი საკმარისი არ არის.

სპექტაკლში არის რამდენიმე დამხმარე პერსონაჟი, რომელთა უმუშაოდ არ მონაწილეობს კონლიქტში, მაგრამ სპექტაკლისთვის აუცილებელია. მათ შორის მთავარია უფროსი სეფეალი ჰერცოგინია ოლივარესი. მ. და-

ვითაშვილის ოლივარესი მკაცრია და პედანტი. სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი ეს როლი მეორე შემსრულებელს თ. თეარაძეს. მის მიერ განხორციელებული ოლივარესი გამოცდილი სეფეალია, რომელმაც კარგად იცის სასახლის ყველა წესი; იგი ყველაფერში ვრცვევა და მზად არის გულწრფელად ემსახუროს ახალგაზრდა დედოფალს. რომელია უფრო სწორი? ჩვენი აზრით, ორივე აქვს არსებობის უფლება, რადგან ორივე ინსახურებს მაყურებლის მოწონებას და ორგანულად ერწყმის სპექტაკლის სტრუქტურას.

კარგად უძღვებიან ეპიზოდურ როლებს მ. მახვილაძე (გრაფინია ფუხტესი) და ნ. მიქელაძე (მარკიზა მოდეკარი).

დამაჯრებელია და გულწრფელია დედოფლის პაეის როლი დ. იტავა.

ჩვენი მცირედი შენიშვნები საბოლოო ჯამში წუნს ვერ დიდებ იმ მაღალ აქტიურულ შემოქმედებას, რომლითაც სპექტაკლი ხასიათდება.

დიდი გემოვნებითა და მდიდარი ფანტაზიით გამოირჩევა სპექტაკლის მხატვრული გაფორმება. მაგრამ ეს მთავარი როდია. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მხატვარმა ფარნაოზ ლაბიაშვილმა თავისი ტალანტი მიმართა კოლექტიური საქმიანობისაკენ: მხარი აუბა რეჟისორის ჩანაფიქრს, სცენური ფართობის ათვისების დროს გათვალისწინა მსახიობის ლალი და თავისუფალი მოძრაობა სცენაზე, გადალახა სცენის ტექნიკის ზოგიერთი ჩამორჩენილობა (ზევიან ჩამოშვებული ჭაღი და სხვ.), რითაც ხელი შეუწყო სპექტაკლის დინამიურობასა და ლაივინობას.

სპექტაკლში ასევე მაღალ დონეზე დგას მუსიკალური გაფორმება. ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკა მრავალმხრივ განაპირობებს სპექტაკლის წინასიტყვის: რიტმულად აშუადებს სპექტაკლის თითოეული გარდატეხის მომენტს, ასაღებს მაყურებლის ყურადღების მიზილნაცავს — ფსიქოლოგიურად წინასწარ განაწესებს მას დრამატული ან ტრაგიკული მომენტის აღსაქმელად. ზედმეტი დაძაბულობის დროს შეგებს აძლევს, ასვენებს მაყურებელს. მუსიკა იმდენად ორგანულად არის სპექტაკლის სითრიალი მთავარი, რომ ხელს უწყობს მის მიზნითურ მთლიანობას.

როგორც ვხედავთ, რეჟისორმა სპექტაკლში ჭარბად გამოიყენა როგორც მხატვრობა, ისე მუსიკა, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა. მან აამტყვევლა ფერები (ფილიაპეს ამაღა სისხლისფერი განსაქმეობი არის შიშობისი, დედოფალი — თეთრი), სინათლე (დ. კობი. ნ. იონათამიშვილი), სცენური მოძრაობა (მელოდრისი, სასიამოვნო მოძრაობა ახასიათებს პოზსა და კარლოსის შეხვედრას, ფილიაპეს ამაღის თავზარდამცემი ფეხის ხმა გაისმის ზევიანად).

მაგრამ მთელი კოლექტივის შრომა ფუჭად ჩაივილია, რომ ყველა გამომსახველი სცენური ელემენტი სინთეზურად არ შედგებულყო ერთმანეთში.

ცხადია, ხელოვნების სხვადასხვა დარგთა სინთეზი რეჟისორმა გამოიყენა სპექტაკლის შინაარსსა და დედაზნრის რელიეფური გამოყვანისათვის.

ჩვენი განმარტების შემდეგ ცხადი ხდება, რომ სპექტაკლი სინთეტიკური ზუსტი აღმოცენდა. სწორედ ამ გზით, რომელსაც საფუძვლილი ჩაუყარა და დაამკვიდრა იმ თეატრის დიდმა მესვეურმა კოტე მარჯანიშვილმა. ამავეკვი მიგვიითებს სპექტაკლის ზეაწეული ტონი — მისი თეატრა-

ლობა, რაც ჩვენი ხელოვნების ნიშანთვისებად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ შევეცადეთ ობიექტური ანალიზი მოგვეყვას სპექტაკლისა, მაგრამ მისი საბოლოო შეფასება მაყურებელს მივანდოთ.

* * *

შედიხარ საესე დარბაზში, უკვირდები მაყურებლის სახეებს, სხედან ინერტულად, თავაჩინდრულნი. ჩანს, ვერ მოასწრეს დასვენება, ისე გამომეშურნენ თეატრისკენ.

გვეკვი გებადება: დაინტერესდება თუ არა მაყურებელი სპექტაკლით? იწყება მოქმედება, თვით ისე ხარ ჩართული სპექტაკლის მდინარებაში, მაყურებელი გავიწყდება. ხშირად გამოგაფხიზლებს მაყურებლის ერთსულოვანი ტაში. სპექტაკლი მიმდინარეობს თითქმის ოთხი საათის განმავლობაში, მაგრამ დრო მალე გადის. მაყურებელი დიდი ინტერესით ისმენს სპექტაკლს.

დამთავრდა სპექტაკლი. მაყურებელს არ ეჩქარება, სახეგარეწყინებულ, აღფრთოვანებული უკრავს ტაშს. დაბლილობა არ ემჩნევა. ინტერესობა დიდმა ინტერესმა შესცვალა. აი, სწორედ აქ გვახსენდება ნემროვიჩი-დანჩენკოს სიტყვები: „გრძელი ის კი არ არის, რაც ხანგრძლივია, გრძელი ის არის, რაც მოსაწყენია“.

შენიშვნები:

- 1 კ. მარტისი, ფ. ენგელსი. „ჩრეული წერილები“, საბ. ლიტგამი, 1949 წ., გვ. 14.
 - 2 В. Г. Белинский, «Избранные соч.», т. I, стр. 91.
 - 3 იქვე, გვ. 92.
 - 4 «Литературное наследство», М., 1932, кн. 3, стр. 18.
- 5 მალტის ორდენი — იონიტა ორდენი, რომლის წევრებისთვის დამახასიათებელი იყო ტირანთა დაყოფილება კეთილი საქმეების შესასრულებლად, რისთვისაც არ ზოგავდნენ არავითარ საშუალებას.

ფეოდალთა კლასობრივი იდეა

საზოგადოებრივი და პირადი უმთავრესი მიზანით

ავტორი ზურაბაშვილი

მუხამადი და, კერძოდ, მშობლების შესახებ სოციალურ-ფაქიოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები ისევე ძველია, როგორც თვით საკვლევი საგანი.

ცნობილია, რომ დარღვეული ოჯახი მრავალი მანკიერებისა და ავადმყოფობის უშუალო მიზეზია, ბავშვებისა და მოზარდობისათვის.

საქართველოს ისტორიაში ოჯახი წარმოდგენილია ერთი ბურჟაუ.

ანთროპოფსიქოლოგიური პრობლემათა შორის ოჯახს პირველი ადგილი უნდა დაეთოს.

ოჯახის პრობლემა ეს არის მშობელთა პრობლემა, მშობელთა და შვილთა პრობლემა... პრობლემა ჩვენი მტკიცე ტრადიციებისა და საიმედო მომავლისა. ოჯახი ის ბრძმე-დია, სადაც უნდა გამოიწრთოს ადამიანის, პიროვნების სოციალური არსის წინამძღვრები... მთავარი პრობლემა — ბავშვს არ მოაკლდეს დედის ალერსიანი სიყვარული და მამის ავტორიტეტული ზრუნვა.

ამასთან მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვის აწმყო-სა და მომავალში წამყვანია დედა, რომელიც მოწოდებულია თავისი ყრმა არა მარტო გაზარდოს, არამედ აღზარდოს კიდევ და მამულს მისცეს მოვალეობის, ნდობის, სინდისის უჭკნობი გრძნობებით აღვსილი, პატრიოტიზმის უჭრობი ცვეცხლით ანთებული ღირსეული შვილი.

დედის დანიშნულება იზრდება კიდევ იმ ჩარეობებით, რომ ბავშვი მეტად რთული არსებაა, რომელიც ჩველი

ასაკში, განსაკუთრებით ლატაკაციის (ძუძუს წოვების) პერიოდში, დედასთან ერთ მთლიანობას წარმოადგენს... მთლიანობას ბიოლოგიურად (დედის რძესთან ერთად იგი იღებს დამცველ იმუნოლოგიურ ფაქტორებს) და სოციალურ-ფსიქოლოგიურად. ჩვენი გამოკვლევების თანახმად, ბავშვის პიროვნების საწყისი უნდა ვეძიოთ ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკში. ხოლო ერთ-ერთი გამოჩენილი ფსიქოლოგის აზრით, მონაკვეთი ბავშვის დაბადებიდან, ე. ი. ნოლ ასაკიდან ერთ წლამდე, უფრო რთულია თავისი სრულყოფის საფეხურებით, ვიდრე პერიოდი ერთი წლიდან ნოუტონამდე. ჩვილის სულიერი არსი მარტო ქვეცნობიერი მიზანძიოთ არ ამოიწურება; აქ ჩვენ საქმე გვაქვს პიროვნების გარეგანგებთან, აისთან, როდესაც ვითარდება და ყალიბდება სიყვარულის, სათნოების, სიკეთის, სიხარულისა და თანაგრძნობის მაღალი, ვიტყოდი, წმიდა ემოციება, სწორედ ამ ნაადრევი ასაკიდან იწყება ილიასეული კაცურკაცობა...

ამიტომ ბავშვის სისწორე თუ სიმრუდე, სიფაქიზე თუ მანკიერება, სიბეჯითე თუ სიზარმაცე, სიკეთე თუ სიბოროტე, დიდბუნებოვანება თუ კაცუნობა, გმირობა თუ უგვანობა, სიქველე თუ სიძუნწე, ვაჟკაციური თავდადება თუ სასიარტო სიმშდელე მტკიცედ არის დაკავშირებული დედის ნანასთან და მის მიერ თეთრად გათენებულ ლამებთან. დედის ბედნიერება უსაზღვრო და სანეტაროა, როდესაც ბავშვი ღირსეულ მოქალაქედ ყალიბდება. დეობა ყველაზე მაღალი ცნებაა, რაც შეიძლება ადამიანმა წარმიოდ-

გინის; ხოლო სიყვარული და პატივისცემა დედისადმი რაიმე სხვა ემოციასთან შეუდარებელი განცდაა.

ჯერ კიდევ ბავშვობაში მშხმინა ხალხური ტექსა: შვილ-მა დედისათვის უბო-კვერცხი რომ შეიწუვას თვისიგულზე, მიიჭ ვერ გადაიხდის მის ამავსო. ასეთი გამოთქმა საბუ-თია იმისა, თუ როდენ აფასებს ხალხი დედობას და რაოდენ სწამს იგი.

ბუნებაში ყველაზე მაღალი იდეალი დედობაა. ამ დედობის განსხვავება მთელ საუკუნის მესამე მეო-თხეში განსაკუთრებულად საჭირო ხდება, ვინაიდან ცხოვ-რების ზოგადი ტემპი, ტექნიკის სიჭარბე და აგრეთვე ზო-გიერთი მიჯნოსიოლოგიური პირობა ქმნის ერთგვარ ვი-თარებას, როდესაც დედას ფრთები ეკვეციება თავისი და-ინიშნულების სათანადოდ შესრულებისათვის... ასეთ შემთხ-ვევაში ნებისთ თუ უნებლიეთ ზიანდება დედობა და ფსი-ქოლოგიური შინაარსის მხრივ ძაბუნდება.

დედობის ცნება, როგორც ემოციური განცდა, ყალიბდებ-ბა პიროვნების დონეზე და ამიტომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ დიდად მნიშვნელოვან და მანდლოსისათვის წამ-ყვე პერსონოლოგიურ კატეგორიას.

დედობის შესახებ უამრავი მასალა არსებობს უძველესი დროიდან დღემდე, რომლებშიც პრობლემა გაშუქებულია მრავალ ასპექტში (სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ეკო-ნომიურ, ბიოლოგიურ და ასე შემდეგ შუქზე); მაგრამ დე-დობის ცნების პერსონოლოგიური ახალბის მოიხივს გა-დაუდებელ კვლევას, რადგან ჩვენს ხანაში დონორლო-გიური ფსიქოპათიებისა და ფსიქოპათოფილაქტიკის (ე. ი. სოციალიზმის, ნდობის, შრომისა და სინდისის) საკითხები უშუალოდ დაკავშირებულია დედის პიროვნების თვისე-ბებითა. მხედველობაში მაქვს პიროვნების ძალა, შესაძ-ლებლობა, სიფაქიზე, სიმაღლე, ვაწწყობა და მიმართება.

დედობის პერსონოლოგიის კვლევისას, მსგავსად სხვა პერსონოლოგიურ პრობლემათა შესწავლისა, ექსპერიმენ-ტული ფსიქოლოგიის შესაძლებლობაში გარკვეულად შემო-ფარგული და ლიმიტირებულია. აქ საჭიროა მივმართოთ იმ ფსიქოლოგიურ მასალებს, რომლებსაც გვაწოდის მხატვ-რული ლიტერატურა და ხელოვნების სხვადასხვა დარგი, იქნება ეს მხატვრობა თუ მუსიკა.

დედა საკითხი მცენარეული ფსიქოლოგიისა და ფერწერითი მხატვრული ფსიქოლოგიისა შერწყმედ დებითი სიმბოლოსის საჭიროებებისა და სარგებლიანობის შესახებ.

ამ მხრივ დედობის ცნების პერსონოლოგიური განხილ-ვისათვის განსაკუთრებულად საინტერესოა გენიალური მხატვრობის — რაფაელის და ლეონარდო და ვინჩის უკუ-დავი შემოქმედების, პირველ რიგში, მათ მიერ შემქმნილი მანდილოსნის (მადონას) ღრმა და დაკვირვებული ფსი-ქოლოგიური გააზრება.

სხეულები მასალა წარმოადგენს ფასდაუდებელ წყაროს დედისა და ბავშვის სულიერი სამყაროს გაცნობიერებისათ-ვის.

მარტო ფსიქოლოგიური ასპექტიც რომ ავიღოთ, აღნიშ-ნული ნაწარმოებების შესახებ არსებობს მდიდარი ლიტე-რატურა. მაგრამ ხშირად პრობლემის ძიება ვერ სცილდებ-ბა ვიწრო რელიგიურ ბურუსს, რაც, ცხადია, ასუსტებს და აუფერულებს გენიალური შემოქმედების არსებით შესაძ-ლებლობას და მხატვრული ხატის ნამდვილ შინაარსს.

გასაგებია და ბუნებრივი, რომ იმ დროს მადონას ავ-ტორს ექნებოდა სარწმუნოებრივი განწყობა და მისი ფსი-ქოლოგიური განცდა გაიშლიბოდა რელიგიური აბსტრაქ-ციის ფონზე, ხოლო შემოქმედებითი ჩანაფიქრი ასცდებო-

და ყოველსავე მიწიერს და მხატვრული ფანტაზია წარი-მართობდა ზეციერისაკენ.

როგორც ვიცი, გენიალური შემოქმედება თავისას აღ-წევს. იგი არ შეიძლება შეიზღუდოს და შემოიფარგლოს. ამ მხრივ ყოველ გენიალურ ნაწარმოებს აქვს თავისი არსე-ბითი აზრი, მნიშვნელობა და მანიშნულება, რასაც მდ-ლეობებით იყენებს მომავალი თაობა...

საჭიროა მხოლოდ მოისინას რელიგიური ბურუსი და მთელი თავისი სიკაშვებით გამომწუვრდეს ფსიქოლოგიურ-რი განცდისა თუ აღქმის ნამდვილი, მოქალაქობრივი ღი-რებულება.

ჩვენი მზანია ამ ორი გენიის მიერ შექმნილი სურათე-ბის — მადონას* პერსონოლოგიური განკვრება, რაც შე-საძლებლობას მოგვცემს ახლებურად, პიროვნების მაღალ დონეზე შევისწავლოთ დედისა და ბავშვის ურთულები სუ-ლიური სამყარო და ამით დედობის ცნება განვიხილოთ თა-ნამედროვე ასპექტში, როგორც პერსონოლოგიური პრობ-ლემა.

როგორც რაფაელი, ისე ლეონარდო და ვინჩი ოჯახს, დედობის და ბავშვს განხილავენ ერთ მილიან და გა-ნუსურულ კატეგორიად.

რაფაელის მადონა კეთილი საქმის, სიკეთისა და სათნო გრძნობების განსახიერებაა, რაც თავს იყრის ჩვილი ბავშ-ვის აწყვასა და მომავლის გარშნის. ჩვეულებრივად, ძლი-ერი, აღურსიხავი სიყვარული ქმნის ანტიბიორ (კონტ-რასტულად მოწინააღმდეგე) ფსიქოლოგიურ კვანძს — ერთდროულად არსებულ სიხარულსა და შიშს. მხედველო-ბაში მაქვს რთული ემოციური ვითარება, როდესაც დე-დის სიხარულს ეფენება შესაძლებლობის შიში — ჩემს სასიქაღულო სიხსლსა და ხორცს რაიმე არ დამამართოს. ამიტომ, ერთსა და იმავე დროს მადონა კიდევ ლოცუ-ლობს ბავშვისათვის და კიდევ ლოცავს მას.

ხალხურ ფსიქოლოგიაში (ყოველ შემთხვევაში, საქრთ-ველოში) ცნობილია შემთხვევები, როცა საყვარელი საბრ-ბის ყოველგვარი ხიფათისაგან დასაზღვევად და მოსა-ლოდნელი საშიშროებისაგან გასათავისუფლებლად ბავშვს აჩქვევენ ერთგვარად დამამიყრებელი შინაარსის მჭინე სახელს: „გონჯა“, „გლახა“, „გლახიკო“, „უბედო“ და ასე შემდეგ.

გარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ანტიბიორი გა-მოყლინება (ემოციური, ინტელექტუალური თუ, ნებითი ხასიათისა) მიმდინარეობს პრობლემა რევისტრების დო-ნეზე.

მადონას სახეზე ერთდროულად ორ საწინააღმდეგო გა-მომეტყველებას — სიხარულსა და კავშანს, გამყოფილებასა და შიშს აღვიქვამთ. ამავე დროს მხოლოდ ერთად, რომ რაფაელის მადონაზე დედისა და ბავშვის ცნობაშიაღმ-ბი მიმართული ემოციები სიყვარულის ერთ მილიან სიმ-ფონისა წარმოადგენენ.

სხეულები სურათზე, როგორც დედას, ასევე შვილს უქი-რავთ წივირ, რომელიც გვეხატება დედისა და ბავშვისათ-ვის საჭირო და სავადმებულო მორალურ კოდებსად. აქ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ დედა ერთდროულად, ყურადღების თანაბარი დაძაბვით უტყვიის ბავშვსა და ცხოვრების კოდებს.

თუმცა ბავშვის ხედვა მიმართულია მხოლოდ კოდექსისა-კენ, მაგრამ იგი მარჯვენა იდეატი შეივრანობს დედის მა-ჯას, ხოლო მარჯვენა ფეხით (ბარძაღისა და ტრფივი) — დედის მარცხენა მაჯას.

* აღნიშნული გენიალური ნაწარმოებები დაცულია ლენინ-გრაის ერმიტაჟში.

ამავე დროს მარცხენა ხელი მოხრილია და იქნება შთაბეჭდილება, თითქმის ბავშვი ცდილობს მიიღოს დედის ალურსი, ზრუნვა და სიყვარული. მარცხენა ფეხით ბავშვი ცდილობს ნაწილობრივ მაინც მიკვარს საყვარელი დედის სხეულს.

ამგვარად, რაფაელის თანახმად, დედისა და ბავშვის ემოციურ ერთიანობას თან ერთვის მათი ფიზიკური ერთიანობა.

რაფაელის მადონა არამარტო ლოცავს ბავშვს და ფიქრობს მის მომავალზე, არამედ იგი გასხივისხებულია ახალი სწრაფით — ფიცი დადოს მორალური კოდექსის წინაშე, რომ იგი იღებს ბავშვის გაზრდისა და აღზრდის ვალდებულებას.

მადონა წარმოდგენილია მშვიდსა და წყნარ სიტუაციაში. სურათზე ვხედავთ ცისფერ გარემოს, ცისფერ ზედა სამოსს და აგრეთვე ამავე ფერის მორალურ კოდექსს (წიგნს).

ყოველივე ამით გენიალური რაფაელი გადმოგვცემს დიდ სიმშვიდის, სულიერი გარდაქმნისა და სასიხარულო მადლობის ვითარებას.

დედობისათვის სავალდებულო სიმშვიდესა და სიწყნარეზე მიჯანბრებას ლეონარდო და ვინჩის გენიაც. მის მადონაზე ჭარბობს მშვიდი ფერი. აქ ბუნება (ცა და დედამიწა), ორი ფანჯარა და კაბა ცისფერია.

ორივე მადონას ზოგადი სიხარულის სიმფონია გულისხმობს ერთმანეთისადმი მიმართულ ალურსს, ხოლო დედის სასიამოვნო განცდა შეადგენს მისი ყოფიერების მიზანს.

ორივე შემთხვევაში შიშველი ბავშვის სურათი სიმშობლურად გვაფორბილებს: შვილი ისე ატეხავდნო, რომ იგი იყოს ყოველმხრივ ფაქიზი, სუფთა, პატოსანი და მოხვედრის გრძობისაგან აბსოლუტურად თავისუფალი.

რაფაელის მადონა აღესილია დიდი სიკეთითა და არა სიმდიდრით. მისი მატერიალური დოვლათია უზრალო კაბა და ასევე უზრალო ქამარი; სამაგიეროდ, კეთილი საქმენი და დაჭინული მისწრაფება სიკეთისადმი მისი ყოფიერების დედაძარღვია.

შიშველი ბავშვის სურათს გადმოგვცემს ლეონარდო და ვინჩიც ყოველგვარი სიმდიდრისა და ოქროს გარეშე. აქ ოქრო კი არ არის მთავარი, არამედ ჩვილის ადამიანობა. ჩვილის შეგრძნება დედისთვის დიდი ნეტარებაა, რასაც ევრაეითარი სიხარული და კმაყოფილება გრძნობა ვერ შეეძრება. არავითარ ძალას არ შეუძლია აპეთი ნეტარების დამარცხება.

ლეონარდო და ვინჩი გადმოგვცემს დედის რძის შინაარსისა და ძალის მნიშვნელობას. დედის რძე ჯანმრთელი სხეულია და ამავე დროს მორალური ძალის საწინდარია. გრწმუნდებით, რომ ჯანმრთელ სხეულში იქნება ჯანმრთელი სული...

ბავშვს სიამოვნებით უჭირავს დედის ძუძუ. ქვეშევსეულად სჯერა თავისი ძალა და მტკიცედ უკმერის თავის ბედნიერ და შინაარსიან მომავალს. ვხედავთ, რომ ბუნებაში ცოცხალი სამყარო (მცენარე თუ ცხოველი) მოძრაობს, დინამიკაში იმყოფება. რაფაელის ქმნილებაში გადმოცემულია მდინარე, რომელიც იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ცხოვრება მიმდინარეა, მაგრამ იგი სუფთა და წმინდაა და ასეთადაც უნდა დარჩეს.

რაფაელისა და ლეონარდოს თანახმად დედობა ცოცხალი, დინამიკური ბუნების იდეალია, რომელიც ამავე დროს არის მომავალი ჯეჯილის საწყისიცა და მკვებავი წყაროც.

მარტინელი და ბულგარელი ხუროთმოძღვრების მიერ არქიტექტურული სამეცნიერო თემის ერთობლივად დამუშავება 1969 წლიდან დაიწყო, რის შედეგადაც საკანგებო რეკომენდაციები გამოიცემა ზღვისპირა საკურორტო ნაგებობათა დაპროექტებასა და მშენებლობაზე მომუშავე სპეციოლოგებისათვის. ამ თემის დამუშავებაში საქართველოდან მონაწილეობდნენ თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სპაროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები, არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატები გივი ბერიძე და ნოდარ მგალობლიშვილი, არქიტექტორი ვასტანგ აბრამიშვილი და სხვები.

დიდალი მასალიდან, რომელიც ბულგარეთის კურორტების პროექტირებასა და მშენებლობის შესახებ არის შეჯროვილი, ვაქვეყნებთ ზოგაერთ საინტერესო ცნობას ბოლო წლებში ამენებულ საკურორტო კომპლექსებზე.

სიხარული ბულგარეთის პრაპტიკილან


ახალი საკურორტო

კოვალეხები

უაჟი გლვის

სანაპიროვა

გივი ბერიძე, ნოდარ მგალობლიშვილი



საკურორტო კომპლექსი „ალბენა“.

ბულბარში საოცრად ლამაზი ქვეყანაა, სადაც საუცხოოდაა შერწყმული ძველი სუროთმოდებების ლაზათიანი ძეგლები და უახლესი არქიტექტურის სადა ნაგებობანი.

საქართველოს მსგავსად, ბულგარეთის ცხოველსაბჭული ლანდშაფტი, ბუნებითა და ჰავით მრავალფეროვანია და განაპირობებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, რომელთა შორის მნიშვნელოვანია კურორტების მშენებლობა და ექსპლუატაცია.

ეს თვალწარმატაცი კუთხე მოფენილია კურორტებით. აქ არის ბალნეოლოგიური, სტალაზო, კლიმატური, საშუალო და მაღალმთიანი, აგრეთვე ზღვის კურორტები. ბულგარეთის შედარებით მცირე ტერიტორიაზე (110 ათასი კვადრატული კილომეტრი) აღმოჩენილია დაახლოებით 500 სრულიად სხვადასხვა ფიზიკური ხასიათისა და ქიმიური შემადგენლობის მინერალური წყარო. ამ ქვეყნის ზოგიერთ რაიონზე უდიდეს გავლენას ახდენენ მთები და მთის მასივები, რომელთაც საერთო ტერიტორიის მეოთხედზე მეტი უკავიათ. მაღალმთიან კლიმატურ რაიონებში გრილი ჰავა და იქმნება მთის შესანიშნავი კურორტები, მაგრამ გადაშწყვეტ გავლენას ჰავაზე ახდენს შავი ზღვა. მისი სანაპიროებისათვის დამახასიათებელია რბილი ზამთარი. შედარებით გრილი ზაფხული და გახანგრძლივებული, სასიამოვნო შემოდგომა.

დღესდღეობით ბულგარეთში მოქმედებს 140 საკურორტო და სამეურნელო ადგილი, აქედან 25 რესპუბლიკური მნიშვნელობისაა. მთის კლიმატური კურორტები განლაგებულია უმთავრესად რილასა და როდოპის მთებში (700-1600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან). ზღვის კლიმატური კურორტები მთელი რიგი შესანიშნავი, თანამედროვე ნაგებობებითა, რომლებიც განლაგებული არიან შავი ზღვის სანაპიროზე.

ინტენსიურმა საკურორტო მშენებლობამ შავი ზღვის სხვადასხვა რაიონში და საერთაშორისო ტურისტების მძაფრმა განვითარებამ ხელი შეუწყო დიდი საკურორტო მასივების შექმნას მთელ სანაპიროზე. აღსანიშნავია, რომ ეს მასივები შეიქმნა არა სტიქიურად, არამედ კარგად მოფიქრებული პროექტების საფუძველზე, რის გამოც ბევრმა მათგანმა მსოფლიო აღიარებაც პოვა. განსაკუთრე-

ბით პოპულარულია „ზღაჩნი პასიცი“ (ოქროს ქვიშრობი), „სლიჩნე ბრიაგი“ (მზიური ნაპირი), „დრუბა“, „ალბენა“ და „რუსალკა“.

სამჭოთა პერიოდულ და სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ იყო გარჩეული საკურორტო კომპლექსების „ოქროს ქვიშრობის“, „მზიური ნაპირის“ და „მეგობრობის“ გეგმარება და არქიტექტურა.* ეს კურორტები უკვე ათეული წელია, რაც დამსვენებლებს მსოფლიოს თითქმის ყოველი მხრიდან იზიდავენ. აღნიშნულმა კომპლექსებმა დამსახურებულად ჩააყენეს ბულგარეთი ევროპის დიდად განვითარებული ტურისტული ქვეყნების რიგში.

უკანასკნელ წლებში, საკურორტო მშენებლობის ტემპებმა და მასშტაბების გაზრდასთან დაკავშირებით, შეიქმნა ნაგებობათა აღმართვაში ინდუსტრიული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული საკურორტო კომპლექსები „ალბენა“ და „რუსალკა“. ფართო ურადლების ღირსია „მზიური ნაპირის“ ბოლო რიგის ოტელ „კონტინენტალების“ კომპლექსების მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს ეროვნული და თანამედროვე ფორმების თავისებური ინტერპრეტაციის გაბედულ და ინტეტურ ცდას.

„ალბენა“

იგი ქალაქ ბალნიკიდან სამხრეთით მდებარეობს და დაახლოებით ხუთ კილომეტრზეა გაშლილი დიდი საკურორტო კომპლექსის მშენებლობა. მომავალში აქ ერთდროულად დაისვენებს 10 ათასი კაცი. მასშტაბისათვის მოვიგონოთ, რომ ბიჭვინთის დასახვეწებულ კომპლექსში ერთდროულად 3 ათასი კაცი ეტევა. „ალბენას“ პროექტი და-

* იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 11, 1964 წ. არქიტექტორი თ. კირაკველია. „შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე“.



საკურორტო კომპლექსი „რუსალკა“

მუშავდა სოფლის ტიპიზაციისა და ინდუსტრიული მშენებლობის სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტში, არქიტექტორ ნიკოლა ნენოვისა და ინჟინერ არქიტარგოვის ხელმძღვანელობით.

კომპლექსი აშენებულია ბორცვებით გარშემორტყმულ ულამაზეს ველზე, რომელსაც ხუთი კილომეტრის სიგრძის პლაჟი ამშვენებს. აქვეა აგრეთვე ტყის დიდი მასივი „ბალაბა“, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან პირდაპირ ზღვას უერთდება. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია როგორც ველის, ისე მიმდებარე მალღობების განაშენიანება.

საკურორტო კომპლექსში ჩაფიქრებულია სხვადასხვა-სართულიან შენობათა რამდენიმე ჯგუფის ცხოველხატკული კომპოზიცია. ეს ჯგუფები ქმნიან ნახევრად გახსნილ მეტად საინტერესო სივრცეებს. აქ განლაგებულია სხვადასხვა ტიპის საძილე კორპუსები, რესტორნები, ბარები... ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი საჯაჭრო ცენტრები.

„ალბენას“ კომპლექსში შედის სასტუმროების 10 ჯგუფი — პირველი, მეორე და „ლუქს“ კატეგორიისა, გარდა ამისა — 20 რესტორანი და 16 სხვადასხვა დასასვენებელი დაწესებულება 11.680 ადგილით. დაუკვირდით ამ მეტად საგულისხმო რიცხვს, უფრო სწორად, შეფარდებას: ათი ათასი დამსვენებლის განჯარვულებაში იქნება თორმეტ ათასამდე ადგილი და ეს, როგორც ჩვენი ბუნება გარეული კოლეგები გვარწმუნებენ, საკვადებულოა. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპლექსში შედის საჯაჭრო ცენტრები უნივერსალური მალთაჩიებითა და პაცილიონებით, დახურული და ღია კინოთეატრებით (შესაბამისად 500 და 1000 ადგილით), საბავშვო ბაქნები, სამედიცინო მომსახურების კომპლექსი და ა. შ.

საკურორტო კომპლექსის მშენებლობა უმთავრესად ინდუსტრიული მეთოდებით მიმდინარეობს, რითვისაც დამუშავებული იყო სპეციალური კატალოგი, როგორც რკინა-ბეტონის ნაკეთობების, ასევე საძილე კორპუსების სექციებისთვის.

საძილე კორპუსებში ოთახები დაპროექტებულია უმთავრესად 12 კვადრატული მეტრის ფართით. ყოველ ოთახთან, განურჩევლად კატეგორიისა, არის საკუთარი სანკანანი

პირსაბანით, აბაზანისა და სხვა საჭირო ელემენტებით. ოთახის სიმაღლე იატაკიდან ჰერამდე 2,6 მეტრია.

საძილე კორპუსები აშენებულია მთლიანად რკინა-ბეტონის ანაკრები მსხვილი პანელისაგან, რომელთაც არ სჭირდება თბოიზოლაცია, რადგან კურორტი ექსპლუატაციაშია მხოლოდ ზაფხულობით. რესტორნების, ბარების, საჯაჭრო ცენტრებისა და სხვა ნაკეთობებისათვის, რომელთაც დიდმალიანი სივრცეები სჭირდებათ, იხმარება ლითონის ან რკინა-ბეტონის მონოლითური კონსტრუქციები.

საკურორტო კომპლექს „ალბენას“ მშენებლობა ბუნება გარეული არქიტექტორების, ინჟინრებისა და მშენებლების მნიშვნელოვანი წარმატებაა საკურორტო მშენებლობისა და ინდუსტრიული მეთოდების დანერგვაში. უფრო მეტიც, „ალბენას“ გვეკლინება ბრწყინვალე მაგალითად, რომელმაც გააბათილა არქიტექტორთა ერთ ნაწილში გავრცელებული მცდარი აზრი, თითქოს შეუთავსებელი იყოს ერთმანეთთან ინდუსტრიული მეთოდები და ავტორ-ხელოთმძღვრის ინდივიდუალური მანერა. შეიძლება ითქვას, რომ მსხვილპანელთაგანმა ელემენტებმა გაამდიდრეს მხატვრის პალიტრა და ავტორებს გარკვეული იდეები და ადაწვევებიც უკარნახეს. ბუნებრივია, რომ პანელები მხოლოდ საშუალებებია, ხოლო ცხოველხატული ლანდშაფტი, მუხანე ტყე და ბორცვები, ლურჯი ცა და ზღვა, ოქროსფერი ქვიშა — მხოლოდ სიტუაცია. რა თქმა უნდა, მთელი კომპოზიციის გამარჯვება ავტორების შემოქმედებით ოსტატობაზე, გამბედაობაზე და უსაღო გემოვნებაზე მეტყველებს.

„რუსალკა“

მეორე, შედარებით მცირე საკურორტო კომპლექსი, რომელსაც ფრჩხად საინტერესო პოეტური სახელი „რუსალკა“ დაერქვა, განლაგებულია ულამაზეს ადგილას, ე. წ. „ფრივენლოთა ყურეში“ (ქალაქ ბაღრიკის აღმოსავლეთით, დაახლოებით 30 კილომეტრზე). ამ კომპლექსში ერთდროულად ათასზე ოდნავ მეტი დამსვენებელი ეტყვა. კომპლექსი აშენებულია საფრანგეთის მთავრობის დაკვეთითა და მისივე სახსრებით, ამ პირობით, რომ 10 წლის ექსპლუატაციის შემდეგ მთელი კურორტი, თავისი აღჭურ-



სასტუმრო „კონტინენტალის“ ერთი წვერივი საკურორტო კომპლექსში „მზიური ნაპირი“

ვილობით უსასყიდლოდ გადაეცეს ბულგარეთს. ფრანგმა სპეციალისტებმა წარმოადგინეს საპროექტო პირობები, ხოლო პროექტი ბულგარელ ავტორთა კოლექტივის მიერ დამუშავდა. პროექტირებას ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა არქიტექტორი მარინ მარინოვი.


საკურორტო კომპლექსს „რუსალკას“ პროექტის დამუშავებისა და განხორციელებისათვის არქიტექტორ მარინ მარინოვს ბულგარეთის მთავრობამ დიმიტროვის სახელობის სახელმწიფო პრემია მიანიჭა.


კლდოვანი, ლამაზად დანეხილი ნაპირები, დაბორცვილი, დაახლოებით 10 კექტარინი ფართობი, პლაჟების აბსოლუტური უკმარობა, ზღვასთან მოახლოებული მადლობლი — აი, ის კომპონენტები, რომლებმაც „რუსალკას“ კომპლექსის სპეციფიკური დაგეგმარება განაპირობეს. ავ-

ტორებმა საინტერესოდ განალაგეს ტერასებზე კოტეჯების ტიპის დასასვენებელი სახლები, კარგად მოარგეს რთულ რელიეფს ხელოვნურად ოდნავ დანაწევრებული, სინკოპირებული კომპოზიცია; ზუსტად მოძებნეს მხატვრული სახე, ოსტატურად შეუფარდეს საამშენებლო მასალები ერთმანეთს და შექმნეს მთლიანი და ფრიალ შიამბეჭდავი მოცულობით-გეგმარებითი ანსამბლი.

კურორტის განაშენიანებაში გატარებულია მკაფიო ფუნქციონალური ზონირება. ზღვაში შეჭრილ კლდოვან კონცხზე განლაგებულია რესტორანი-ბარი. აქვეა ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრი, სპორტული ბაქნები. ნაკვეთის სიღრმეში (სხვადასხვა დონეზე) ტერასულად არის გაფენილი საცხოვრებელი ზონა ორი ტიპის კოტეჯებით — ერთ და ოროთახიანი კეთილმოწყობილი ნომრებით.

რესტორანი-ბარი





საკურორტო კომპლექსი „ალბანა“

„სლინჩიხ ბრიადი“

რელიეფთან შერწყმული, სხვადასხვანაირად დაჯგუფებული ეს კოტეჯები ქმნიან ცხოველბატულ და მრავალპლანიან კომპოზიციას. ნაირ სიმაღლეზე განლაგებული ტერასები ერთმანეთს კიბეებით, ბილიკებითა და გადასასვლელებით უკავშირდებიან.

კლდოვანი ნაპირი სრულიად მოკლებულია ბუნებრივ პლაჟებს და ავტორებმაც გონებაამახვილურად გადაჭრეს ეს პრობლემა. მათ ტერასებზე შექმნეს ხელოვნური პლაჟები, ჩრდილის შემქმნელი ქოლგები და ჩარდახებით. ქვიშის ბრტყელი, სხვადასხვა დიამეტრის წრეები სხვადასხვა დონეზე მოხდენილად ჩაეწერა ეგზოტიკურ კლდოვან რელიეფში.

საინტერესოა პატარა კოტეჯების — ბუნგალოების არქიტექტურული გადაწყვეტა. ბუნგალოების ბლოკირებამ ერთიანი კომპლექსის განუყოფელი შთაბეჭდილება შექმნა.

დიდი ფანტაზიითაა დაპროექტებული რესტორანი-ბარი. სრულიად თავისუფლადაა გადაწყვეტილი გეგმა და ამავდროს შესატანა დაკული ცალკეულ სათავსოთა ფუნქციონალური კომუნიკაციები. ინტერიერებში ფართოდაა გამოყენებული დამუშავებული ხის მასალა, ქვა, ბეტონი, გადახურვის დახრილმა სიბრტყეებმა და აივნებამა კომპლექსს მთელ კომპოზიციას ორიგინალური და დასამსხვრებელი იერი მისცა. ეს შენობა მთელი კომპლექსის საზოგადოებრივ და კომპოზიციურ ცენტრად გადაიქცა.

ექვს გარეშა, რომ კომპლექსი „რუსალკა“ ფრიად საინტერესო მოვლენაა საკურორტო მშენებლობაში. მისი წარმატება რელიეფის ოსტატურმა გამოყენებამ, ბუნებისა და არქიტექტურის პარამონიულმა შერწყმამ განაპირობა, რაც მიღწეულია თითქოსდა უბრალო მოცულობით-გეგმარებითი კომპოზიციური გადაწყვეტით. ამავდროს აქ არის ხასხურისა და თანამედროვეობის, ფუნქციისა და ესთეტიკის უკომპრომისო შეფარდება.

ვეროსაში ერთ-ერთი უდიდესი საკურორტო კომპლექსის — „მზიური ნაპირის“ პროექტი დამუშავებულია არქიტექტორ ნიკოლა ნიკოლოვის ხელმძღვანელობით.

კომპლექსი განლაგებულია რამდენიმე კილომეტრზე უძველეს ქალაქ-მუზეუმ ნესებრიდან.

ამჟამად „მზიური ნაპირი“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული კურორტია შვედეთში. მისი ერთდროული ტევადობა 20 ათას ადგილს უდრის, მომავალში კი 30 ათასამდე გაიზრდება. კომპლექსის საერთო ფართი თითქმის 250 ჰექტარს აღწევს. ყოველ დამსვენებელზე ნაწარბიშვია პლაჟის 6-7 კვადრატული მეტრი.

საკურორტო კომპლექსის გეგმარებითი სტრუქტურა ძალზე მკაფიო ფუნქციონალური ზონირებით გამოირჩევა. მთელ კომპოზიციას 7-8 კილომეტრის მანძილზე ზღვის ნაპირის გასწვრივ ძირითად ღერძად გასდევს ბულვარი-სანაპირო. მთელი კომპლექსი ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებზე იყოფა მეორე ღერძით — ფართო ბულვარით, რომელიც დაპროექტებულია, როგორც კურორტზე შემოსასვლელი და მიმართულია ზღვისკენ. იგი კულტურული, საზოგადოებრივი და საეჭრო ცენტრია. გასართობი და საწარმოობითი ხასიათის დაწესებულებანი ზღვისპირა ზოლშია განლაგებული. აქ არის ოცდახუთამდე რესტორანი, ლამის ბარები, კაზინო და თეატრი — ვარიეტე. ყველაზე უფრო ორიგინალური რესტორნებიდან და კაფეებიდან შეიძლება დავასახელოთ: „კასინო“, „ქარის წისქვილი“, „მეკობრეთა ფრეგატი“, „ტავერნა“, ბარი „რუსალკა“, „მეთევზის ქოხი“, „ხანის კარავი“ და სხვა.

კომპლექსის მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა მიუხედავად, თითქოსდა მისტიკურ პერპენდიკულარული ღერძების, თავისუფალი და სხვადასხვაგვარია. კომპლექსს მთელ სიგრძეზე მიყვება 40-50 მეტრი სიგანის საუცხოო პლაჟი, რომელზეც ალაგ-ალაგ ქვიშის ბუნებრივი დიუნები შეიმონაშული.

საწყლოსნო სპორტის მოყვარულთათვის აქ არის ყოველგვარი მოწყობილობა. ბევრია სპორტული ბაქნები, ტენისის კორტები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მინიგოლფი და სხვა. სამეურნეო ზონა და მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი დასავლეთით, სატრანსპორტო მაგისტრალს გაღმა გატანილი.

საკურორტო კომპლიქს „შხიური ნაპირის“ მშენებლობისას ნაკვეთის მოსამზადებლად ჩატარდა უდიდესი სამუშაოები. გატარდა წინასწარი ღონისძიებები ტერიტორიის გასაჯანსაღებლად, მშენებლობის დაწყების წინ მოსპვის მანეჟმენტები, მდღელნელები და ჭიჭიერმაკვლები.

ამჟამად მიმდინარეობს კომპლექსის ინტენსიური გაფართოება და კეთილმოწყობა. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია სამხრეთ ნაწილის განაშენიანება, სადაც უკანასკნელ წლებში სასტუმროების რამდენიმე ჯგუფი აშენდა. ისინია: „კონტინენტალი I“, „II“, „III“, „IV“, „სოხოპოლი“ და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკურორტო კომპლექსების პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში ბულგარელი არქიტექტორები ძალიან ზამბადავად და წარმატებით ატარებენ ახალი იდეების რეალიზაციას. ამ შხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „შხიური ნაპირი“, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადაიქცა გიგანტურ ექსპერიმენტულ პოლიანად, სადაც ბულგარელი ხუროთმოძღვრები ამოწმიბენ არქიტექტურულ სისტემებს, ცხოვრებაში ატარებენ მრავალ კონცეფციას, თეორიული გამოკვლევების შედეგებს.

ამ შხრივ მეტად საინტერესოა სასტუმროების ჯგუფები „კონტინენტალი“, რომლებიც ნიჭიერმა ბულგარელმა არქიტექტორმა ნიკოლა ნიკოლოვმა დააპროექტა.

თანამედროვე არქიტექტურის უახლესი მიღწევების გამოყენებამ და ძველი ბულგარული ხალხური ხუროთმოძღვრების პროარქისული ტრადიციების ღრმად შესწავლამ, საშუალება მისცა ავტორს ახლებურად აეკოდინინა სასტუმროების ნაგებობანი. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვი ვი ვი ვი, რომ „კონტინენტალის“ კომპლექსები თრიად მნიშვნელოვანი შესაძენია საკურორტო მშენებლობაში. გახსნილი და შეკრული ეზოების თრგანულათ შეტანა ინტერიერებში, ფორმების თავისუფალი, მაგრამ ლოჯიკური ინტეგრირება, მეტად გაბედული შეტამება უოაქტურო ბეტონისა, ზუსტათ ნაპოვნი ხისა და ქვის დეკორაციისა, — ყველაფერი ეს მალალ პროფისიულ დონეზეა შესრულებული. რა თქმა უნდა, როგორც ყველა მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნაწარმოებში, ამ ნაგებობაშიც არის საკანათო, მაგრამ მთლიანად ფრიალ საინტერესო არქიტექტურული ანსამბლია მიღებული.

ბულგარეთის მთავრობამ მალალი შეფასება მისცა „შხიური ნაპირის“ მთელ კომპლექსს და მის ავტორს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. ნიკოლა ნიკოლოვი ბულგარეთში პირველი არქიტექტორია (და ჯერჯერობით ერთადერთი), რომელსაც ეს უმაღლესი საპატიო წოდება მიენიჭა.

ბულგარეთის საკურორტო მშენებლობის პრაქტიკაში არ იხმარება სასტუმროების, რესტორნების და ამგვარი ობიექტების ტიპობრივი პროექტები. მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებისათვის დამუშავებულია მზა ელემენტების რამდენიმე ნომენკლატურა.

თუ გაავითვალისწინებთ მსგავს ბუნებრივ-კლიმატურ თავისებურებას, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ბულგარეთის საკურორტო მშენებლობის გამოცდილების შესწავლა და გამოყენება დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნის შავი ზღვის სანაპიროზე საკურორტო კომპლექსების დამპროექტებლებს, მშენებლებსა და მომხმარებლებს.

საპარტეზლოს სსრ და
საპარტეზლოს კომპარტიის
50 წლისთავისადმი
მიძღვნილი გამოფენიდან

ე. ივანიძე.

დაე, მუღამ იეს მზე!



ესტონეთის ხელოვნთა საყაროვი

ოთარ ევაძე

ბმერი ქალაქი დედაშიწაზე, მაგრამ მხოლოდ ერთ-
ულეხია, რომელთა წარმოშობა ლეგენდად ქცეულა. ასეთია
თბილისიც, საქართველოს დედაქალაქი და რატომ გავი-
კვირვებდი თუ ტალინში ჩასული უმაღ ამასვე წავაწყდე-
ბოდი:

— ჩვენი ქალაქის წარმოშობა ლეგენდად იქცა. ქვრივი
ქალი ღინდა თავისი მეუღლის კალევის საფლავზე ქვის
ვეებერთელა ლოდებს ეზიდებოდა. ერთხელაც წინაფრის
ზორტები დაუწყდა, ქვის ლოდი მიწაზე ჩამოუვარდა. ატირ-
და ქვრივი ღინდა, ზედ ჩამოჯდა სულის მოსათქმელად,
მაგრამ, დახეთ საოცრებას: მისი ცრემლები უზარმაზარ
იულებმისტეს ტბად იქცა, კალევის საფლავზე მოზიდული
ქვები კი ტომშპკას გორაკად. ახლაც მოჩანს ტბიდან ამო-
წოწილი ის ქვა, და ესტონელები ამასაც ძველი ლეგენდის
უტყუარობის საბუთად სდებენ.

კალევის სახელთანაა დაკავშირებული ესტონეთის დე-
დაქალაქის კალევანის წარმოშობაც და საამაყოდაც ისე-
ნებენ თანამედროვენი, რომ პირველად მათი ქალაქი წერი-
ლობით მოუხსენებია 1154 წელს არაბ გეოგრაფს იდრისის,

რომელსაც იგი იმდროისათვის უნიკალური მსოფლიო სა-
ვაჭრო გზების ამსახველ რუკაზე შეუტანია.

მაგრამ მანამდე ღიდი ხნით ადრეც არსებობდა ესტო-
ნელთა სახელმწიფო და ესტონელი ხალხი. მესამე-მეორე
საკუნეში დღევანდელი ესტონეთის ტერიტორიაზე ცხოვ-
რობდნენ ესტონელთა წინაპრები — მეთექვსე-მონადირე-
თა ტომები. უფრო გვიან, მათეუ საკუნეშივე, მათ გერმა-
ნული წარმოშობის სახელს „ესტებს“ უწოდებდნენ, მეზო-
ბელი რუსები კი ჩუდელებს, ჩუდის ტბის ნაპირებზე მცხოვ-
რებთა სახელშერქმევით.

მრავალი ბრძოლა დასჭირდა მცირერიცხოვან, შრომის-
მოყვარე და გულად ესტონელ ხალხს ეროვნული თვითმოყ-
ვადობის შესანარჩუნებლად, ერთხანს შესძლეს კიდევ
ეროვნული სუვერენობის დაცვაც და უმთავრესად გერმანე-
ლი თავდამსხმელების წინააღმდეგ სლავიანურ ტომებთან
ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის გაბმა-განმტკიცე-
ბით. მიუხედავად ამისა, მონღოლ-თათართა შემოსევამ
სლავიანების დახმარებით დროებით შეაწელა და ამით
გზავასხნილმა გერმანელმა და დანიელმა მომხდურებმა

კლავ მინობაში მოაქციეს ესტეტი. 1227 წელს ეს პატარა ქვეყანა უცხოელთა უღელქვეშ მოექცა მრავალი წლის მანძილზე.

გერმანულ-დანიელთა ცდამ საქმარისად მოაღონიერა მათ მიერვე წარმოქმნილი ფეოდალების კლასი, რომელმაც ამ სრულიად მოსპობილ მანამდე არსებული სუბტად ორგანიზებული ესტონელი ფეოდალობა, ამ წინის მომდევნო ესტონელ გლეხობაში გათქვიფა.

მაგრამ ესტონელები როდი უნდებოდნენ. 1343 წლის 23 აპრილს, ღამით, დაიწყო საერთო სახალხო აჯანყება, თუცა მასაც საჯაროლო ბედი ეწერა. დამარცხებული ესტონელი გლეხობა გერმანულ-დანიელ ფეოდალთა უკვე აკანონიერა ყმებად იქცნენ.

მიუხედავად ასეთი პოლიტიკური და ეკონომიური დათორუნების, ესტონელი ხალხი მაინც არ თმობდა საკუთარ სულიერ სფეროებს. შეძლებისდაგვარად ინახავდა და აგრძელებდა თათბირში მწიგნობრობა-განათლებას. მეთექვსმეტე საუკუნეში უკვე არსებობდა რამდენიმე საეკლესიო სკოლა. ამან რეალური პირობა შექმნა იმისათვის, რომ ტალინის შენადეგ მეთრე ქალაქ ტარტუში 1630 წელს დაარსებულიყო გიმნაზია. ერთი წლის შემდეგ ასეთივე გიმნაზია გაიხსნა ტალინშიც. იმავე 1631 წელს ტალინსა და ტარტუს გიმნაზიების ბაზაზე შექმნილ გუსტავიანურ აკადემიაში შეიქმნა პირველი ესტონური სკამბინი, რომლებშიც დაიბეჭდა (თუმცა გერმანულ ენაზე) პირველი ესტონური წიგნები. მკაცრდემკე საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა ესტონურ ენაზე მოქმედი პირველი სახალხო სკოლები და ისევე ნათლად შეტყვევებულ ცივილიზაციის მოყვარე ამ მიერვე, მაგრამ მიხანდასახული ერის შეუნელებელ ეროვნულ-განამანათლებლო მეცადინეობაზე.

სწავლა-განათლება, დაუღალავ შრომასთან და მომხრებობთან შეუნელებელ ბრძოლასთან ერთად, ესტონელთა ეროვნული თვითშეგნების წყაროს წარმოადგინა უკვე 1857 წელს ესტონურ ენაზე გამოცემა გაზეთი „პიარნული ფესტლიონი“. (პიარუ პოსტენიტი). ასეთი კეთილშობილური საქმის მოთავენი თავი ესტონელი განამანათლებლები იყვნენ. რომელთა შორის ესტონელი ხალხის ნაციონალური მოძრაობის გამორჩეული მოღვაწეებად მიიჩნევენ კარლ რობერტ იაკობსონს, რომელმაც მხოლოდ 41 წელიწადი იცოცხლა და ამ მოკლე დროში უამრავი სიკეთე დაუტოვა დიდსამშობლოს. იგი 1882 წელს გარდაიცვალა. იაკობსონი იყო რადიკალურ-დემოკრატიულ გაზეთ „საკალასა“ გამომცემელიც, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი იმართულა ესტონელთა ეროვნულ-განამანათლებლურ ბრძოლაში.

დღეს, როცა ესტონელ ხალხს ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმწყობადობის გაშლის ფართო გზა უდევს, მულერგობითა და პატივისცემით ინსენებენ განამანათლებელ-დემოკრატებს ფრიდრიხ რუენიგელ და კრიციკლას (1803-1882 წწ.) და ფრიდრიხ რობერტ ფელმანს (1798-1850 წწ.) მათ თვითონ დაამთავრეს ესტონური სულიერი კულტურის სიამავე ტარტუს უნივერსიტეტი და მერე თვითონვე იქნენ ესტონური ლიტერატურის ფუძემდებლებად. სწორედ ფრიდრიხ კრიციკლასმა ითავა შევიდნენ და გამოეყვანებინა ესტონური ხალხური შემოქმედება, აგრეთვე ხალხური ეპოსი „დე კალევისა“.

კალევიპოეტი — ძე კალევისა ერთ ფოკუსში უყრის თავს ყოველივე მშვენიერისა და ძლიერის, რაც ექ მოუპოვებდა და განუვითარებია მთელ ესტონელ ხალხს მძიმე ხვედრით ნავალ საუკუნეების მანძილზე. ხალხმა კალევიპოეტი დახატა უთრლოდ მშრომელ ადამიანად, რომლისთვისაც სულიერი მოთხოვნილებაა პირადი გარჯა. ბუნებაშიანა შეება, მისი გარდაქმნა და სასიციოცლო მატერიალური დოვლათის მოპოვება რავიანების საკეთილდღეოდ. ამასთან ერ-

თად ძე კალევისა შეუდრეკელი მებრძოლიცაა, რომლის მკრდილ არაფერსღი აღმართულა მომხვედრო ტომების შესაწერებლად. მისი პირადი გმირობა ეროვნული თვითშეგნების ითვალის გაამდვივებელ შემარბებელ იქცეოდა და ასეთივე მაგალითისათვის რასმავად მთელ ესტონელ ხალხს. მაგრამ საქმარის როდი იყო შრომისმოყვარეობა და პირიქით შრომობრობა. კალევიპოეტი სხვაგვარათა — სახელმწიფოებრივი მართვის სიბრძნე და ძე კალევისა ამითაც გამოირჩოდა. იგი დიდის წინადადებულებითა და შრომისმოყვარეობით განაკებდა თავის ერს და ამ მხრივაც თითად აძლიოდა წარსულისა და აწმყვის ბატონ-პატრონობა თათობა მესხიერებაში. კალევიპოეტი ყოველივე ამასთან სოპოლოური სამართლიანობის დამდებე იყო. მისი ორმა გონება და ძლიერი მკვლეი ჩაგრულთა მძიმე ცხოვრების შესამსუქებლადაც მოქმედებდა და გასაგებეც არის, რომ ასევე ეროვნულების, სიყვარულისა და პატივისცემის გრძობას ნახულობდა მისი ხალხი თანამემამულეთა შორის. იგი უღკენდად იქცა და თათობდნ თათობაში ზეპირსიტყვიერების განვითარების უშრეტ თემას წარბოდეგდა ესტონელი ერის არსებობა-განვითარების მრავალი საუკუნეების მანძილზე, ჯერ კიდევ გერმანულ-დანიელთა შენადეგ საუკუნის შემოსევამდე და მას შემდეგაც (კალევიპოეტი). ეს ნაწარმოები იქცა და ახლაც აგრძელებს ესტონელთა ეროვნული სულიერი სიამაყის მომგვრელი ჩირადნის როლს. რაც ბერძნულთა „ილიადას“ — ის ჩვეთვის „კალევიპოეტი“ — აცხადებენ ჩვენი მგობარე ესტონელები და განა შეიძლება მოიწიფებისა და სიამაყის გრძნობით არ განიმსჭვალთ, როცა იმხნენ სეგდა-სიხარულის, დაუთრუნელობა-დაუზარცებლობის, სიკეთე-კეთილშობილების, სიბრძნე-სამართლიანობის მავალი გრძნობების მოთხრობ კალევის ძის ცხოვრება-ბრძოლაზე. ამ ნაწარმოებში მოთხრობილია გერმანელი ქოთა-რანდნების წინააღმდეგ ესტონელთა გმირულ შემარბებლად და სიკეთე-სიმშობის მამრავლები ესტონელი ხალხის თათობაზე შრომა-გარჯაზე. კალევიპოეტი ადამიანური ძლიერებისა და ათილმობიძობის უღკენდად ქვეული რეალობაა და ამიკომაც არის, რომ ამ ძლიერი და მომხიბვლელი აჯაკულის სახეობად არის დააკავშირებული ესტონეთის მიწა-წყალზე აბნეული მრავალი ცნებე თუ შენობა, გორა თუ მთა. მიინარე თუ ტბა. დღესაც მრავალი ესტონელი შემოქმეტი თავისი შთაბრძნების წყაროდ იხდის კალევიპოეტის საამირო-საკაობრობი საქმეებს და გასაკვირი არაა, რომ სწორედ მას იძიებდა ლექსები, მოთხრობები, სპექტაკოები, ოპერები. საპოეტიკო დადგმები, კინოფილმები, სიმონიები, ორატორიები და მასობრივი სიმღერები, რომელთაც ასე გამოირჩევა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულია სისონიების ხალხი.

იმ თვისაჲ, როცა ტალინიდან ტარტუს ვიწვილ ქართულ მსაკარათა ნაწარმოების გამოთვების სანახავად, საუნიარისიტეტი ქალაქის მწვანეთა შემოსილ ამაღლებულ ბოძითურ ახლად მოტაკილი ცოცხალი ფეხვლების თავერული შვინიწევი არეივლიდის ძეგლის კვარცხლობათან ახალგაზრდები, მოსწავლეონი თუ სკულნიკები, მასწავლებლები თუ მუშა-მოსამსახურენი მოწიფონი იხილებანი დიითი განამანათლებლის მსაკერული იერსახისაჲ, რომლის სხებელი გონებაში აღუდგენთ წარსულის გჳმათა სიავით განსხვებულ ესტონელთა მძიმე დღეებს და ნათილ გრძნობით სავსე აწმყე-მომავალს.

აქ, ტარტუს უნივერსიტეტის შვიდისა და წყნარ ქუჩეში, დღესაც მოწიფიბითა და სიამაყის გრძნობით იხსენებენ ყველა იმათ, ვინც უძალიესი უმაღლესი სანსაყობის დამთავრების შემდეგ მშობლიური ხალხის სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების განვითარება-განმკაცრების მძიმე და საპატიო სამსახურში ჩადგა. ასეთები მრავალია

და მათ შორის ესტონელი გენგობიდან გამოსული პოეტი ქრისტინა იაპუ პეტერსონი.

ლიტერატურა იქცა მალა ტრიბუნად, რომელიდანაც გაიმართა ესტონელი განმანათლებლთა ძლიერი საპროტესტო წმ. პოეტი ქალი ლიდა კიოდულა (1843-1886) ერთ-ერთი იმთავითაა. იგი მტყნებარე სიტყვებით ადვილებდა ხალხს სამშობლოს სიყვარულს, სოციალურ და ეროვნულ უსამართლობათან ბრძოლის გაშლა-გაწვევის საჭიროების გრძობას. ლიდა კიოდულა ნაწერებს მოწყურებულად კითხულობდა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი ესტონელი, რადგან ყველა ერთნაირი ძალით გრძობდა უცხოელ დამპყრობთა, გერმანულ-დანიელ ფეოდალთა მათრახის ხუსხს. ამ შემეხიერი პოეტი ქალის დამსახურება ერთი წინაშე სხვაც არის. მისი პიესები იქცნენ ესტონელი ეროვნული თეატრის ჩასახვის საფუძვლად და რაკი დღემდე ესტონური თეატრი მშობლიური ხალხის სულიერი ცხოვრების უდალათ სამსახურში დგას, კიოდულას სახელით მუდამ უჭირბო შეუქრად რჩება. ასეთი მანათობელი ძალები ძლიერი გენდის შუაგულში იდგნენ პოეტმა და ფილოლოგი მიხეილ ვესტ, რომელიც 1890 წელს გარდაიცვალა. მან თავისი ხანმოკლე (47 წლის) ცხოვრების მანძილზე ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო თავისი ერისა და ქვეყნისათვის. მიხეილ ვესტისთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი განვითარებისათვის გულგმა პოეტმა ადო რინეალდმა, რომელიც 1922 წელს გარდაიცვალა 75 წლის ასაკში.

რასაკვირველია, ბედნიერება პირადად წაიციხოს ადამიანს წარსულისა თუ აწმყოს მოღვაწე პოეტისა თუ პროზაიკოსის ნაწარმოები, მაგრამ როცა უამისობა ზოგჯერ ადამიანთა შორის ურთიერი სიზმრისა და მიუხილობლობისა უსამოფრო სინანულს გვაჯავხებს, კმაყოფილების გრძობას განიცდი, როცა წიგნებში დაზნეული თაობების ხედვებ ბიბლიოთეკებსა თუ მღაზიებში, ამჟვარადაც ასეთი შვება ვიგრძენი. ტალინის ცენტრში, გამარჯვების მოედანზე რომ გადმოდის, მწერალთა ახალი სახლი ავეგული. მიუვლი ქვედა სართული პაეროგან მღაზიას უჭირავს. რომლის ვიკტორინიდან თვალს ელამუნებოდა არამარტო საქართველის კულტურის დღეებთან დაკავშირებით ესტონეთში გამოცემული ქართული მწერლების ნაწარმოებების ლამაზად გაფორმებული წიგნები, არამედ ესტონური ენაზე მრავალდამბეჭდილი ესტონელი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებიც, რომელთა ავტორები ან წარსულში ავტოს ავტრზე ადგილზე მშობლიური ენისა და ერთდროს მხატვრული ლიტერატურის ვასავითარებოდა, ან ახლა აგრძელებენ ახალი სოციალისტური საზოგადოებრიობის საკეთილდღეო მხატვრულ შემოქმედება-მოღვაწევობას და ორივე შემთხვევაშივე ახალი სოციალისტური ესტონეთის ბედნიერ აწმყოს საიდლებელს აკეთებენ.

ტალინის გაზეთ „ისტულტეტის“ რედაქტორის მოადგილე ვოლდემარ ლუნდსტრემი და კულტურის განყოფილების გამგე იმბი ელტასკაია სწორედ ამ დიდი მღაზიის ვიკტორის წინ შეიქმნდნენ და ესტონური ვაგრაფის მღაღი კულტურული გაფორმებული მრავალი წიგნის სურვის მწერა მიაყარეს. ისინი გატაცდნენ ლაპარაკობდნენ და მათი ახსნა შესაძლოა მხოლოდ მკირე ექსპრესია იყო ესტონეთის მხატვრული წიგნის გუმინდელსა თუ დღევანდელ მნიშვნელობაზე, მაგრამ ამ მომენტალური მიმოხილვითაც კი ბევრი რამ ახალი ვაგაიე და შვიისმინე ჩემთვის უცნობ და დიდებულ ესტონელ მწერლებზე.

— ისე როგორც ყველა ენში, ესტონურშიც ორი ნაციონალური კულტურაა, — გაიხსნა ვოლდემარმა, — დემოკრატიული და რეაქციული. ამის სათავეს ვივითოთ ვიგნანელ-დანიელთა შემოხვევად, უცხოური კულტურის შე-

მოჭრა-დამორგუნველობის საწყისებიდან, როცა ყველაფერი კეთდებოდა ესტონეთა ვასავითებულად და არაფერი — ესტების ეროვნული მხატვრული შემოქმედების ვასავითარებოდა. მუნებრივია, ამ პერიოდში ბევრი დრო გაუცდა ჩვენ 1933-ს, ბევრი ნიჭიერი შემოქმედის პოეტნიცა დარჩა გაუხსნელი, მაგრამ პროგრესული ესტონელი მწერლების ნიჭს მაინც ვერა დღადაცნენ უცხოეთის ცეცხლის ნაცარში. ძველადაც იმტელებოდა ისეთი დემოკრატი მწერლის ნაწარმოებები, როგორც იყო, მაგალითად, ედუარდ ვილდე (1865-1933 წწ.). აი, მისი წიგნი — „იმი მახსტრატაჟი“, ავტრ მეთოცე — „გულდომისანი მატსტეტეა“. ორივე ეს რომანი ჩვენი გულგობის მოძრაობის ისტორიულ მნიშვნელობა გადმოსცემს და მეტრამეტე საუკუნეში მომხდარი ამბების დღესაც მღელვარედ საკითხავ მხატვრულ ქმნილებებსად რჩება.

იმბი ელტასკაიამ თაროდან ჩამოაღებინა 1913 წელს გარდაცვლილი მწერლის ოუხან ლივიის წიგნი, 1855-1913 წლებში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედის აუგუსტ კიკტერგის ნაწარმოებები, 1958 წელს გარდაცვლილი მწერლის ერნსტ სარაგავა-პეტერსონის, ე. ტუკუასისა და ა. ხანსენტამსარგავის თხზულებები. ამ ორი მწერლის მხატვრული ქმნილებების ძირითადი ნაწილი შეიცმნა ოცინა-ოცდაათიან წლებში, ბურჟუაზიულ ესტონეთში და მათში მავალი დიდასახა იმდროინდელი ესტონელი ხალხის მიმიღ სოციალური მგომარეობა, მუდის რუსეთის კოლონიალური უღლიდან განთავისუფლებული, მაგრამ საკუთარი ეროვნული ბურჟუაზიის ტყვეობაში ჩავარდნილი ესტონელი მშრომელის მწვევე ხედვა.

გარდა ამ ორი მწეველთაც კი ნათელი ხდება ესტონური მხატვრული წიგნის სიმარტო-სიმდიდრე, ბევრი რუსულ ნაწარმე თარგმნება და არც სხვა მიმდე ხალხების ენაზეცა ცოტა გამოცემული. საბჭოელ ესტონელ მწერალთა ნაწარმოებები თანამედროული პუბლიკაციებით იმტელება და იტაგანება მიმდინილი ზუტარობისა თუ ზღაპრი ჩამდგარი პატარა კუნძულის წიგნის მოყვარულთა მაგიდაზე გადასაშლელად. მოსახლეობა დიდი ინტერესით კითხულობს ესტონელი მწერლობის ახალ-ახალ ნიმუშებს და ვასაკვირი არ არის, თუ ამ მხრივ, წიგნის მკითხველთა დინატრეფილის თვალსაზრისით, ესტონეთი ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას საბჭოთა კავშირში.

ასეთი ინტერესი ნაბეჭდი მხატვრული ნაწარმოებისადმი მოსაწონი და მისაძაბა, რადგან ინფორმაციის მიღების უჩვეულო მექანიზრების ეპოქაში, ტელერადიოსა და კინომოწონების განვითარების ატმოსფეროში, მხატვრული ნაწარმოების ინდივიდუალური კითხვისადმი ინტერესის შემდგომი სრდაც ერის მღაღ სულიერ კულტურაზე მივიტოთების.

დღეს, ესტონეთში დიდი პოპულარობით სარგებლობენ მწერლები აუგუსტ იაკობსონი, ააღუნტა, ჰანს ლიბერტ-ტი, პაულ კუუსმბერი, ლილიე პრომეტი, ოსკარ კოტომინე, ედუარდ მიანიკი, დიდი ტირაკიტი გამოდის ნიჭიერი პოეტების ლექსთა კრებულები, ისეთები, როგორც, მაგალითად, ართან ოუხანა სულვა, დებორი ვაარანი, აუგუსტა სანგა, რაფე პარეე, ურო ლასტა, პაულ რუმო, ყოველი ესტონელის ოუხანში ნახავთ წიგნის თაროს, ბიბლიოთეკას და მათ შორის, რასაკვირველია, თანამედროვეობის სულისკვეთებით დაწერილი აუგუსტ იაკობსონის დრამატურული ნაწარმოებებს. საბჭოელ მკითხველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა იცნობს ააღუნტას საინტერესოდ საკითხავ, საზოგადოებრივი ძვერადობით ძლიერად და სასარგებლო რომანს „ქრთა ნაპირი“, რომელიც მრავალ ენაზე თარგმნა და საბჭოური თეატრისა და კინემატოგრაფიის სეგროშიც დამკვიდრა ადგილი. ხინტას რომანი რუსეთის პირ-

ველი რვეთლების ესტონეთში გამოძახების სარკა და უძველესი საინჟინერო მოხმადარ რვეთლები შეჯახებათა ფონზე გაძლიერი. პროზაიკოსმა იოხანეს სემპერმა დაწერა რომანი „წითელი მისაკეში“, რომელშიც ისტორიული სიმაართით არის ასახული ესტონელი ხალხის ბრძოლა ძველ წყობითების დასამოხმად და ახალი სოციალურ-საზოგადოებრივი ურთიერთობის გასამართლებლად 1940 წელს. მონაბმეყვარ და შეუპოვარი ესტონელი გლეხობის შემართებით ცხოვრება ნაწევრები რედოლფ სირგუს რომანში „მოწა და ხალხი“. უტორული შეფრთხობის მომალას და კოლექტიუზაციის პირველ საბაჯებზე დაწერილი მას ლიბერალტის ნაწარმოებები, რომელშიცაც ასახა ესტონელი მშობოლებების საბოლოო მოხალოება დიდ საზოგადოებრივ თმში, თმის შემდგომ დაწერული შეფრთხობის აღწერისა და საკოლმურებო წყობილების განმტკიცების მართალი სურათები. მრავალი მათგანის, თანამედროვე ესტონელი მწერლის ნაწარმოები, საერთო საბჭოურ კეთილმებად იქცა და მათ შორის უხან სუულას მხატვრული ქმნილება — „ყინულის წიხი“, რომელსაც ესტონურ ლიტერატურაში პირველ მიხეილა ლენინური პრეცედა.

მუხრბრია, ესტონური მხატვრული ლიტერატურის განვითარების საფუძველი მშობოლური ენაა. და თუ ესტონელიები ასაყებენ ბევრით, უპირილეს ყოვლისა. დედა ენის შენახვა-აღორძინებით. იყო კი დრო, როცა ისევე ემტერებოდათ დამპყრობი ერების ენათა მოაღება, როგორც ყველა სხვა პატარა ერს, როცა ბედისა თუ პოლიტიკური უკუღმართობის გამო არამართო სამხედრო დაწოლას განიცდიდნენ, არამედ სულიერ თრგუნვასაც უძაღვლიდნენ. გერმანულ-შვედთა მიერ ესტონეთის სულიერ ცხოვრებაზე შეგავლენის უფლებები საუღლომ გაქრობას უქაღდნენ ესტონურ ენას, მაგრამ ყველა ენაში მოყვანილი ყოველ ამ-ტარ ტინარულ ასიმილიციას ხან სული კლდეებით ისლიტება და უკუგაღებად ხოლმე, ხან კი ხლევის ტაღების სირბილით ახელდება, აკავება და უკან აქცევა მთმ-ხედურა ენობრივ წარღვნიანობა. გარეშთა მოძაღებამ ესტონლები ერთ ძლიერ ენად შეატარა. ესტონური ენა ფიხერ-უგორულ ენებს განეკუთვნება და სამი დიალექტი შემოინახა. მათგან ყველაზე მეტი გავრცელები ჩრდილო-ესტონური დიალექტსა აქვს, მომდევნოა სამხრეთ-ესტონური. თანამედროვე ესტონური ლიტერატურული ენა ჩრდილო-ესტონურ დიალექტს დაეუბრდა და, მუხრბრია, ესტონელებისათვის ფიხერიც ადვილად გასაგები გახდა.

ლიტერატურული ენის განვითარებას დიდად შეუწყობელი ესტონური თეატრის მოღვაწეობამ. 1870 წელს ქალაქ ტარტუში საფუძველი ჩაყარა პირველ ესტონურ თეატრს. 100 წლის წინათ საზოგადოება „განმუხრბრია“ პირველი დია თეატრალური წარმოდება გაიმართა, რომლის სულიწამდმებლად დრამატურად და რეჟისორი ქალი ლიენა კოილულა იქცა. შემდგომში განემუხრბრა თეატრი ტარტუში და თეატრი „ესტონეთი“ ტალინში დიდ პირველიულ მხატვრულ კოლექტივებად იქცნენ, რომლებიც ბრწყინვალე საქეტაღლებით არაერთხელ გამოსულან საგაგმირო ასპარეზზე. ლიდა კოილულასთან ერთად ესტონური თეატრის განვითარების ისტორიაში სამუდამოდ აღიბეჭდა ფერმწერ ანტს ლაიკმასს და კრისტიან რაუდის, აგრეთვე კომპოზიტორების ალექსანდრე ლიატს და უროლოვ ტომას სახელებიც. თანამედროვე ესტონურ სცენაზე დიდი წარმატებით სარგებლობს მწერალი გეზ რანეტის „მთხეტალი მღერი“, „პაკიონსება“ და „ბრაკონიერები“, არდი ლიევისი მიერ შემწილი თანამედროვობის ასახვებით პიესები, ახალგაზრდა მწერალთა დრამატურული ნაწარმოებები.

ესტონური საბოქრო ქანრის ჩასახვა-განვითარება მჭედროდ არის დაკავშირებული თანამედროვე კომპოზიტორების სახელებთან. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზუენე კაპპი პირველი ესტონური თქრის ავტორია და, მამასაღამე, ფუძემდებელიც. მისი „შურისძიების ცეცხლი“ ასახავს ესტონელი გლეხების ბრძოლას გერმანული ფეოდალების ბატონობის მოსაყიდებლად, რომელზეც მხატვრული გახარჯებით დამოაყრდა, მაგრამ ასევე დროს ესტონელთა სოციალურ-განმათავისუფლებელი იდეების ძმადველ გალლა-გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მანვე დაწერა საბავშვო თქრა „ზამთრის ზღაპარი“.

ზუენე კაპპი ეროვნული ბალეტის საფუძვლის ჩამყრელიცაა. წარმატებით იდგმება მის მიერ დაწერილი საბალეტო მუსიკა „გალვეპოველი“ და „ოქროს მავის მრთეველი“.

ძველი თაობის კომპოზიტორებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გუსტავ ერნესაკის, ავტორი ცნობილი თქრისა „ქარიშხლის ნაპირი“. ერნესაკის ეს თქრა წარმატებით დაიდო მუსიკალურ რესპუბლიკის სცენებზე. ესტონურ საბოქრო თეატრში განმორციელებდა გუსტავ ერნესაკის რამდენიმე სხვა თქრაც, მათ შორის „პიუხიარვი“, და „მხაიონარი“. ერნესაკის თქრები გამოირჩევა მულოდური წყობით, ეროვნულ მუსიკალურ ფოლკლორზე აგებული საგუნადო და სოლო პარტიებით. ხალხური მუსიკის შესწავლამ წლების მანძილზე საშუალება მისცა კომპოზიტორს შეეცაზა დიდი საბოქრო ნაწარმოებები.

სიმფონიური და კამერული მუსიკის ქანრში გამოერჩევა ძველი და ახალი თაობის მრავალი კომპოზიტორი, მათ შორის ხეიო ელოერი და ეინო ტამმერი. განსაკუთრებით პოპულარულია მისი „საბალეტო სიმფონია“ და „კონცერტო ტროსო“. ველო ტროსოსმა დაწერა თანამედროვეობის ამსახველი მუსიკალური პოემა „მშვიდობის დღე“. ახალგაზრდა კომპოზიტორმა იან რიაგენსა შექმნა დეკლამატორი „იპარ ნაქისი“, მასვე გუუთების „ოდა პირველ კოსმონავტს“. ესტონურ კომპოზიტორთა სახალხოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობენ თანამედროვეობის ასახავად, სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების ცხოვრება-ბრძოლის მუსიკალური ენით გადმოსაცემად.

დიდი გულმოდგინებით გადავთვალეთვე ბაქოს იმდროინდელი გაზეთები თუ სხვა მასალები და დავრწმუნდი, რომ არც 1926 წლის თებერვალში წარმოთქმული ეს ექსპრომტი. რადგან 1926 წლის თებერვალში ვერ მოიხსნა ვ. გუნიას ყოფნის კვალი ბაქოში, რომელსაც ექსპრომტით მიმართა მაიაკოვსკიმ. რჩება ერთადერთი თარიღი — 1927 წლის დეკემბრის პირველი რიცხვები. ამ აზრს მხარს უჭერს ვ. პერცოვის ცნობილ წიგნში („მაიაკოვსკი, ცხოვრება და შემოქმედება“, სსრ კავშირის მკვლევართა აკადემიის გამოცემა, 1950 წ., გვ. 444-445) მოცემული მასალა. ამ წიგნის 42-ე შენიშვნაში ნათქვამია: „ვალერიან გუნიას მაიაკოვსკი შესდგა 1927 წლის დამლევს ბაქოში, სადაც გუნია იმ ხანებში ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს“. შემდეგ შენიშვნაში ნათქვამია: „შესაძლებელია, რომ მაიაკოვსკი ამ ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა და წარმოთქვა რომელიღაც ექსპრომტი ლექსად, მაგრამ გვეს გარეშე, რომ გაზეთის მიერ გამოქვეყნებული ლექსი არ ეკუთვნის მაიაკოვსკის“.

მაგრამ არანაა ამ ექსპრომტის მომხმენი ცოცხალი მოწმეები. ექსპრომტის შესახებ გაუიწინა პოეტის უფროს დას — ოლიდმილა მაიაკოვსკაია, რომელიც აგრეთვე იხიარება აზრს, რომ ექსპრომტი მაიაკოვსკის ეკუთვნის. ამას გარდა, ა. ფეფერსონი ზემოთ დასახლებულ წერილში ამბობს აღნიშნული ექსპრომტის ტექსტის შესახებ: „იგი, ძირითადად, ცხადია, მაიაკოვსკის ეკუთვნის, ოლიდ ტექსტის ძალზე დამახინჯებულია“.

ამრიგად, ნათელი უნდა იყოს, რომ პასუხი ექსპრომტად ვალერიან გუნიას სადღერებლოზე მაიაკოვსკის მიერ წარმოთქმულია ბაქოში 1927 წლის დეკემბერში. თვითონ ექსპრომტის ტექსტი, რომელიც შეიძლება არ იყოს მთლად ზუსტი და სრულყოფილი ლიტერატურული ნაწარმოები, — გვიჩვენებს, რომ ლექსი წარმოადგენს პასუხს ვალერიან გუნიას სიტყვაზე. აღსანიშნავია, რომ ექსპრომტის მთელი ნაწარმოები მაიაკოვსკის უცვად შეაქვს ქართული სიტყვებით, ცალკეული პოეტური სტრიქონები, თავისუფლად რითმავს რუსულსა და ქართულ სიტყვებს.



რეჟისორი ვლადიმერ მოღვაძე

ქიათაურის ანაკი ფრთხილის

სახალგოზის თეატრში

სულხან-საბა

ორბელიანის

სცენარი სიცოცხლე

ტარიელ ხავთასი

...საქართველოა მისთვის:
წვიმიც,
თოვლიც და ყინვაც!...
მ. მაკევაიანი.

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობა მჭიდროდა დაკავშირებული XVIII საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ვახტანგ მეექვსე უერთგულესი მირჩეველი და თანამოაზრე მიმიღე განიცდიდა ეროვნულ შუღლსა და გაუტანლობას, რასაც დღითი დღე აღვივებდა მამამდიანურ ირანის მთავრობა.

სამშობლოს ბედზე დაფიქრებული სულხან-საბა დასავლეთ ევროპაში ეძებს დამხმარე ძალას, მაგრამ მის ელჩობას ქართლსათვის სასურველი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია:

„რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალდან ელჩმა. ქართლისაჲმ!...“

ამ მრავალმხრივი მოღვაწის შემოქმედებით-პოლიტიკურ ცხოვრებას მიუძღვნა ავაცი გეგაძემ სამმოქმედებინი პიესა „სულხან-საბა“, რომელიც ახლახან თავის სცენაზე წარმოადგინა ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა. სამეტკალი დადგა რეჟისორმა ვლადიმერ მოღვაძემ, მხატვრულად გააფორმა დიმიტრი თავაძემ, მუსიკალური მონტაჟი ვკუთენის კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძეს.

პიესის მოქმედება იშლება ქართლის იმ ერთ-ერთი ძნელბედობის ფონზე, რომელიც დაემთხვა ვახტანგ მეექვსის მეფობას.

...ფარდის გახსნისთანავე, სიბნელეში ისმის ქართული საეკლესიო საგალობელი. სიბნელეს კვეთს მკრთალი შუქი და მბრუნავ სცენაზე მაყურებელთა თვალწინ წარმოი-სახება საქართველოს შორეული წარსული და სცენის ტრიალი იკითხება როგორც ეროვნული ბედის ჩარხის უკუღმა ბრუნვა.

...აკვანს გადაფარებული დედა, გულგანგმირული ვაჟკაცის დატრება, უთანასწორო ბრძოლა თუ გატაცება-გაიძღვის მწარე ხვედრი, რომლის მსგავსი არცთუ იშვიათი იყო საქართველოს ისტორიაში, რეჟისორმა სცენის ერთი შემობრუნებით ისეთ ფერებში წარმოადგინა, რომ მაყურებელი იმთავითვე განაწყობ, ღრმად ჩაეხედა პიესით მოცემული ისტორიული გარემოს სიღრმეში.

ეს ეპიზოდი, რომელსაც სამეტკალში ფაქტიურად პროლოგის როლი აკისრია, არ არის პიესაში. უკვე ასეთი საინტერესო დეტალის მიგნებით ვ. მოღვაძემ გამოავლინა დრამატული ნაწარმოების შესატყვისი რეჟისორული ინტერპრეტაცია.

...ნახევრადანბნელებული სცენის ერთ კუთხეში ინთება სანთელი. სულხან-საბას ცოცხლოფილი თამარი სულხანზე ლოცულობს. მეორე კუთხეში ნათდება სენაკი, ისმის საბაბას ლოცვა-ღაღადი: „თამარ, შემიძინე, რომ მიგატოვო! ბევრი ვიქნეი ხმალი შიშველი, მაგრამ შინაურ და გარეშე მტერი ანდერძი ვერ ავუგებ. ამიტომ მეორე ხელში ჯვარი დავიჭობ. ახლა ერთდროულად ჯვრითა და ხმლით ვიბრძვი“.

ასე იხატება მთავარი პერსონაჟის დრამატურგიული პორტრეტი, რომელსაც ზედ ერთვის მისივე დიდი პატრიოტული სულისკვეთების ტექსტი: „შენარსო, საქართველოს სიცოცხლეს გავედრებ, ჯილდოდ ამ ქვეყნიდან არაფერს ვითხოვ, მხოლოდ ისე უ მომკლავ, ჩემი ქვეყანა წელგამართული არ ვიხილო...“

საბას ამ ვედრებას რეჟისორმა ისეთი „ტრიბუნა“ შეუ-თავსა, რომ ბერის ხმა დაბანაში არა მარტო ღვიისისთავის უბრალო ლოცვად გაისმის, არამედ ომანხან, რწმენით აღსავსე მოწოდებად, რომელიც მამულის სიყვარულით და მტერზე გამარჯვების იმედით ალაგუნებს და აღანთებს ხალხს. და მომდგფრო სურათში, სიდავ გლეხი მახარე ცალ ხელში ხმლით, მეორეში კი — ნამკლით გამშავებული ებრძვის ისმალოს, მაყურებელს ჟვარა, რომ უძღვევლია ქართველი, რადგან მის მხარეზეა სიმართლე; ამ უძღვევლობას განამტკიცებს სამშობლოსადმი სწორედ ისეთი სიყვარული, როგორიც საბა ბერის გულში ღვივის.

ხსიათითი აბსოლუტურად განსხვავებულ ამ ორი სურათის კომპოზიციურ გადაჯაჭვულობაში რეჟისორმა

მიავნო დრამატული ნაწარმოების მთავარ ნერვს და მას შესაბამისი რეჟისორული გამოსატყა უვადება.

ვ. მოდებაცე ერთგულად მიყვება პიესის ძირითად ხაზს, მაგრამ მის ტყვეობაში როდი ექცევა. პირიქით, გზადგაგზა ხეწის, ამუშავებს და ანვითარებს. როცა კვანძი იხსნება და დგება კეთილი და ბოროტი ძალების გადამწყვეტი შეჯახების ეპიზოდი, სულხან-საბა, თავისი ერის ეს ქვეყმარტი შვილი, ქუმანური მისწრაფების, სიმტკიცისა და შეუდრეკელი სულის გამომხატველია.

შთამბეჭდავი აგრეთვე სპექტაკლის ფინალიც. საბას შთათურობით ხალხი ამარცხებს ბოროტ იესეს. გამარჯვებულთა ზეიმზე კვლავ ისმის ბერის გერევა ზენაარსი-სადმი, ამიერიდან მაინც აშორდეს ტანჯულ სამშობლოს სისხლის წვიმებს. მაჟორული მუსიკის ფონზე ხალხი ხმა-შეწყობით იმერებს საბას სიტყვებს. სულხან-საბას სპექტაკლის ოპტიმისტური ხაზი, რომელიც წარმოდგენას თანამედროვე ელრადობას აძლევს.

წარმოდგენის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად უნდა ჩაით-

გორიც აღბეჭდა ჩვენს წარმოდგენაში მემბატანემ. ახრვანი, ბრვე ვაქვაცი, არა მარტო მწერალ-დიდაქტიკოსი, მრჩეველი და დიპლომატია, არამედ სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული მფომარი. ა. ბარათაშვილი შესანიშნავად ატარებს სცენას მებაღესთან, რომელსაც იესეს დავალებით სურს სიცოცხლეს გამოასაღლოს იმ დროს საქართველოს ეს ყველაზე გულმზურავლე ჭირისუფალი. მაგრამ მტრები ანვარშიმ მოტყუებდნენ. საბა ხმლის კაციც იყო. მსახიობმა ამ მომენტსაც გამოუძებნა შესაფერისი საღებავები, წარმოსახა ბერად შემდგარი ერისკაცის საინტერესო პორტრეტი, პორტრეტი იმ კაცისა, რომელმაც სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის ფიქრსა და ბრძოლას შესწირა ყოველივე პირადული: დამთო ოჯახი, მუედლე, ადამიანური სიამე. ა. ბარათაშვილის ხმა, ფესტი თუ მიმიკა ბუნებრივი და გამომსახველია.

სპექტაკლში მთავარი საკონფლიქტო კვანძი ქართლის თვითმარტქია მეფის იესეს ანუ ალიყულიხანის გამოჩენისთანავე იკვრება. ალიყულიხანი ისტორიულად დაუბნო-



სცენა კოათურის თვატრის სპექტაკლიდან „სულხან-საბა“. ცენტრში ა. ბარათაშვილი სულხან-საბას როლში

ვალოს მისი დინამიური, თანაბრად აჩქარებული რიტმი. აქ კი თავის გადამწყვეტ სიტყვას ამბობს მსახიობთა ანსამბლი. სპექტაკლის საერთო არქიტექტონიკა ლაპიდარულია, რის გამოც მსახიობებს უადვილებათ ხასიათების გამოძიწწვა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, წარმოდგენის ემოციური ძალის გავლენით. სინამდვილეში კი მსახიობებმა ცქელაფური ვააკეთეს იმისათვის, რათა მაყურებელსამდე სწორად შეეტანათ დრამატურეისა და რეჟისორის ჩანაფიქრი. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ანტონ ბარათაშვილი, რომელიც სპექტაკლში სულხან-საბას როლს ანსახიერებს. მას პირველ რიგში მხოლოდ იმიტომ კი არ ვახსენებ, რომ მთავარი პერსონაჟის როლში მოგვევილინა, არამედ იმიტომაც, რომ მისი არტისტული მუზა საერეყენოში წარმოდგენაში ნამდვილად მალღ რანგშია. მსახიობმა ღრმად გაიაზრა გმირის სახე, მისი ისტორიული გარემო და სულიერი განცდები.

ა. ბარათაშვილის სულხან-საბა სახელოვანი მამულიშვილია, „მთელი საქართველოს მამა“, სწორედ ისეთი, რო-

ბელ, ბოროტ, მსაკვარ და გაუტანელ პიროვნებად არის ცნობილი. ღოდარ ჩაჩანიძეს ცდა არ დაუკლია იესეს ყველა ამ თვისების გამოსვლუნად. საერთოდ ნ. ჩაჩანიძე ჭეშმარიტად ბუნებრივი არტისტული ნიჭით ხასიათდება. მისი მთავარი იარაღია გარდასახვის კარგი უნარი და იმიტაციცა.

ნ. ჩაჩანიძის იესეს დიდ ბოროტებასთან ერთად მოხეხებულმაც გაჩანია. მან იცის, რას ემყარება მისი ტახტი, ამიტომაც ყოველ ღონეს ხმარობს, თავიდან აიცილოს დაუმიწნებელი მტერი სულხან-საბა. ამავე დროს ჩაჩანიძის სეული იესე ღრთხილი და წინდახედული კაცია, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. მაგრამ სიმართლე მაინც ზვიმობს. და როცა მისი ტახტის აღსასრული დადგა, გამძინავრებული ალიყულიხანი გარვეწული სიმშვიდით უახლოვდება დედოფალს, რომელსაც ცოტა წულივი რთად მიუძღვის კოცონზე დასაწყვავად გამზადდული საბას დარჩენაში და მისისანებადაოკებული სუსხიანი სიტყვებით მიმართავს: „მეფური ჯილდო გვეკუთვნის, დედოფალიო“, მაგრამ ამ სიტყვების მიღმა, ცხადია, მთავარი ახ-

რია ჩასაფიქრებელი. მსახიობი არ აყოვნებს ნათქვამის ქვეტექსტის გახსორციელებას. მისი გმირი ხანჯლით გაურპობს გულს ღედღვალს.

ახალგაზრდა მსახიობი ლილი თავაძე საფუძვლიანად გაერკვა სპექტაკლის ნაიფფერვან, როგორ სიტუაციაში და შესაბამისად სრულყოფილად წარმოადგინა ძალიან გადღეღღალებული, სათხო და კეთილი, ამასთან შეუპოვარი, პირდაპირი და უმიზარი ქალის — დარეგანის სახე. ხოლო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნიკოლოზ ქაქუაშვილმა ოსტატურად დახატა მლიქვნელის — თავად ბაკურის პორტრეტი; პორტრეტი ისეთი აღმანიანს, რომელიც ახგარიშმოუცემლად ევლობა ბოროტების წუშემდეგ და შეუძლავს ყველაფერი, თვით შვილიც კი, შესწირის პირად გარირვას. მაგრამ ნ. ქაქუაშვიდს ბაკური გამომღეუბულად კი არ გადმოსცემს თავის ფიქრებსა და ზრახვებს, არამედ როლის განხილვების ლოკითი არწმუნებს მათურების თავის სულიერ სიმდაღვში. მსახიობმა ქვემოტრატად სწორად იაზრა, რომ ეს სიმდაღვე გმირის დაქინეზებული სულის ანარეკლი როდია, იგი ძირითადად პოზიციის ათთომობის შიშით არის ნაკარხანია. როლის ასეთი გააზრების ფონზე ქაქუაშვიდს გმირი წარმოადგებდა როგორც ახლომდგომელი კაცი, რომელიც მხოლოდ დღევანდელი დღით სუნთქავს და სადი თვალით ვერ ჰქრებს მისგან.

სპექტაკლს პერიოკულ ტონალობას ანიჭებს სახალხო ამირი მახარე (გიორგი გაჩეჩილაძე). სპექტაკლში მას მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრის. მსახიობის ყოველი გამოჩენა მისი გმირის გაჯგაყური ცხოვრების ახალი აურაცლია. მახარის თავგანწირული ნათლღები მტრებთან, საწმინდოსამომი მისი ერთგულება ბრძოლი შარხობითა და ხატული პიესაში და მსახიობზე გმირული შემართებით წარმოადგინს თავისი გმირის სიყურად სახეს. მაგრამ მის მოქმედებაში ზოგან მაინც იგრძობა ერთგვარი რაგუნდაობა და შებოჭილობა. მაგრამ იმდღია, რომ იგი სპექტაკლით და სპექტაკლამდე დახვეწს და სრულყოფს თავის გმირს.

საინტერესო სახეა დღით ქერდიავშვილის აყამირი. იგი ფაქტია და უმანკო სოფლოკი აიკონის როლს ასრულებს. დრამატურგიოლად ამ სახეს, მახარესთან ერთად, სპექტაკლში ჯანსაღი ლირიული ნაათი შემოატას. ამ ნაატად რომ არ დაეკარგა ფუნქცია და სპექტაკლის ძირითადი მავისტრალური ხაზიდან არ ამოარდნოკოყ. რეჟისორმა მწიურლიკული ტექსტი ზუსტად მსახიობური ინტერპრეტაციით ასაძღვრა. რაც შემსრულებლისაგან სიტუაციის შეესატყვის აგრდასახვასა და ინტონაციას მოითხოვია. დ. ჭირთიაშვილმა სწორად გაიაზრა აყამირის სახე, რამაც მის თამაშში მეტი სისაოავე შესძინა. განსააორებდა თასა-მასლობოტოკია აყამირის ოცენება-საუბარი მახარესთან სიყაროლოთ მიქნელო მიმავალ ოჯახზე. აერთიერ მასსთან მისი რამოხილებების კამი. ამ ორ ეპიზოდში საოყრად განსხვავებულია დ. ჭირდიავშვილის გმირი.

და თუ ზემოთ აღნიშნული პირეკლი ეპიზოდი ჭერდიავშვილის ოა აჭერილია მსახიობურმა დუეტმა განადა დასამსხორბოლო, მეორე ეპიზოდის წარმავლად ბიჯადა განაპირობა რისპოზიციის დამსახურებელი არტისტის ააკი ბაქტაძის თამაშმა. იგი სპექტაკლში ცხოვრების მძიმე ტვირთქმე მოხროლი, მაგრამ სულთ გაატყობილი მიწქილიისა და მოსიყარული მამის საინტერესო სახის აკოტრია. ამ როლში ერთხელ კითავ ნათლად გამოჩნდა მისი შემოქმედებითი პალიტრა და მზარდი ოსტატობა...

მთავარი პერსონაჟების ხასიათებისა და მიჯანსწრავიის გამოკვეთაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მეორეხარისხოვანი და ეპიზოდური როლები შემსრულებლები. სპექტაკლში რამდენიმე ეპიზოდური როლია, რომლებსაც თეატრის წამყვანი მსახიობი ზურაბი ლომიძე და მისი თანამოგონები ასრულებენ. მათი როლები მსახიობების მიერ ასრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე. მათი როლები მსახიობების მიერ ასრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე. მათი როლები მსახიობების მიერ ასრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე.

სპექტაკლში რამდენიმე ეპიზოდური როლია, რომლებსაც თეატრის წამყვანი მსახიობი ასრულებენ. მათ თამაშში მონაწილეობენ მსახიობები, რომლებსაც თეატრის წამყვანი მსახიობი ასრულებენ. მათ თამაშში მონაწილეობენ მსახიობები, რომლებსაც თეატრის წამყვანი მსახიობი ასრულებენ.

სულ სხვაგვარად წარმოადგინა იესეს ხახვარძის, კათალიკოსი დომენტი იერსაბო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ამირილიან ხვედელიძემ. მასში პატივმწყვარბობის გრძნობა აღვიდა თრუნავს კეთილსინდისიერებას და სახას წინააღმდეგ დახლოებული სრეკების ერთ-ერთი მთავარი მთავავეაგანი ხდება.

დრამატულ ფერებში გაიაზრა სულხან-საბას ცოლყოფილი თამარის როლი რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ასათ მოსყვილმა. შთამბეჭდავია რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტი როდერი ჩანჩინე ხასანის როლში, აგრეთვე ვიტალი ნეჟარაძე, რომელიც ოქროზე სინის-ნამუსის გამცველ მეზაღეს ანახორებს...

როცა სპექტაკლ „სულხან-საბას“ ვლავარაკობით, არ შეიძლება დაივიწყოთ მისი შესანიშნავი მხატვრობა, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატ დომიტრი თავაძის ნაცად ფუნჯს ეკუთვნის. საინტერესო მუსიკალური მონტაჟი შექმნა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კომპოზიტორმა იაკობობობიძემ და თუ სპექტაკლის შესანიშნავი დეკორაციული მხატვრობა აცოცხლებს სახას მოღვაწეობის პერიოდის საქართველოს, მუსიკა ხელს უწყობს მათს დასახურებას ღრმად ჩაახედის იმ ძნელებლობის ლაბირინთში, სადაც საკუთრების მიღმა ჩვენი ერის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლა იწყება და იფერადებება „მთელი საქართველოს მამად“ აღიარებული, სასიქადლო მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი „სულხან-საბას“ შემქმნელ კოლექტივს როდი აძლევს თვითდამშვიდობის საბაბს. მარალია, ჩვენი უპირილესი სურვილი იყო წინა კლანზე წამოგვეწია სარეკონსო სპექტაკლის დადებით მხარეზე, მაგრამ ეს სურვილითავე არ იწინავს, მიგრძელით სპექტაკლის ნაღვთვანებები, რომლებიც საკმაოდ გააჩნია წარმოდგენას.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მილიანიბოში რეჟისორულ და აქტიორულ ნამუშევარს ვერ კიდევ ჭირდება ჩაფიქრება, რადგან უსტეტი მოზარდებისა და პლასტიკურების მიღწევის ხარჯზე მოკავრ უგლოებულყოფილია დამაჯერებლობის ლოკია. სახისა და ხასიათის შიდაგანი ბუნების გადმოცემის ნაცლად იგრძნობა ლტლუვა კარგული ფეკტებისაკენ. ეს გარემოება მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ აჩვენებამ სახეთა დამუშავების, რასაც ზოგიერთი სუენის სპექტაკლის შესაბამისი დამატებითი დაუტვირთობავე ადგება, დაუკარგა სათქმელს სრული შემოქმედების უნარი. და ეს სამუშაოთა სწორად მანში, როცა საქმე გვაქვს ძირითადდ სერიოზულ ნამუშევართან. მაგრამ წარმოდგენა მაინც იღუნდა საყურადღებოა, რომ აღნიშნული ხარვეზები ვერ აუგასტრებს მის მხატვრულ კლსებას. და თუ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ვლავაძე იზრუნებს სპექტაკლის შემდგომი დახვეწისათვის, უდავია „სულხან-საბას“ სახით ჭიათურის თეატრის რეპერტუარს მომავალშიც დაამშვენებს ეროვნული გრძნობებით გათმობარი საინტერესო სპექტაკლი.

კომუნისტის ლადო მონიჭების სახელოების თანატრები

დღისა და ღამის პარალელები

დოდო ბარათაშვილი

სმენა წვედიადს მოუცავს. ძლივს ჩანს ორი კაცის სილუეტი, თვალტანადობით თითქმის ერთნაირი არიან. დროდადრო წერვივლად მოქაჩული პაპირისის შუქზე თუ ივლევენ მათი სახეები. მათი დიალოგი მკვეთრი, მკაცრი და უკმეხია. სიტყვებს ტყვიეობივით ესვრიან ერთმანეთს. ასეთი დაძაბულობით იწყება ლევან სანიკიძის პიესა „არქეოლოგიური ქრონიკა“, რომელიც სიყვარულის, პატრიოტიზმისა და ზნეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებია. ეს მარადიული თემს ავტორს ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი: მთავარი ზნეობრივი საკითხების მხატვრული გააზრება გამომდინარეობს თანამედროვეობისა და წარსულის შეპირისპირება-გერწყმას საფუძველზე.

დიდი ქართველი პროზაიკოსი და პუბლიცისტი მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „მე მიყვარდა ქართული თეატრი... როგორც ჩვენნი წარსულია, ჩვენი დიდებული წარსულის მასწავლებელი“. ლევან სანიკიძემ სწორედ ისტორიული წარსული გამოიყენა დღევანდლობის დიდი პრობლემების გადასაჭრელად. მან შემოღო თანამედროვეობა ისე შეეპირისპირებინა ორი სასუენის წინანდელ ისტორიასთან, რომ მხახველმა მათ შორის კონტრასტი შეეშინა. მან შეძლო თანამედროვეობის პარალელები, რომელიც ყველა დროის ჭეშმარიტ ადამიანს ერთნაირად აკავშირებს: „ჩვენი წარსული ხომ იმედისა და რწმენის ისტორიაა და იგი უპირველესად სწორედ იმას

გვასწავლის, რომ ყოველმა შთამომავლობამ წინ გაიხედოს, მხოლოდ წინ“ — ამბობს ავტორი.

ორი სხვადასხვა ეპოქის ერთდროულად წარმოდგენა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ სპექტაკლი ანსამბლურობას დაკარგავდა, მაგრამ დრამატურგმა ისე საინტერესოდ და დინამურად განავითარა მოქმედება, მისი პერსონაჟები ისე ცოცხალია, დაალღობები — ლაკონური და მხატვრული, რომ სპექტაკლი ერთ ძლიერ დერძე შეიკრა.

პიესის წამყვან გმირებს — ბექასა და კასან ცხოვრებამ მრავალი ერთმანეთის მსგავსი რამ შეუქმნა, მაგრამ ორივეს არსებობა მინც სიყვარულია ყველაზე მძლავრი და წარმმართალი. ისინი ხასიათით, თვალტანადობით, საზოგადოებრივი მდგომარეობით ერთმანეთს გავან და გასაოცარი ის არის, რომ ბექას მეუღლეს მისი ქმრის მსგავსი კახა შეპყვარებია.

თავისებურია თვით ნინო-თენებას სიყვარულიც. იგი ქმრის პატივისმცემელია, მაგრამ ის საოცნებო და მიუღწეველი, რაც მისთვის ოდესღაც ქმარი იყო, ახლა კახა-ჩიბურნი გამხდარა. მაგრამ ნინოს გრძნობა მხოლოდ დღისა და ღამის ერთი ღამისა ზმანება იყო, წინაპართა ამრდილებმა მას საკუთარი თავის დაუფლების ძალა მისცეს.

პიესის თეატრალური ორიგინალიზაციას სწორედ იმისი მდგომარეობა, რომ გრძნობა-მოვლუბობის ჭიდილში გაორებული ნინო და კახა მთავანე ალმონიერი არქეოლოგიური წარსულის სიღრმეში იძიებინან და მთვანე-ე-გაეცოცხლებულ“ ისტორიულ პერსონაჟებს მართებულ პასუხებს თანამედროვე ზნეობრივ საკითხებზე.

ავტორის აზრით, გრძნობისა და ზნეობის ჭიდილში ჭრადიციულად იმართება ადამიანური მოვლუბობა. „ნათლარაგვი სიყვარულისადმი მიძღვნილ სიამოვნებას, მისი უარსებობით მიღებული სიმწარე გაგრძელებს“. ამას მოთხოვს ჩვენი ათასწორიანი ისტორია. ამასვე მოითხოვს წინაპართა ამრდილება. რადგან „ამ ჩვენს პატარა ჩიქვანსაში ათორი წლების მანძილზე რამდენიმე პოლიტიკური და საზოგადოებრივი წმობილება დაშლილა და დანგრეულა. მაგრამ ზნეობა, ჩიქვანობრივი ავადიის ზნეობა, ჩიქვანობრივი ზნეობა იყო და დარჩენილა. ერთადერთი ერთნაირი, შეუცვლელი და შეუგრყნელი“.

ოთხან სანიკიძის მიერ პიესაში დახატული გმირები ერთნეული ტრადიციებისა და ადამიანური

ლირების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის იბრძვიან და მათ არანაირს თავს ვერწყობდნენ, რომ თუნდაც ქვეყანა აიკის გარეგნულად, შენს დიდებულ ჯარადივიულ ზნეობას მიიღებ არ უნდა უღალატო.

თავტარის მთავარმა რეჟისორმა თამაზ მესხმა დიდი გულმოდგინებით, დაკვირვებითა და ინტერესით იმუშავა მსახიობებთან, რომლებმაც სანიტრისო ხასიათები შექმნეს. რეჟისორი ადვილად თავიანთი ფიქიოლოგიითა და რწმენით წარმოადგინა ახლები გარკვეული სამყაროსადამიანები. არათურმა ზედტემატა არ უნდა მიიყვაროს მავრებლის ყურადღება, გარდა იმისა, რისთვისაც გახშირდება სპექტაკლი — ასეთი გადაწყვეტილებით მუშაობდა რეჟისორი.

სპექტაკლში წამყვანი ადგილი უჭირავს ჭალს. ნინო-თენება (მსახიობი ი. მესხი) გათრებული ჭალის სახეს ჰქონის, მაგრამ მსახიობი მიიწვევს ურფული და უშუალო. განსაკუთრებით ეს იგრძნობა თენებასა და ლომშერის დიალოგისას.

თენებამ გამოიარა არა მხოლოდ ვენებათა და განცდათა ქარტეზილი, არამედ კიბოსი ჩარიშხალიც და სწორედ დროის მრისხანებამ შეაძლევინა საუთრად სისუფრის დაძლევა. ახალი აზრი მისცა მის ცხოვრებას. ნინო მისადარებულად ჩაასხულა გრძობას მიჰყავს არა დამღებულ დასარულად, არამედ ახალ საწყისებთან, სადაც ზნეობა ადამიანს ყველაზე დიდ ბედნიერებას ანიჭებს.

ნინო-თენებამ კარგად იცის, რომ ასე გათრებულ მდგომარეობაში ყოფნა აღარ შეიძლება. იქნებ ამ წინასწარმა ხილვებამ მიიყვანა იგი თავგანწირვამდე. იმის ყველაზე მძაფრ წუთებში, როდესაც რომელიღაც კლიონები კოლხისს შემოესივნენ, ჭიჭიერისა და ლომშერის სიკვდილით გამამკვეთე თენება გადაწყვეტილებით — „რასაც წამაღნი ვერ გაქვარწვენ, რკინა განკურნავს. რასაც რკინა ვერ განკურნავს, ციკლს განკურნავს.“ — ჩირაღდანს აიტაცებს და ქალაქს ხანძარს გაუჩენს.

სიყვარულისა და ზნეობის ჭიდილი დარჩილა დიდმა პატრიოტიკლმა გრძობამ, რომელიც ჩვენს ხალხში ისტორიულად ყველა სხვა გრძობაზე მაღლა დგას.

რეჟისორმა მონდომებით იმუშავა ცეცხლის ვაჩენის სიყვარულზე და მისხანსაც მიადგინა. აქ განსაკუთრებით აარგადაა გამოყენებული განათება, მავ-

რამ თენებას მონოლოგი ხანძრის გამძვირებლის შემდეგ ცოტა არ იყოს პლაკატური გვეჩვენებს.

კახა-ჩიბურის როლში ანზორ ხერხეიძე როტიანოვლის სახე გამოკვთავი. იგი მეოცნებე, ნათელი სულის ადამიანია. თვით უმნიშვნელო საუბარში, ადამიანებთან ურთიერთობაში იგი ავლენს კეთილშობილურ ბუნებას. ყოველთვის იგრძნობა, რომ მას რაღაც უფრო მეტი და მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, ვიდრე ის, რასევე ლაპარაკობს.

ა. ხერხეიძის კახა რომანიკული ანწყობილების მგრძობიარე და მომხიბლავი ვაჟაცვია. მისი ბუნება შესანიშნავი ფონია იმისათვის, რომ ჩვენს წინაშე გაცოცხლდეს გრძობისა და მთავალაობის ჭიდილი, დაეარსებოს მისი სიხარულიცა და ტკივილიც.

ბექა-ლომშერი სპექტაკლში მოვალეობისა და ზნეობის დამცველად გვევლინება. იგი ვაჟკაციური ბუნების, ძლიერი ნებისყოფის პიროვნებაა. — ასე დაგვიხატა იგი მახინჯმა ნიკო წილაძემ.

მსახიობი გ. გვერდიძის მიერ განსახიერებული, მეცნიერებას მიტმასნილი კარიერისტი გურგენ ჩხეიძე ცდილობს ყველაზე წინ დაიძვას, გაუფრთხოს თავის შესაძლებლობასაც კი. იგი ურუმოვით აპირსებოთ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს იმას, რასაც თითოთნ ფერხობს. ამიტომაცაა, რომ რასაც თითოთნ სხადის, სწორედ ის მიანიძა აზრისა და ზნეობის ნორმად. მის გონებას ვერ მავწყდა ის აზრი, რომ ადამიანს პირადი ინტერესების გარდა, შეიძლება გააჩნდეს, ისეთი რამ, რისთვისაც ღირს თავგანწირვა.

ამიტომაცაა, რომ ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აართობა ანდიდუიხსა და თავის გამომჩინეს მანიით შავყრობითი „მეცნიერი“. მასში ჩაენი პირადი რიგში ვხედავთ საქმისანს, კომბინანტს, უნებისყოფი ადამიანს, რომელიც ყველა ჭალს, როგორც საერთოდ ყველაფერს. უკეთესიარული გაანგარიშებით ზოგადას. აგტორის სასაყვედურად მიიღებ უნდა თქვენს, რომ გურგენ ჩხეიძისთა თაისთად სანიტრისო სახეს. რამდენადმე კიზოთდურ ხსიათას ატარებს.

უკეთ რამდენიმე წილია ლ. მესხნიოთის თეატრის სკინაზე ათარ უთამაშონა საპატრელოს სსრ სახალხო არტისტის იპოლოკი ხვიჩიას. ჩვენს მავრებელს გულწრფელი აღტაცებით

შეხვდა საყვარელი მსახიობის გამოჩენის. ვახტანგის სახე სპექტაკლში თავისებურად გარდაქმნილი და გაღრმავებულია. ეს არის უარდრებებს კონრეპასნილი და მოქნილი ადამიანი, რომელიც უმაღლეს ალბის გარემოებას და არ შეწყობს თავისი ქვეყანა და გადაწყვეტილების სისრულეს. ამიტომაცაა, რომ მავრებლის აღარ უკვირს მისი აშკარა ცინიზმი ყოფილი თანაკლასელის (გურგენი) მიმართ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პიესაში შესანიშნავადაა გაცთვებული ინტერმედები — მოქმედებებს შორის ჩართული კომედიის ხასიათის სცენებით კარგადაა შეტრული, განსაკუთრებით პირველ ნაწილში.

მეექვსე მთორდატეს როლი სპექტაკლში შესანიშნავად შეასრულა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ვახტანგ მეგრელიშვილმა. მის მიერ განსახიერებული პონტოს მეფე სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირია, რომელიც მზადაა ქვეყნის გადარჩენისათვის გასწიროს ყველაფერი, თვით შვილიც კი.

მრისხანე მითრიდატე მიიღებ ჩვეულებრივი ადამიანია და სპექტაკლში სწორედ ის სცენაა ყველაზე უფრო ძლიერი, სადაც მტლავნდება მისი ადამიანური ტრაკილები და ტრაკედია. შემსარავია მთავრდება — „მეარგამე ხომ შელთი მომიკვდა, ცერმელი კი გაჩნდა, მეარგამე მე ხომ შელთი მომიკვდა. ცერმელი, ცერმელი, ცერმელი, თორემ დავისრენი...“

სამწუხაროდ, სპექტაკლში სქემატურადაა წარმოდგენილი რეაქციონის მდინარის სახე (რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტები — ნაცელიშვილი), პიესაში კი იგი სრულიყოფილი დრამატული პერსონაჟია.

მოქმედებისათვის მსახიობის მოხერხებულ ფონი შეუქმნა თეატრის მთავარმა მხატვარმა ჟიორან ფაჩუაშვილმა. გაფორმების ძირითადი საშუალებები — დეკორაციები და კოსტუმები კარგადაა შეტრული.

სპექტაკლისათვის მუსიკა გემოვნებით შეარჩია კომპოზიტორმა ი. ზოზოხიძემ.

„არჩვეულებრივი ქრონიკა“ ქუთაისის ლალე მესხნიოვის სახელობის თეატრის კითვი ერთი გამარჯვებაა. ეს ნაწარმოები ალბათ ისევე დამკვიდრდება ჩაენს რესპუბლიკის სხვა ქალაქების სკინებში, როგორც ლევან სანიკიძის სხვა პიესები.



მარო თარხნიშვილი

ხალხური სიმღერების მესაიდუმლა

ნელი ჩაჩავა

ქართლში, მდინარე კავთურას ნაპირზე, გადაშლილია ას-
წლიანი კაკლის ხეებით, ზერებითა და ბაღებით, ტრიალი
მინდვრებითა და მორაკრაკე წყაროებით დამშვენებული სო-
ფელი კავთისხევი. აქ გაიზარდა პირველი ქართველი ლოტ-
ბარი ქალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მარო ეს-
ტატეს ასული თარხნიშვილი.

მარო მეცხრე შვილი იყო გიორგი სააკაძის შთამომავ-
ლის — ესტატე ნაოლოზის ძე თარხან-მორუავისა. ეს
თელსაინიო გარეგნობის ვაჟკაცი სასიამოვნო სასიმღერო
ხმითაც იყო დაჯილდოებული. მისი მეუღლე — ნატო მე-
ქანარიშვილი თავმდაბალი, კეთილი და სათნო ადამიანი,
მარჯვე უძღვებოდა თავის მრავალრიცხოვან ოჯახს.

ოთხი წლისა იყო პატარა მარო, როდესაც ერთ-ერთი
ქართული სიმღერა უშეცდომოდ იმღერა. თარხნიშვილების
სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ციციშ-
ვილები, ამირჯიბები, ამილახვრები, ერისთავები, გედე-
ვანიშვილები, მაღალაშვილები და სხვები. იმართებოდა ნა-
დამი, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.
მათ მიერ შესრულებული სიმღერები დღეს გრძელდებოდა.
მათ მიერ შესრულებული სიმღერები დღეს გრძელდებოდა.
მათ ახდენდნენ სმენად ქვეულ პატარა მაროზე. მალე მან
გიტარაზე დაკვრა ისწავლა, თან გატაცებით მღეროდა.

შვიდი წლის მარო სასწავლებლად წაიყვანეს თბილისში
და ახლო ნათესავის — პოლკოვნიკ ასლან თარხან-მორუა-
ვის ოჯახში დააბინავეს. პატარა მარომ ორი წელი ძლივს
გასძლო თავისი ოჯახის გარეშე, ერთობ მოიწყინა და მშობ-
ლები იძულებული გახდნენ ისევ სოფელში დაებრუნებიათ.
ნაბოლარა ნებიერი გოგონა მთელ დღეებს ტოლ-აშხანა-
გებთან ერთად ატარებდა.

ერთ ზაფხულს კავთისხევის მონასტერში, ღვთისმშობ-
ლის დღეობაზე, ქართლის ახლო-მახლო სოფლებიდან ჩა-
მოსულეებს შორის, თარხნიშვილების ოჯახის წევრებიც
იყვნენ. სუფრა გაიშალა, ათი წლის მარომ რიხიანად შემოს-
ძახა — „წაიყვანეს თამარ ქალი, დიელო-და!“ მას უფრო-
სებიც აყვნენ. არე-მარეს მივფინა ქართული სიმღერის
მადლიანი პანგები.

სიმღერასთან ერთად იზრდებოდა მარო, მისი ხმა სულ
უფრო ეშხიანი და გამომსახველი ხდებოდა. მის უფროს დას
ეკატერინეს კი უკვე ყველა მოხიბლული ყავდა ქართლ-
კახური სიმღერების თავისებური შესრულებით. დების ხმე-
ბი დიდებულად შეერწყა ერთმანეთს, რომელთაც მამის
მოხდენილი ბანი ამშვენებდა! ესტატე თარხნიშვილის ოჯა-
ხის ხშირი სტუმრები იყვნენ: ლადო, სანდრო და შიშა კავ-

საძებრო. როდესაც თარხნიშვილები და კაცსაძებრები ერთად მღეროდნენ, მათ მოსმენას არაფერი სჯობდა.

ერთ დღეს კავთისხველმა ახალგაზრდებმა აკაკი წერეთლის „პატარა ვახის“ დადგმა განიზრახეს და წვევან ქვაბულის როლი მართს დააკისრეს, რადგან მისი დაბალი ხმა (კონტრალტო) კარგად ერწყმოდა ნ. სულხანიშვილის დიდებული სიმღერის „დაიგვიანეს“ პანჯებს. ამ დღიდან ეს სიმღერა მთელი მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა.

მართ თავის სოფელში ახალგაზრდებისაგან ცეკვა-სიმღერის გავრცელებს აყალიბებდა. მამა „პატარა დირიჟორს“ ეძახდა. ზაფხულის დამეებს ახალგაზრდები სიცილ-ისიკისში, ცეკვა-თამაშსა და სიმღერაში ატარებდნენ. ასეთ შეკრებებს „მართს ლხინი“ დაარქვეს, რადგან ყოველივე ამის სულისჩამდგმელი „თარხანიანთ მართ“ იყო.

კავთისხევში გამართულ ერთ-ერთ დღეობაზე 14 წლის მართ ახალქალაქელ დიმიტრი თარხნიშვილს შეხვდა. მისმა გარეგნობამ და სიმღერამ მოხიბლა გოგონა. არც დიმიტრი დარჩენილა გულგრილი. მალე 15 წლის მართ და 21 წლის დიმიტრი ზაალის ძე თარხან-მოურავი დაქორწინდნენ. ერთი წელი ახალგაზრდებმა კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქში გაატარეს. აქ მართ ქალ-ვაჟთაგან საკვლესიო გუნდი შეადგინა, რომელსაც რამდენიმე ქართული ზალხურეი საეკლესიო და საერო სიმღერა შეასწავლა. პირველად 1910 წლის გაზაფხულზე გამოვიდა მართ თარხნიშვილი თავისი ერქსკაციანი გუნდით გორში. პირველ ხმას მისი და ეკატერინე თარხნიშვილი-ფალავანიშვილისა ასრულებდა.

ამ ანსამბლში მართ თარხნიშვილის ხელმძღვანელობით გაერთიანდნენ ეკატერინეს ვაჟი გიორგი ფალავანიშვილი, ესტატე ხუციშვილი, ვასო ლომოური, არჩილ ლვინავიცილი. მართს პატარა გუნდი თანდათან გამოიწრთო და რეპერტუართიაც გამდიდრდა.

1910 წელს გორის ინკლითერეციამ დიდი შეხვედრა მოუწყო აკაკი წერეთელს. მის საპატივცემულოდ გამართულ საღამოზე წარმატებით გამოვიდა მართ თარხნიშვილის გუნ-

დი. მართ იმღერა „დაიგვიანეს“. აღტაცებული აკაკი თურნე შუბლზე ეამბორა მართს და უთხრა — შენგან კარგი მონღერალი დადგებო. 1915 წელს კი აკაკი წერეთლის ნემეტის თბილისში გადმოსვენების დროს, მართს გუნდი სადგურ გრაკლში გვირგვინებითა და გალობით დაუხვდა სამკვლევარი პროცესიას.

1917 წლის შემოდგომაზე დიმიტრი თარხან-მოურავის მთელი ოჯახი თბილისში გადმოსასულდა. ჩამოსვლისთანავე მართმ შედეკაციანი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიოდნენ: დები თარხნიშვილები, გიორგი ფალავანიშვილი, დიმიტრი თარხნიშვილი, რევაზ მაღალაშვილი, თედო თურქაძე, ვასო კობახიძე.

ერთი წლის შემდეგ კი თბილისის ქართულ კლუბში დიდი წარმატებით ჩატარდა მ. თარხნიშვილის გუნდის პირველი კონცერტი. ამ დღიდან მართ და ეკატერინე თარხნიშვილების საკონცერტო ესტრადაზე გამოჩენას აღფრთოვანებით ხვდებოდა მთელი ქართველი საზოგადოება.

პუტინ-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი თავის მოგონებაში წერს: „1918 წ. 24 მარტს, ოპერის თეატრში გაუმართეთ ტრადიციული ლიტერატურული საღამო. სხვა მონაწილეობის შორის მოვიწვიეთ დები თარხნიშვილების გუნდი, ამ საღამოს მართმ იმღერა სოლოდ „დაიგვიანეს“ და „ურბული“. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. გარდა ამისა ეკატერინე და მართ თარხნიშვილებმა დიდი წარმატებით შეასრულეს „ჭოჩა“, მუშური“, „მე რვევენმა პატარასმა“ და სხვ. დღემდე ვერ დაუვიწყნია საზოგადოებას მართის სიმღერით მიღებული საიმეოვნება.“

1919 წელს მართ თარხნიშვილის გუნდმა პირველი საგასტროლო მოგზაურობა მოაწყო ბათუმში. მსმენელები მოიხიბნენ ქართულ-კახურეი სიმღერების დიდებული შესრულებით.

ბაქოში მცხოვრებმა ქართველებმა 1920 წელს მიიწვიეს დიდი საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი, ელი ანდრონიკაშვილი და თარხნიშვილების ანსამბლი. ისინიც გაემგ-

„გლეხური სცენა“ (1927 წ.). ცენტრში — მართ, თამარ და ეკატერინე თარხნიშვილები



ზაფრანგ, მაგრამ მარნეულს ვერ ვასცდნენ, რადგან აზერბაიჯანისაკენ მიმავალ შგზაფრებს საზღვარზე სათანადო პასპორტები და ნებართვა უნდა წარედგინათ, მათი ალება კი ვერ მოესწოთ. იძულებულნი იყვნენ დამე მარნეულის სადგურზე გაეთენებინათ. სადგურის მოსამსახურე ქართველებმა მათ სთხოვეს კონცერტის გამართვა. მთელი სადგური ხალხით გაიჭალა. ღია ცის ქვეშ გამართულმა იმპროვიზებულმა კონცერტმა აღფრთოვანა მსმენელები.

მ. თარხნიშვილის გუნდის კონცერტებმა თანდათან სისტემატური ხასიათი მიიღეს. გუნდი გამოდიოდა თეატრებში, კლუბებში, ბაღებში, სკოლებში. იყო დღე, როდესაც მათ სამ-ოთხ ადგილას უხდებოდათ გამოსვლა. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე ხუჭუა თავის წიგნში „მარო თარხნიშვილი“ წერს: „მართლაც რომ საამო სანახავი და მოსასმენი იყო ეს მცირერიცხოვანი გუნდი, ქალები ძველებურ ქართულ კაბებში, ერთნეული თავსართავით, ვაგები ქულაჯებში, წულა-მესტებში, ძვირფასი ხანჯლით წელზე. რაც მთავარია, მსმენელს ხიბლავდა უაღრესად მუსიკალური, ბუნებრივი და წმინდა ხალხურობით გამოირჩეული ახმოვანება ჩვენი მშობლიური ფოლკლორის ძვირფასი ნიმუშებისა. სიმღერების შესრულება იყო ძალაუტანებელი, ტკილი, საშუალო სიძლიერით, ყოველკვარი ხელოვნურობისა და გაუმართლებელი „აფშმტეზის“ გარეშე“.

ეკატერინე და მარო თარხნიშვილების წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩათ ქართული მუსიკის გამოჩენილ მოღვაწეებს: ზაქარია ფალიაშვილს, მელიტონ ბალანჩივაძესა და დიმიტრი არაყიშვილს.

1921 წელს, როცა თბილისში დიმიტრი არაყიშვილი ინიციატივით, მეორე კონსერვატორია დააარსდა, მან მარო თარხნიშვილი კონსერვატორიაში პედაგოგად მიიწვია. მარო სტუდენტთა ფინოგრაფიულ გუნდს ხელმძღვანელობდა და ქართულ ხალხურ სიმღერებს ასწავლიდა.

დიმიტრი არაყიშვილმა ახლოს გაიყნო მაროს ოჯახი: მოიხიბლა მისი შვილებს სიმღერით, მანვე უჩრია მაროს მათი გამოყვანა კონსერვატორიაში ერთ საკონცერტო საღამოსთვის. მართლაც, მარომ თავისი შვილები — თამარი, ნინა ვანო ერთ-ერთ კონცერტზე ამღერა, მათ შესასრულებს „ღამის მესტრე“, „მე წყარო ვარ“, „ჩაკერული“ და სხვა სიმღერები. საზოგადოება აღფრთოვანებით ულოცავდა მაროს შვილებს წარმატებას.

მარო თარხნიშვილმა დაამუშავა მუშურ-გლეხური ცხოვრების ამსახველი ხალხური სიმღერები და 1924 წელს პირველად გაიმართა (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში) კონცერტი, რომელზეც გლეხურ ტანსაცმელში გამოწყობილმა ანსამბლის წევრებმა სოფლის ცხოვრების ამსახველი სურათები წარმოადგინეს. აღფრთოვანებით შეხვდა აუდიტორია ამ წარმოდგენას. ხალხის მოთხოვნით კონცერტი მრავალჯერ განმეორდა.

1927 წელს საქართველოდან პირველად გაემგზავრა მოსკოვში სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი. ეს იყო რვა კაციანი გუნდი. მათ შორის იყვნენ მაროს შვილებიც. — ვანო და თამარი. ანსამბლმა მოხიბლა მოსკოველები. ორი წელი შემდეგ ანსამბლი კვლავ ეწვია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს. სწორედ იმ ხანებში მოსკოვში გაიხსნა გორკის სა-



მომღერალთა გუნდი მ. და ე. თარხნიშვილების ხელმძღვანელობით. ცენტრში — მარო და ეკატერინე.

მომღერალთა გუნდი მარო და ეკატერინე თარხნიშვილების ხელმძღვანელობით. ცენტრ — მარო, ეკატერინე და თამარი.



ხელობის კულტურისა და დასვენების პარკი, რომლის ესტრადაზეც გამოვიდა მარო თარხნიშვილის გუნდი. გახუთებმა აღფრთოვანებული რეცხნივები მიუძღვნეს ამ კონცერტებს.

1927 წელს ქუთაისში ჩატარდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, სადაც, სხვა კოლეტიკივებთან ერთად, მარო თარხნიშვილის ანსამბლიც გამოვიდა. ჟიურის წევრთა შორის იყვნენ სახელოვანი კომპოზიტორები მელიტონ ბალანჩივაძე და დიმიტრი არაყიშვილი. თარხნიშვილის ანსამბლს ერთხმად მიენიჭა პირველი ჯილდო.

მარო თარხნიშვილის ანსამბლის ერთ-ერთი წევრი თამარ ვარძიელი იგონებს: „დაუწყვეყარი რამ მოხდა, ერთ-ერთი გასვლითი კონცერტის დროს ბოლნისში, ვარდების ხეივანში, ღია ესტრადაზე გვექონდა კონცერტი. მარო მღეროდა „ურმულს“ სოლოდ. უცებდა მის სიმღერას ბულბულები გა-მოხუმარუნენ. გაჩუმდებოდა მარო, ჩუმდებოდნენ ბულბულებიც, ამღერდებოდა მარო, გალობდნენ ბულბულებიც, ბევრი ვიციანეთ და ვისიამოვნეთ. რამდენი ტკბილი და დაუვიწყარი წუთებია ერთად გატარებულა. როგორც ერთი ოჯახის წევრნი, ისე ვიყავით, როგორც საკუთარი მშობელი, ისე ზრუნავდა მარო ანსამბლის ყოველ წევრზე. მკაცრი და მომთხოვნი იყო, ამიტომაც ანსამბლში მუდამ სანიმუშო წესრიგი, ურთიერთ პატივისცემა და მეგობრობა სუფევდა.“

ნაყოფიერ შემოქმედებით შრომასი გადიოდა წლები. 1937 წელს მოსკოვში გამართული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, მარო თარხნიშვილი ქართულ-კახური სიმღერების უბაღლო შესრულებისათვისა „საპაატო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს.

1937 წლის ივნისში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შემოხაში მარო და ეკატერინე თარხნიშვილებს მოღვაწეობის 25 წლის იუბილუ გადაუხადეს.

საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ: საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელო-

ბით, საქართველოს საგუნდო კაპელა მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით, საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით, მჭირნუჯე ქალთა ანსამბლი ავქსენტი მგვრელიის ლიტბაროზით და თვით მარო თარხნიშვილის გუნდი. იუბილარია სახელზე მრავალი მისალოცი დაქუმა მოვიდა. მარო თარხნიშვილის ყოვლიმა მოსწავლემ პოეტმა ი. ნონეშვილმა ლექსი უძღვნა დებს და მათ „კეთისხეველი იაღლინები“ უწოდა. იუბილესთან დაკავშირებით მრავალი რეცეზნია დაიწერა. მათზე წერდნენ: „ვამა, თარხნიშვილის ქალებს, რომელნიც მღეროიან თავისუფლად, ნახად, ტკბილად, გულჩათბობილადაც და გულმზიარულადაც, აი ამ ორ დას კუთვინს პირველობა მშობლიური სიმღერის ცოდნაში.“

1939 წელს მარო თარხნიშვილის ანსამბლი ორი თვით მიწვეული იყო უკრაინაში, ღონისასი მუშებთან, გუნდი მაღაროებში ატარებდა კონცერტებს.

უკრაინის შემდეგ ანსამბლს ბაქოსა და ახალციხეში მოუხდა კონცერტების ჩატარება. მარო თარხნიშვილის ანსამბლმა ორი კვირა დაჰყო ახალციხეში და 20-მდე კონცერტი გამართა.

ამასთან მარო თარხნიშვილი მუდამ მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი 1939-1948 წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი იყო.

ერთსელ ჟურნალ „ნიანავში“ მეგობრული შარტი გამოქვეყნდა, ასეთი მონაწერით:

„სიმღერაზე კარგი ქვეყნად რა მიჩნდეს? მიყვარს ჰაზვი ქართლური და კახური, ამ სალამურ ყვლში ხრინწი გამიჩნდეს, თუ არ ვიყო მშრომელ ხალხის მსახური.“

1935 წელს მაროს შვიდაცა 35-წევრიან ანსამბლად გადაიქცა. მასში მარო და ეკატერინე თარხნიშვილებსი გვერდით ატკიერად მოღვაწეობდნენ მაროს შვილები ვანო და თამარი, მისი რძალი ბაბული, თამარ ვარძიელი, თამარ კო-

ტეტიშვილი, თამარ იმერლიშვილი, ვასილ კობახიძე, მიხეილ ჭანკოტაძე, ლადო ცოფურაშვილი, კოწო წერეთელი, ხუტა მაჭავარიანი, შალვა გოგინაშვილი, კუხა ვანაძე, გივი მარგანი, ილია ნათაძე, ილია კიკაძეშვილი, ილია კაპანაძე, ბეჟან მესხი, შალვა კოჭიშიძე, ნათელა შენგელაია (იგი ამჟამად ქუთაისში ხალხური სიმღერების გუნდს ხელმძღვანელობს), შურა ჯიბლაძე.

ბუნებრივია, რომ თამარ თარხნიშვილი ბავშვობიდანვე შეეხარდა სიმღერას. სახელოვან დედას მხარში ამოუდგა და მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა, ერთხანს შალვა კოჭიშიძესთან ერთად ცეკვა „ქართულსაც“ ასრულებდა. ქართლ-კახურ სიმღერებში პირველ ხმას მღეროდა; ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, მისი ქალიშვილი — მარიკა კვალიაშვილი მუსიკათმცოდნე-კომპოზიტორია, რომელმაც თავისი დიდიდის მარო თარხნიშვილის მიერ შესრულებული 50 სიმღერიდან კრებული შეადგინა.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობდა მარო თარხნიშვილის ანსამბლი სამამულე ომის დროს.

„ომის წლებში ხშირად ვმართავდით კონცერტებს ჯარის ნაწილებში — ივონებს მაროს რძალს, ანსამბლის აქტიური წევრი 1939 წელს, პაპული თარხნიშვილი.

1943 წელს ზუგდიდში კონცერტი ჩატარებულ ფრონტზე მიმავალი წვევამდებლებისათვის, მარომ ომშიანად შემოს-

დახა „ლაშქრად წასვლა მას უხარის“; შემდეგ კი იცეკვა კიდევაც, თამარმა კი ფადურზე შესარულა სიმღერა „მცხეგარის ცხოვრებობა“, რომელიც სამჯერ გაამოერებინეს“. ასეთივე შემთხვევა ყოფილა ფოთში. მარო თარხნიშვილის ანსამბლმა მეზღვაურთა გასამხეველად შესარულა „ქართველი, ხელი ძმალს იკარ“ და სხვა გმირული სულისკვეთების ხალხური სიმღერები. ასეთი გამოსვლები ხშირად ეწყობოდა სამხედრო ნაწილებში, პოსტებში, საწარმოებში და კოლმეურნეობებში.

საბატო სიკვლევი და მძლავრი, მებრძოლთა აღფრთოვანებული წერილები მოწოდებს ანსამბლის თავდადებულსა და საყოფიერ მუშაობას.

მ. თარხნიშვილი არ ზოგავდა თავის გამოცდილებას, ენერგიას, დროს, მისი მონაწილეობით მრავალი ანსამბლი დასაყალიბდა სხვადასხვა დაწესებულებასა და საწარმოში. მათ შორის აღსანიშნავია რკინიგზელთა, ტრამვაი-ტროლეიბუსების, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა თვითმოქმედი კოლექტივი.

მარო თარხნიშვილს არა ერთი ნიჭიერი შემსრულებელი აღუზრდა, ისინი დღეს წარმატებით მოღვაწეობენ ანსამბლებსა და თვითმოქმედ წრეებში.

მარო თარხნიშვილი შესანიშნავად ასრულებდა ქალაქური ფოლკლორის პოპულარულ სიმღერებსაც. ამ ასპარეზ-



ღენინური პრემიის ლაურეატის სერგო ზაქარიაძის ხელმძღვანელობით საგასტროლოდ ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში. ყ წართლდენას გამართავს დრეუდესი, ლიფციგასა და ბერლინში. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგიულემ ვ. ი. იაკაშვილმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და განაცხადა, რომ ეს საგასტროლო მოგზაურობა კიდევ უფრო განაძეგვიყვებს გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას.

20 მაისი, „ნამიწნალ მატუნში“ — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა დრეუდენში დაიწყო თავისი გასტროლები, რომელსაც გერმანელი მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა. სახელმწიფო თეატრის შენობაში ქართველმა მამაობებმა სერგო ზაქარიაძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პიესა „მიწის შვილები“. პიესის ავტორია მსოფლიოში ცნობილი ფილმის „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორი სულიკო ძღვწერი. პიესა წარმოადგენს კაცკაცის სოფლის ერთი ოჯახის ცოცხალ კრინიკას. ნაჩვენებია თუ როგორ იცვლება ადამიანთა ცხოვრება ლენინის იდეებისა და მოძღვრების გავლენით. უდიდესი დამაჯერებლობითაა გადმოცემული ცხოვრებისეული პრობლემები. დრეუდენის საზოგადოება აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს ქართველ სტუმრებს. განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა მთავარი როლით შემსრულებელმა სახალხო არტისტმა, ყველასათვის ცნობილმა სერგო ზაქარიაძემ.

24 მაისის „ბერლინერ მატუნში“ მოთავსებულია პ. ზაილიერის წერილი სათაურით — „ჯარისკაცის მამა ბერლინერ ანსამბლის სცენაზე“.

იმ დღიმა გზამ, რომელიც განვლო სერგო ზაქარიაძემ, როგორც „ჯარისკაცის მამამ“, ის მილიონობით მაყურებლის გულგებლად ზიიყვანა. ახლა კი მის მეგობრებს დრეუდენში, ლაიფციგასა და ბერლინში განაცვიფრებს მისი, როგორც თეატრის მსახიობის ბრწყინვალე თამაში. 14 მაისი-

გერმანული პიესა ქართული თეატრის შესახებ

დღიწ წარმატებში ჩატარდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. გერმანული გახეთების ფურცლებზე სისტემატურად იმეჭდებოდა წერილები და ინფორმაციები ქართული მეგობრების შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი მათგანის ქართული თარგმანი:

„ნიშნის დღიწწანდამ 1970 წლის 15 მაისს წერდა: — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი მხატვრული ხელმძღვანელების,

ზე იგი ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა გამოიყვანა. მას შემდეგვეც ხშირად შეუსრულებია ძველი თბილისის მომხიბვლელი პანკები ცნობილი მეთარე ბაია მელიქიძის აკომპანეხებით. მართ მგრანდობიარად ასრულებდა აგრეთვე აჭრბაიჯანულ, სომხურ და ისურ სიმღერებს. 1938 წელს მართ თარხნიშვილის ასსამბლი სომხეთის ფილარმონიის მიწვევით ერევანში გაემგზავრა, სადაც სტუმრებს დიდი შესვენდა მოუწყვეს. დავეცმილი ორის ნაცულად გუნდმა სრავალი კონცერტი ჩაატარა. ქართული ხალხური სიმღერები პირველად ამბოვანად მომე სომხეთში და მსმენელთა ერთსულეობანი აღფთოვანება გამოიწვია.

50 წულზე მეტ ხანს სწორუპოვრად მღეროდა მართ თარხნიშვილი ქართულ ხალხურ სიმღერებს. მუდამ მტკიცედ იცავდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის პირველქმნილ სიმღერებს, იღვწოდა ერთუნელი მუსიკალური კულტურის ამ დიდებულე ქმნილებების უკვდავებისათვის.

78 წლის ასაკში გარდაიცვალა ეს შესანიშნავი მუსიკოსი. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი აღსასვე იყო ახალგაზრდული შემართებით, ერთსაზამით. ქართული ხალხს არასოდეს დააიწყებდა მის მიერ შესრულებული „ურმული“, „ორთველა“, „გუთუნური“, „ბეგრე კაცი ვარ“, „მრავალამიერი“, „შაშვი-კაკაბი“, „გაზაფხული“, „ლაშქრ-

ული“, „ჭონა“, „ქერიო“, „ცანგალა და გოგონა“ და მრავალი სხვა სიმღერა თუ შიორ.

აი რას სწერს პროფესორი პავლე ზუტუა მართ თარხნიშვილის სამხედროებლო მანერაზე: „რაოდენი კეთილშობილური თავმჯგავება, უნარლოება, გულითაძობა და უშუალობაა მის მუსრულეაში. მის მოგონებულ სიმღერაში, კართველის წარმოუახება წინაპართა დიდებულეი წარსული, მათი ვაგეკრება სულიკვეთება, შრომისმოყვარობა, გრანობათა სიფაქიზე, უსაზღვრო პატრიოტიზმი, გონების სახელოე.

მართს ყელი ხან სალამურია, გლხეური მიამიტობით რომ მოგვიბორბოს სოფლის ავსა და კარგს, ხან დღუდუკია, თავი მიზნედილი ხზით რომ მოსთქვამს სიყვარულთ დამიწვარი გულის გოდებას; ხან კიდვე ნალარაა, მედგრად რომ ჰქვს და ბრძოლის წყურვილს უათვევებს საომრად შეტურვოლ ვაგეკვებს.

წავიდა ჩვენგან ეს განუყოფებელი ნიჭისა და საოცარი ხმის პატრონი მომღერალი მიღვარე ქალი მართ თარხნიშვილი. ხოლო მისი სიმღერები ჩვენთან დარჩა, ახლაც გაისხმის ხოლმე დროდისორ ფირფიტაზე ჩაწერილი მისი ტკბილი ხმა, მაგრამ ახლა იგი დიდ სიამოვნებასთან ერთად სიხანულის ერთმლს გერის მსმენელს“.

დან სერგო ზაქარიაძემ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივთან ერთად დაიწყო საავსტროლო მოგზაურობა წვეწს რესპუბლიკაში.

დღეს დილის სპექტაკლში წარმოდგენილი იყო სცენები 11 პიესიდან: ქენია: „მეფე ღირი“, „სამგრომინი ოპერა“, „სერვანელი კეთილი ადამიანი“, მუსიკალური კომედია „ხაშუა“, გრკის „მდაბინი“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა.

სალამის განმეორებით წარმოდგენილი იქნება „მიწის შეიღები“, რომელშიც სერგო ზაქარიაძე მთავარ როლს ასრულებს...

რუსთაველის თეატრი დაარსდა 1921 წელს, საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე და საქართველოს ერთუნულ თეატრად იქცა. 1926 წელს მოვიდა სერგო ზაქარიაძე და როგორც სტატისტმა გადადგ თავისი პირველი ნაბიჯები იმ დიდ გზაზე, რომელიც დღემდე განვლო. დღეს იგი თეატრის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელია. ჩვენთან საუბარში სერგო ზაქარიაძემ განაცხადა: „ჩვენ ვეძებთ ახალ გზებსა და გამოსახვის ახალ ფორმებს ჩვენს სცენაზე, რომლის ამოსავალი წერტილი მაინც ქართული თეატრის ტრადიციებია. ჩემი აზრით თეატრი თანამედროვე მყურებლის სამართიდან მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს“. დაარსებულ და დღემდე რუსთაველის თეატრი დიდ ყურადღებას უთმობს ქართულ ეპოსას.

25 მაისი. „ნრომს ღწონლანდი“... — დიდი სახალხო თეატრი, რომლის სპექტაკლებშიც ძველი ტრადიციული ელოვნების ელემენტებთან პარმონიულადა შერწყმული თანამედროვე გამოსახვის ახალი ფორმები, აი ასეთად წარმოვიდგა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი. გერმანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „ბერლინზე ანსამბლის“ სცენაზე. თეატრმა დაამთავრა ვასტროლები ერთმოქმედებანი სპექტაკლებით „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „სიბრძნე სიკრისას“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ დავით კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვითა შექმ-

ნილი. მთავარ როლს ასრულებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სერგო ზაქარიაძე, რომელმაც, როგორც მსახიობმა ლეგენდარულ წარმატებას მიაღწია. მეორე პიესაა „სიბრძნე სიკრისას“ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით. წლების მანძილზე ამ ნაწარმოებმა არ დაკარგა მყურების ინტერესი და დიდი მოწონება დაიმსახურა დრეზდენში, ლაიფციხსა და ბერლინშიც. ქართველმა სტუმრებმა მყურებელს უჩვენეს აგრეთვე „ანტიგონე“.

27 მაისი. „ნაწიწსალ მამბუნში“. — დიდი კლდეშვილი ქართული ეპიკეიული რეპერტუარის წარმომადგენელია. მისი დრამა „სამანიშვილის დედინაცვალი“ ჩვენ ტრაგიკომედებს მივაკუთვნეთ. ამ სპექტაკლმა ჩეხოვი მოგვაგონა. აქაც, ისევე როგორც ჩეხოვთან, ასახულია გასული საუკუნის უკანასკნელი წლების სოციალური მდგომარეობა. „სამანიშვილის დედინაცვალში“ უსამართლო კომიკური ხერხებითაა გადმოცემული გაღარბებული აზნაურის ამავე, რომლის მამაცა ხელმეორედ გადაუწყვეტია ცოლის შერთვა. იმას გამო, რომ თავიდან აიცილოს ქონების გაყოფა, ეძებენ უშელო, ხანმოშესულ ქალს. ბეკიანს ასრულებს სერგო ზაქარიაძე, ვაგიშვილს — გოგი გვეგვიკორი, სიძეს — კირილს — რამაზ ჩხიკავაძე. რეჟისორები — თემურ ჩხეიძე და რობერტ სტურუა.

ანტიკური პიესებიდან წარმოდგენილი იყო „ანტიგონე“, რომელიც ბერძნული პატრიოტიზმისადმი მიძღვნილი კრეონის როლითა სერგო ზაქარიაძე, ანტიგონესთან — ზინა კვერნეშვილია.

ვასტროლების უკანასკნელ დღეს დილის სპექტაკლში ნაჩვენები იყო ნაწყვეტები თეატრის რეპერტუარიდან: „სერვანელი კეთილი ადამიანი“, „ფედრა“, „მეფე ღირი“ და მრავალი სხვა“...

თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბერტოლდ ბრეხტის თეატრში დაამთავრა თავისი ტურნი, რომელიც დრეზდენში დაიწყო და ლაიფციხში გაგრძელდა.

რუსთაველის თეატრი საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრების გვერდით დგას.

პირველი სპექტაკლი, სულიკო ქვენტის „მიწის შეილება“ მიძღვნილია ლენინის იუბილეადმი. ამ დრამატულ ქრონიკაში სოცეულია გლეხი ქალის, ესმას ცოცხოების 50 წლის გამამავლობაში თმხდარი ამბები. მიუხედავად იმისა, რომ ესმას არასოდეს არ მიუტოვებია თავისი სოფელი, მის თვალწინ ბევრმა ისტორიულმა მოვლემამ გაიარა: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში, ლენინის სიკვდილმა, კოლექტივიზაციამ, დიდმა სამამულო ომმა, ესმას სიცოცხლე არუცა ვაჭივნილებმა, მაგრამ დაკარგა ისინი გარეუბ და შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი მეუღლე იასობი, უბრალო გლეხი, სოციალიზმისათვის შეგნებულ შეზღობულ იქცევა. მეტად პოეტურია სცენა, როცა სიკვდილის წინ, თმაგათებრებული იასობი ესმასთან თავის გახვილი ცხოვრებას ივთვინებ. შეგანიშნავადაა გადმოცემული ოჯახური სიმეუღროვე, სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა, სიკეთე. მეგუა ჯაფარიძე საუცხოო ფერებით, მთელი ღირსებით გვიჩატებს ესმას სახეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ერთი მანჯვალაძემ იასობის როლში, გახსაკუთრებით ცოლთან გამომშვიდობების სცენაში. სპექტაკლი მიჰყავს სერგო ზაქარიაძეს, რომელსაც გიორგი-საყურებელი უკვე იცნობს საბჭოთა ფილმით „კარისკაცის მამა“. სპექტაკლის რეჟისორები არიან მიხეილ თუმანიშვილი და რომერტ სტურუა.

„სიბრძნე სიყვარულს“ შექმნილია მე-17 საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლისა და სასოფადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით. ამ ერთმომქმედებას სპექტაკლში უნდა აღინიშნოს სოსო ლაიბიძის კარგი თამაში. რეჟისორები — ნანა ხატისკაცი და თენგიზ მაღალაშვილი.

წარსული შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე დავით ულდაშვილის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ერთაქტიანმა მხიარულმა და ამავე დროს მეტად სერი-

ოზულმა სპექტაკლმა „სამანიშვილის დედინაცვალი“. სასაცილოა, რომ გაღარბებულ აზნაურს მოხუცებულობის დროს ხელმეორედ გადაუწყვეტია ცოლის შერთვა. მისი ვაჭი — პლატონი მამისთვის ისეთ საცოლეს ეტებს, რომელსაც შვილი არ გაუნდებდა. მაგრამ კომედია ტრაგედიადა იქცევა, როცა მის დედინაცვალს შვილი შეეძინება. მამა დარდს გადაწყვეტს, პლატონი თავისი ოჯახით სახლს მიატოვებს და დედინაცვალი თავისი შვილით უდიდეს სიღარიბეში ვარდება. კარგადაა მოცემული თუ როგორ უკარგავს სიღარიბე ადამიანებს ადამიანობას და ისინი არავითარ დახმარებას არ უწყევენ ერთმანეთს.

სერგო ზაქარიაძე შესანიშნავად ასრულებს მამის როლს, პლატონს — გოგი გვიგუკორი. მაყურებლის სიცოცხლე და მოწონება დაიმსახურა ლაპარაკის, ლენისა და ქეთის მოყვარულმა, პლატონის სიძის როლის შემსრულებელმა რაზმა ჩიკვაძემ. აგრეთვე მაჭანალომა — გურამ სიღარიბემ...

დიდი სიამოვნებით მაყურებელმა ეპიკური თეატრისათვის მეტად შესაფერ პოეზიას „ანტიგონეს“ ზინა კვერენჩილაძემ ანტიგონე მეტად მდიდარი საღებავებით დავიხატა. კრეუნი დამაჯერებლად თამაშობს სერგო ზაქარიაძე.

ერთ-ერთ დილის სპექტაკლი წარმოდგენილი იყო ნაწყვებში ბრეტანის პიესებიდან. საერთოდ, წარსული შთაბეჭდილება დატოვა რუსთაველის თეატრის მსახიობმა ბრწყინვალე თამაშმა, მათმა მსახიობებმა ოსტატებმა. გაატროლებს გახსნა დემოხვა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სასოფადოების, მე-9 კონგრესის დელეგატებს ჩამოსვლას ბერლინი. მაყურებელია დიდი ნაწილი დელეგატები იყვნენ, ისინი გულითად მადლობას უხდიდნენ საბჭოთა მსახიობებს. მეტად სახიარული იყო ჩვენთვის, ის რომ თბილისელი სტუმრები ასე მალე ხელმეორედ ვიხილოთ ბერლინი. სტატიის ავტორია ერნსტ უმბახერი. „ბერლინის კამპანია“ 1970 წლის 28 მაისი.

გერმანულადნ თარგმანა ლილი მასნურაძის.

ქართული ხელოვნება საუკანოთში

გიული ჭავჭავანიძე

მასულ წელს საფრანგეთში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული კულტურის დღეები, რომელიც მოეწყო საფრანგეთ-სსრ კავშირის ასოციაციის ინიციატივით. როგორც ფრანგული პრესა აღნიშნავდა, „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, რომელიც ლენინის საუბიულო წელს ჩატარდა“. ფრანგებს უსაზღვრო სიამოვნება

მოკვარეს ქართული ქორეოგრაფიული და მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებმა: საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, ხალხური სიმღერების ანსამბლმა „კორდელამ“ და პოპულარულმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ორერამ“; დღევანდის ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე აპოლონ ყიფიანი.

შვილი (მარი) ცნობილ ტრიოში ბედილ თუ მწყალბობს. აღსანიშნავია სცენა — დულიტილი პროფესორი პიგინის ბიზნის, სადაც მსახიობი გვზიბლავს გულგებურული სიცილით, განწყობილებათა მკვეთრი ცვალებადობით. ბ. ბეგალიშვილმა კონტრასტული ხერხების გამოყენებით გამოავლინა ამ მაწაწალას შინაგანი კეთილშობილება და გონიერება.

მეორე მოქმედებაში ბ. ბეგალიშვილი-დულიტილი წარმოადგენდა ცვეკვა-სიმღერით „არაყი ჩვენს ცდუნებად შექმნი“. აქ თვალსაჩინოა მსახიობის თეკალური და პლასტიკური გამომსახველობის ერთობლიობა, არტისტიკული გატაცება.

ამ სამიოდე წლის წინ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს ესტუმრებნენ ოდესის თეატრის მსახიობები. სტუმარ-მასპინძლებმა ერთობლივი ძალებით წარმოადგინეს „ჩემი მწვენიერი ლედი“. ოდესის თეატრიდან მინაშვილებმდენე უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ლ. სატოსოვა (ელიზა), პ. პრიბნეკო (პიგინის) და ვ. ევინი (პოლუკოვინკი პიკურიჩი). წარმოდგენა ქართულად მიმდინარეობდა, სტუმრები კი რუსულად მეტყველებდნენ. ამ დღეს ნამდვილად ისახელათავი ბ. ბეგალიშვილმა. სწორედ მან დაამყარა კონტაქტი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე პარტნიორების შორის. წარმოადგინეს დამაჯერების მშვედელ, ლ. სატოსოვამ ბ. ბეგალიშვილი დულიტილის როლის საუკეთესო შემსრულებლად აიატარა. შემდეგ მან თავისი აზრი საქართველოს ტელევიზიით აუწყა ჩვენს საზოგადოებრიობას.

ბ. ბეგალიშვილის შემოქმედებით მრავალმხრივობაზე მეტყველებს ბოკოკაის როლი კომპოზიტორ ნ. ვუდიასვილის ოპერეტაში „სალბინო-ბელი“. მსახიობი კომიკური ხერხებით ხსნის ამ ჰერსონაჟის გაიძვერობასა და უღობიერობას. აღსანიშნავია ბ. ბეგალიშვილის მიერ განასახიერებული სხვა პერსონაჟებიც: ვალი („არშინ მისილ-ალან“), ტარტალა („შავი ურჩხული“), რუბანა („მეგარო ჩემი ქუჩა“), ოუსი ჩინოფიკი („წინა“) და სხვები. ბეგალის თქმა შეიძლება, აგრეთვე ბ. ბეგალიშვილის ბაბაჯანაზე („ბაბაჯანის ქოხელი“).

როგორია ბ. ბეგალიშვილის შემოქმედებითი გეგმები? აი მისი პასუხი: სულთა და გულით მწაფია ვითამაშო ხლესტაკოვი გოგოლის „რევიზორში“!

საქართველოს სსრ და საქართველოს

კომპარტიის 50 წლისთავისადმი

მიძღვნილი გამოფენიდან

ნ. ფალავანდიშვილი.

ქველი თბილისის მოტივები



პოეტის არქივიდან

რუსუდან კუსრაშვილი

„მე სიყვარულმა შემქმნა პოეტად“

ი. გრიშაშვილი.

იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული არქივი მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. მისი გაცნობისთანავე გაოცრებთ ის სიფაქიზე და გულმოდგინება, რითაც პოეტს დაუღაგებია მთელი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. არქივში დაცულია დიდტანიანი რეკულები, რომლებშიც ქრონოლოგიურადაა დალაგებული ი. გრიშაშვილის მიერ სუფთად გადაწერილი ლექსები. აქვე გვხვდებით მის მიერ სიტაბუკეში შექმნილ ხელნაწერ კრებულებსაც: „თაიგული“ (1908 წ.), „ნიავი“ (1908 წ.). მათი ყდები ავტორს მხატვრულად გაუფორმებია, ხოლო შიგნით სუფთა, ლამაზი ხელით ჩაუწერია თავისი პირველი ლექსები. უფრო მოვიანებით კი შეუქმნია ასეთივე ხელნაწერი კრებული, რომლისთვისაც დაურქმევია „ოთხი დრო“ (შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული).

ი. გრიშაშვილს თავი მოუყვია და გულმოდგინედ აუკინძაფს ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული თავისი ნაბეჭდი ლექსები, ლიტერატურული წერილები, რეცენზიები, სტატიები, რომლებშიც საინტერესო ჩასწორებები გაუკეთებია და შენიშვნებიც დაურთავს. არქივში დაცულია პირადი თუ საქმიანი წერილები, ტომებად შეკრული რეკულები „ჩემზე და ჩემთვის“, თავმოყრილია ნოტები ი. გრიშაშვილის ლექსებზე დაწერილი სიმღერებისა. ყველა ეს ერთად კი ნათლად ასახავს პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელ გზას.

არქივი იწყება 1905 წელს დაწერილი ლექსებით. ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისად. ახალგაზრდა პოეტი უკვე იმ ასაკშია, რომ კარგად ესმის ცხოვრების ავი და კარგი. შეუცნია აწმყოს სიღუბეჭირე, მაგრამ მისი ახალგაზრდული სული უკეთესისკენ ისწრაფვის და მომავლის დიდი იმედი და რწმენა აქვს. არქივში დაცულია (არქ. 1-3) 1905 წელს დაწერილი ლექსი „მგობარს“, რომელიც პოეტის ამგვარი სულისკეთებითაა გატენილი. მასში ავტორი ისახავს თავისი ცხოვრების მიზანს:

არ შეუშინდე დროს უჯღმაროს და ბედსა მუხთალს,
იუვე მედგარი, მოუბრები; ვით რკინის გრდემლი,
რომ თავისულად მივეგებო ნეტარ მომავალს
და შემდეგშიაც არ გახარობდეს ტანჯვისა ცრემლი!
მარად გახსოვდეს შინარსი ამა სიტყვების,
მინდა გულწრფელად ეს გაგანდო და გულით გოხოვო,
რუნე, მეგობარო, ისე განვლდე ეს გზა ცხოვრების,
რომ შენსა შევიღებს სიბინძურე არ დაუტოვოს!

ჭაბუკ პოეტს ცხოვრების სიძნელე რას დააკლებს, როცა მისი სული გაზაფხულის მელიდიითა და სიყვარულითაა გამთბარი.

მისი პოეტური ბუნება სიხარულით ეგებება სიბოძს, მზეს და ახლად გაღვიძებულ მთელ სამყაროს. არქივში გვხვდებით ფანქრით სუფთად დაწერილ ლექსს (არქ. I-10). იგი მოთავსებულია 1906 წელს დაწერილ ავტოგრაფებს შორის და ამავე წლითაა დათარიღებული:

ახლოვდება გაზაფხული

ახლოვდება გაზაფხული,
ზამთარს წასვლა ენძელდება,
სხივდაკრული სიხარული
გაიშალა ენძელდება.
დღემ საგრძნობლად მოიმატა...
აღარ მოსჩანს კედი თეთრად,
თოვლის ჩოხა გაუხდია
გაზაფხულის შესახვერად.
ახლოვდება გაზაფხული,
ვარდობა და ენძელდება —
აბა, როგორ არ ვუსურვო
ჩემს სამშობლოს დღეგრძელობას!

მაგრამ თავიდათავი ი. გრიშაშვილის პოეზიისა სიყვარულია. მას კონცნისა და ტრფობის პოეტა უწოდებდნენ,

რადგანაც იგი მუდამ შეყვარებული და თავისი გატაცების ერთგული მოწა იყო. ი. გრიშაშვილის პოეზიაში სიყვარული წამყვანი თემაა: სიყვარული ყოველივე კარგისადაც, სიყვარული თავისი უცვლელადმი, მეგობრებისადაც, სიყვარული ქალისადმი — ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით მის ახალგაზრდულ წლებში.

გაული, გონება შესწავლ მომლტვის,
ცხადლო, თუ სიზმარად შენ მაგონდები,
კუბოს კარამდე უყვალვარ, ყოველივე,
შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის მოვკვებები.
(„სასიმღერა“, არქ. I-16, გვ. 7).

ი. გრიშაშვილის თავის პოეტურ შემოქმედებაში ეს გრძნობა დაუმრეტელ წყაროდ გადაუცვლევია. ამიტომ ბევრი კარგი ლექსიც უძღვნა მას. არქივში დაცულია ლექსების ორი ავტორთაგანი (I-36; IV-391), რომელშიც შესისხნავად არის ჩამოთვლილებული პოეტის შეხედულება სიყვარულზე, მის სიკეთესა და ძალაზე. ლექსი დათარიღებულია 1914 წლით და ეწოდება

ტ რ ფ ვ ბ ა

თუ შემოყვარე, სულს ერთგულს, სულს განუყოფელს,
ამ სოფლად მყოფელს შეყვარებ თვით იმა სოფელს,
თუ შემოყვარებ: მიზარ და თუ მზე მოგწყინდებ,
ვითაც და ნაცულად ცაზე მთავარ ამობრუნდებ,
თვით ვარსკვლავებსაც ავამღერებ, ავამღერებ:
...თუ შემოყვარებ.

თუ ჭელი ბარ, ტრფობა ისე გაავაფილებს,
რომ ბედთან ბრძოლას დამერწმუნე, გაგაფილებს,
თუ მოხუცი ბარ — ტრფობა ისე გაამაზაზებს,
რომ ვერ შეამჩნევ მკენარ ხატვებ ნაუბებს.
ტრფობა შრომას ჰგავს, მეგობარო! — ტრფობა წღვა არის,
მის ამ ჰქონია დასაწყისი, არც აქვს საზღვარი.
თუ შემოყვარებ: — გული ისე დაიმრებს დღედაც,
რომ სიხარულით მეგრადს იღლებ დაწვევებს, დაიფლავს.
თუ შემოყვარებ: — ერთ წელწინად ჯერ ვერ მოვალ გონს,
შემდეგ კი დავსწერ სულ სხვა ლექსებს, არასდენი განაონს,
ახალ სამეფოს დაავაყვარებ და დაავაყვარებ,
...თუ შემოყვარებ!

ხელნაწერ I-36-ში ამ ტექსტის პირველი ორი სტრიქონი განსხვავებულად იკითხება:

თუ შემოყვარებ შენ, მიწიერს, ამ სოფლად მყოფელს,
ვაჯაქალებ, შევაყვარებ თვით იმა სოფელს.

ტექსტს გაიზარდად წამძღვარებული აქვს სოლომონ ბრძენის სიტყვები: „სიყვარული ძლიერ არს, ვითა სიკვდილი“.

ი. გრიშაშვილის ადრეული პერიოდის გატაცებამ ოღონდ ვასილის ასული ლეჟავა (1883-1960) წარმოადგენდა. სათნო გარეგნობის მსახიობი ქალი ქართული თეატრის დიდი მოყვარული იყო. მას ქართულ თეატრთან ერთად აუფასებ ფეხი და სიკვდილადმი მიხრო ერთგული დარჩენილა. ოღონდ ლეჟავა სენიაზე პირველად გამოვიდა 1899 წელს ავტომაში — სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. მას უმუშავია, აგრეთვე, ბათუმის თეატრში, ზუბალაშვილის სახალხო სასოთხარ არსებულ დრამურში, ქართულ მსახიობთა ამზანადის დასში და, ი. გრიშაშვილის ცნობით, მუდამ ახალგაზრდა ქალების როლს ასრულებდა. იგი გარდაიცვალა ღრმად მოსუცებულად.

...ეს კი მიხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ი. გრიშაშვილი სუფილითად მსახურობდა არტიკული საზოგადოების თეატრში (ამჟამად რუსთაველის სახელობას

თეატრი). მიდიოდა რეპეტიცია ე.ე. გაბაშვილის „ნიგილის-ტკასი“, რომლის მთავარ მოქმედ პირს სწორად უნდა ეხმარა რუსული სიტყვები. მაშინ რუსული ენის ცუნად მფლობელ სუფილით-პოეტს კარნახის დროს ისეთი საჩიოთრო სიტყვა უკანახია ნიგილისტკასათვის, რომ მსახიობმა სცილდ-სახარბი ამტყვედა. ...არ იცინოდა მხოლოდ მსახიობი ოღონდ ლეჟავა, არამედ თუ არ იცინოდა, იგი თვალ-ცრემლიანი შეტყუებდა ამ ამბავს. მე, როგორც ახალგაზრდა პოეტი, ოღონდ შევეცდო. მხოლოდ ღიჯის. ის მაშინვე კარგად ადამიანად დევაზე და მას შემდეგ დაიწყო ჩემი სატრფიალო ლექსების ციკლი მის მიმართ... მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტს, შემიხვება მომეცა ყველასათვის საყვარელი ქალის ოლოდ ლეჟავას მიმართ რამდენიმე კარგი ლექსი დამეწერა. — ითიბებს შემდეგ უკვე ხანში შესული პოეტი (იხ. მისივე თხზულებათა ტ. V, 1965 წ., გვ. 302).

არქივში დაცულია ი. გრიშაშვილის მრავალი პირადი წერილი, მიწერილი ოღონდ ლეჟავასადმი, საიდანაც ჩანს, თუ რამდენად აფასებდა პოეტის მსახიობი ქალის ნიჭსა და განათლებას, საკუთარ თავს თითქმის ამ ქალის უღრესადე კეთილად („რად გინდა ჩემნაირი გაუხალღებელი“). მაგრამ სიყვარულს მაინც თავისი გააქონდა და პოეტის კალამიც ქმნიდა საგალობებს. ო. ლეჟავას ი. გრიშაშვილმა მუდამდე მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი და პოპულარული მრავალი ლექსი: „ღერწამი ბარ“, „სხივთა წვიმა“, „ასცილიდი საზღვარს“, „ურისიძიება“, „დეტრევე ბალი“, „მზე“, „თეთრი წვიმა“, „თოვლის ფიჭვი“, „ქინძისთავი“, „ფიჭვის ვარდი“, „ჩემთან მოდი“, „შემოდგოამის მთხრობა“, „მელოდიის უმზრობა“, „ოლოდ, ოლოდ“, „მისის ზურნული“, „მზის მუპარა“, „ჩემს დეხდემობას“, „დააქარებ, დააქარე“, „შემეინიერ ტანჯავა“, „სალომეს სურათზე“, „წინდის ბარ, წინდის“, „სალამილი“ („ჩემი უკანასკნელი ლექსი ოლოდისადა“) და ბევრი სხვა.

არქივში დაცულია ო. ლეჟავასადმი მიძღვნილი ლექსებიც, რომელსაც დღემდე მკითხველი საზოგადოება არ იცნობს, კერძოდ: „პო, დილა იყო, მცვრიათ დილა“, „მეოლოდ დამეკრავა“, „ო, ნუ მიცქნის ვერ სასტიკად“, „შენი ღიმილი ჯალათია უბერ მგონის“, „ოლა-მადონას“, „კიდევ კოცნა“ და ა. შ. მითიკანთ ერთ-ერთ მათგანს (არქ. I-22, IV-90):

კიდე ვ კოცნა

ო-ს

კოცნის სიომ შობამებერა
ცის შევნება, ცის სიმღერა,
კოცნის სიომ გუაზავა
წღვა, ხმელეთი, ცა და ჰავა.
და დღეს, ჩემო მშვენიერო,
ჩემი ჩამალა სიყვარულმა,
რომ არ ვიცო, როგორ ვწერო,
რომ არ ვიცო, რა ჰქმნის გულმა.
ეს ხომ იყო, რომ შენს გარდა
სხვა არავინ არ მოყვარდა,
ეს ხომ იყო, რომ ლეხითა ღმერთო
შენ ვადღვნიდი... დახე, შენ ერის!
მეც რად გუფლავა? — სხივს აღმრისთ
დავნი ჩემი შენ რად ჰგნავა?
მანის, როცა იმავ ლეხით
სხვა გოგონა კოცნას მპარავ?

„ოლო-ო“, „ოლოკო“, „ჩემო დამარხველო“, „ჩემო ჯეინონო“, „მზის ცრემლებში განანხილო“, „საფხულის სევიდავ“, „სულის მიზნავ“, „გედის სიმღერავ უკანასკნელი“.

„ღმერთების ქნარზე ჰანგად დაწნული“ და კიდევ რამდენიმე ერთეული მიუმართავს პირად წერილებში შეყვარებულ პოეტს თავისი გატაცებისათვის. მაგრამ მსახიობი ქალაი. ი. გრიშაშვილისმი მხოლოდ მეგობრულად ყოფილა განწყობილი. ი. გრიშაშვილის წერილებიდან ჩანს, რომ თ. ლევკავას მისთვის სატრფიალოდ არ გაუღია გულის კარი... და აი, წაღვერილ დასაწვებულად ჩასული პოეტი თბილისში უცხავის მას ლექსს, რომელიც პატარა სას ქვაზე დაუწერია. ქვას გულის მოყვანილობა აქვს. ზედ კი მელნით ღამაზად წერია:

ჩანს (რღ-რღს)

ეს ქვა შენი გული არის,
ცოცა, ნახი და მღუპარ,
შენიანებ! და რას მოვკვდე,
ზედ დაჟამ, დამაფარე!

ლექსი დათარიღებულია 1911 წლით. არქივში ინახება მეთორე პატარა ქვეც, რომელზედაც იგივე ლექსი წერია, მაგრამ დათარიღებულია უკვე 1913 წლის 1 აგვისტოთი. ხოლო ხელნაწერში I-29, გვ. 4-ა წყაყყდით ასეთ ჩანაწერს: „წაღვერში, მდინარის კიდვე ერთი ქვა ვიპოვე, სიბი, გულის მგავავი, რომელიც სატრფოს — ოლოს გაგუტავზე შემდეგი წარწერით“ და მიწერილია ზემოთ მოტანილი ლექსი.

შემდეგი წერილებიდან ჩანს, რომ ეს გრძნობა თ. ლევკავასადმი ი. გრიშაშვილსაც მეგობრულ გრძნობაში გადაზრდა და მასთან საინტერესო, საქმიანი მიმოწერაც გაუჩანდა. თუმცა ზოგჯერ მაინც წამოსვლებიდა ხოლმე საყვადური ქალის გულცივიობასა და დაკარგულ სიყვარულზე. თ. ლევკავა სხვისი მეუღლე გახდა („ოლოლი გაბთხოვდა 31 მარტს 1915 წელს“ — წერს ი. გრიშაშვილი) და გულმოკლულმა პოეტმაც საშუადაოდ ჩაიმარხა ეს გრძნობა თავის გულში:

„რითმებისგან კუბო დაეწანა, რითმათ კუბო გამოჩარხე,
და „ოლ-ოლის“ სიყვარული შვი ჩავმარხე, შვი ჩავმარხე.“
(არქ. IV-103).

ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს მიმზიდველი ვარგნობის ახალგაზრდა ქალის სურათი, რომელზედაც პოეტს დაწერილი მიუწერია: „სონა ჩიჯავაძე. ჩემი საუკეთესო ლექსები ამას მკუთვნის. გავიციანი 1914 წლის აგვისტოს, გადავიციანი 1915 წელს“. სოფთო (სონა) ლონგინოზის ასული ჩიჯავაძე მასწავლებელი იყო, რომელიც გათხოვების შემდეგ 1924 წელს ქმართან ერთად პარიზში წასულა საცხოვრებლად. ახალგაზრდა პოეტი უნეგემოდ ყოფილა მასზე შეყვარებული. იგი გულისტკივილით განიცდიდა, რომ სატრფოს მის გრძნობებში ვეჭვი შეჭირდა („ლექსებში სხვა ხარ, ცხოვრებაში კი სხვაა“) და სხვათა მიუქმან-მოთქმას უგდებდა ყურს.

ი. გრიშაშვილის მრავალრიცხოვანი წერია, რომლებიც ამჟამად მის არქივში ინახება, სონა ჩიჯავაძის ასულისადმი მიწერილი, პოეტი ყოველმხრივ ცდილობს დაარწმუნოს შეყვარებული ქალი თავის ერთგულებაში:

„ო, სონა! სონა!

ძალიან დამაგრულ-დათენილი ვარ. შენ მაინც შემეგრდომე, შენ მაინც გადაამაფარე შენი სიცოცხლის კალთა!... არ ეგტრფი ქალთა, ღმერთმანა, გაგიციანი თუ არა, ცოტაქვი: ჩე-

მი გულის სამკოსანო-სამეფო ტახტია და ამ ტახტზე მხოლოდ სონა უნდა დასვა მზიურ ღვიფოფად, რომ ამ სოფლად ვიგრძნო, ერთ წუთს მაინც ვიგრძნო, ჩემი გულის მბრახბებელ მეფევედ-მეთქი ჩემი თავი. ამ ჩემს გულადან არ გამოილევია შენდა საჭებრად სამკოსანი შაირები. მხოლოდ იცვლ. რასაც ვუწერ, იმდენივე გულით მაქვს, გემსმ? ვერ გამოიმიტყავს გულის სიღრმეიდანა. — ვკითხულობთ სონასამდე მიწერილი ერთ-ერთ წერილში (არქ. IV-373).

1914 წელს დაწერილ ლექსთა უმრავლესობაც ამ სიყვარულს უძღვნა ი. გრიშაშვილი: „დღეობაში“, „ანალოგიები“, „რა კარგი ხარ, რა კარგი“, „ჩემს დანიშნულს“, „დედოფლის სიზმარი“, „არც „პოს“ ამბობს, არც „არას“, „ოცნება და სინამდვილე“, ცრემლებიც სუფთად არბოსანი“, „შობალატეს“ და მრავალი სხვა. ზემოთ მოტანილი ლექსი „ტრფობაც“ სონა ჩიჯავაძეს მიუძღვნა პოეტმა. ტქსტის ბოლოს მიუწერია: „სონას სახლში — სონასთან ერთად. 1914 წ. 22 ნოემბერი, 10 საათი“. არქივში დაცულია დიდ-ტანიანი რვეული (I-42), რომელშიც სუფთად არის ლექსები ჩაწერილი: „ზღაპარი ჰამავში“, „ხელათამბის ოლი“, „გელოდებილი“ და სხვა, ხოლო რვეულის თავფერცელზე ასწერია: „სოსო-სონანა“, მის მეთორ გვერდზე: „შენ გიძღვენი, შენ, ჩემო სონანა“. როგორც ჩანს, ს. ჩიჯავაძისადმი სიყვარულს დიდი შემოქმედებითი იმპულსი მიუცა ი. გრიშაშვილისათვის:

შენ მე გამაზად კლოცავ სვეტად,
ხალხი ჩვენს ხალხს ცის მაღლს ასხურებს,
მე სიყვარულმა შექმნა პოეტად,
და სიყვარული გამანადგურებს.!

(არქ. IV-407).

ქალის მშობლები ხელს უშლიდნენ ქალ-ვაჟის სიყვარულს. მათ უფრო მდიდრი და სახელოანი სიძე უნდოდათ. თავის ტრფილობი ღრმად შეყვარებული პოეტი კი ცდილობს საბოლოოდ გადაიბიროს სატრფო თავისკენ: იგი სთავაზობს მას მოვლ თავის სიმდიდრეს — თავის პოეტურ გულს, ნიჭს და ასე მიმარავს ერთ-ერთ პირად წერილში:

„თუ არ შემიყვარებ, დავიტოვებ!.. და თუ შემიყვარებ თუ არ დავეწერ, იცი, რა ვინდა, ლამაზო, მე დრომდე ნუ შემიყვარებ, ვიდრე რამდენიმე ლექსს არ დავეწერ. დამისახეულ ოლონდ რამდენი ლექსი ვინდა და სანაძლოის ჩამოვალ, რომ შენთან ერთად უფრო კარგა და მიმოხველ, მალხაზ პოემებს, პიესებს დავეწერ, ვიდრე უმეზოდ... რას ამბობ, რას?! აბა, რომელი ლექსი შედგება წადღერში და წერილს ლექსებს და განსაკუთრებით „რა კარგი ხარ, რა კარგის“... (არქ. IV-383).

ი. გრიშაშვილი თავისი პოეტური მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში განსაკუთრებით ამ ორ ქალს უმაღლოს თავისი საუკეთესო ლექსების შექმნას. „ჩემ ბიოგრაფიამი როგორც „ოლ-ოლი მოისენივება, ისე Sophie, არივს დიდი დავალი მიუძღვითო“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ მის წერილში (არქ. IV-455).

ი. გრიშაშვილის არქივში ბევრი საინტერესო და ყურადსაღები მასალაა დაცული. რომელსაც ალბათ უახლოეს წლებში გავეცნო ქართული მკითხველი. ი. გრიშაშვილია იხსულებლათა მრავალტომეულის მეცნიერულ გამომცემადმი.

1 ეს სტატორე შექმდომ ი. გრიშაშვილს შეუტანა თავის ლექსში „ლიანას ისტრბა“.



ცეცვა - ქართული. ასრულებენ მ. ლიაძე და ა. შოენაძე

ნორჩი ტალანტების ხელმოხება

ბანწლილი ორმოცდაათი წლის მანძილზე ქართული საბჭოთა კულტურა შეუნელებელი აღმავლობის გზით ვითარდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ნორჩი ტალანტების აღმოჩენას, მათ ზრდასა და დახვეწას. ამ მიზნით ორ წელიწადში ერთხელ

სპეციალური ოლიმპიადები იმართება.

კარგა ხანია ტრადიციად იქცა ნორჩ შემოქმედთა მხატვრული კოლექტივების დათვალიერება. მიმდინარე წელსაც დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისში ჩატარებულმა საქალაქო ოლიმპიადამ, რომელიც ქალა-

ქის განათლების განყოფილებამ მოაწყო. დათვალიერება სამ ეტაპად მიმდინარეობდა (სასკოლო, სარაიონო და საქალაქო) და მასში 100-მდე სკოლის ექვს ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა.

ოლიმპიადაზე ნორჩების შემოქმედების ოთხი სახეობა იყო წარმოდგენილი. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ თვითმოქმედი გუნდები, ვოკალურ-ინსტრუმენტული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები. მეორეში — საშუალო სკოლებთან არსებული მუსიკალური ჯგუფების მოსწავლეები, მესამე და მეოთხე ქვეჯგუფებში — სახვითი ხელოვნებით, მხატვრული კითხვითა და თეატრით გატაცებული მოზარდები.

დათვალიერება ფართო მიზანს ისახავდა: იდეურ-ეთეტიკური დონის ამაღლება, მხატვრული გემოვნების დახვეწა, შემოქმედებითი კონტაქტის გაღრმავება ეროვნულ ტრადიციებთან, მოსწავლეთა მიღწევების ფართო ასპარეზზე გამოტანა და სხვა.

დათვალიერება კარგად იყო ორგანიზებული. თვალსაჩინო გახდა, რომ სკოლებში სათანადო ყურადღება ეცევა აღსაზრდელთა ნიჭსა და უნარს, პროფესიულ ფორმირებას.

ჭოურის მაღალი შეფასება და დამსწრე საზოგადოების საერთო მოწონება დაიმსახურა თბილისის 43-ე (ხელმძღვანელი ა. დანელიანი), 23-ე

თბილისის 38-ე საშუალო სკოლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი





ტეკეა „მოლდავური“ თბილისის 38-ე საშუალო სკოლის მოცეკვავეთა შესრულებით

(ხელმძღვანელი თ. სანაია), 66-ე (ხელმძღვანელი ვ. ჭუმბურიძე), 39-ე (ხელმძღვანელი გ. ნამრეკაძე) სკოლების გუნდებმა. გამოირჩეოდნენ 130-ე (ხელმძღვანელი ი. ფალავან-

დიშვილი) და 126-ე (ხელმძღვანელი ჯ. ადამაშვილი) სკოლების ქალთა ვოკალური ანსამბლები.

ფართოდ იყო წარმოდგენილი ქორეოგრაფიული კოლექტივებიც. განსა-

კუთრებული წარმატება ხვდა ნიჭიერი ქორეოგრაფის თ. გოგოტიშვილის მიერ 39-ე სკოლაში დადგმულ ცეკვებს, აღსანიშნავია აგრეთვე მე-101 სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული ცეკვა „ქართული“.

საგანგებოდ აღინიშნა 26-ე სკოლასთან არსებული ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი (ხელმძღვანელი ს. ჩიჩუა) და 38-ე სკოლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი (ხელმძღვანელი შახგულოვი).

ინდივიდუალურ შემსრულებლებს შორის გამოირჩეოდნენ ი. ბერაძე (22-ე სკოლა), ნ. კავსაძე (54-ე სკოლა), მ. ნარეშელი (126-ე სკოლა), ნ. ვნუქიძე (მეორე გახანგრძლივებული დღის სკოლა).

მხატვრულ კითხვაში თავი გამოიჩინეს 69-ე სკოლის მოსწავლეებმა. (კასილის პიესა „იყავით მზად, თქვენო აღმატებულებავ“), 21-ე სკოლამ (ივლიკის „ჯადოსნური სიზმარი“). 22-ე სკოლის მოსწავლემ მ. ხარაქემ წაიკითხა გ. ტაბიძის ლექსი „ნიკორწმინდა“. 72-ე სკოლამ წარმოადგინა ლ. რობტაშვილის საბავშვო ოპერა „ციცქნა იას დღეობა“, 136-ე სკოლის მოსწავლემ ლ. ნადარეშიშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსები.



ტეკეა „ოსური“, ასრულებენ გ. ჩხეიძე და გ. კოლოშვილი

დათვალერებაზე გამოვლინდა ნორჩების განსაკუთრებული ინტერესი სახვითი ხელოვნებისადმი. წარმოდგენილ ნამუშევრებში ჩანდა ხალასი ნაჭი, ფანტაზია, თემატური მრავალფეროვნება. ჟიურიმ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა 55-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე უ. ტურდულიძე, რომლის ჭედურობამ და ხეზე ნამუშევრებმა საერთო მოწონება დაიმსახურეს. პირველი ხარისხის დიპლომები მოიპოვეს აგრეთვე 75-ე სკოლის მოსწავლე ს. ღვებერიაძე, მე-17 სკოლის მოსწავლეებმა თ. ჩხეიძემ და ა. ჯაფარიძემ, 23-ე სკოლის მოსწავლე ს. წერეთელმა, მხატვრული აღზრდის სახლის სახვითი ხელოვნების წრის წევრებმა ვ. ბერიაშვილმა, მ. ტატიშვილმა, ვ. დუმბაძემ და 5 წლის ხ. ჩიკოიძემ. გახანგრძლივებული დღის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ე. სერგერიაშვილმა, თ. თხილაგამ, ე. ცხვარიაშვილმა და სხვ.

განაწილდა აგრეთვე მეორე და მესამე პრემიები.



თბილისის 34-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ხარატიაძე „ნაირის“ შესრულებისას.

პანიკური მღელვარება როგორც უარყოფითი უპეტოური პოქალურ პეისრულაგლოგაპი

ივეტა გერსამია

მომღმრწინის მღელვარება სცენაზე გამოსვლისას არა მარტო ბუნებრივი, არამედ სახურველი და სასარგებლოცაა. იგი სასიკეთო გავლენას ახდენს შესრულების გამოშახველობაზე, არიდებს მას უფერულობას, უსახურობას და ხელს უწყობს ემოციურ აღმაფრენას. მაგრამ ვერეთ წოდებული „დადებითი“ მღელვარების

გარდა, არსებობს პანიკური მღელვარებაც, რაც ხშირ შემთხვევაში საბეზღისწერია. ასეთი ლელვის გამო მომღერალს ფუტად ჩაუვლის ხოლმე საგანგებოდ ჩატარებული მთელი მოსამზადებელი სამუშაო. ამ დროს ირღვევა ბეგრათწარმოება. ჩნდება კუნთოვანი შებოჭილობა, ხშირდება გულისცემა, იკარგება სუნთქვა, მომ-

ღერალს ლალატობს მესხიერება, იგი ურევს ფრაზებს, ავიწყდება ის, რაც შედმიწვევით ჰქონდა დამუშავებული. ასეთი წარუმატებელი გამოსვლის შედეგია ძლიერი ფსიქიკური ტრავმა, რომელიც შემდგომში სულ უფრო ძლიერდება, თუ მომღერალმა იგი ვერ დასძლია, აგრეთვე იქნება სცენისადმი შიში, რომელიც ხშირად დიდი

ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებსაც კი აძილებს, უარი თქვან არტისტულ მოღვაწეობაზე.

აქად. ა. ს. ფრანგივილის¹ გამოკვლევები ნათელყოფენ, რომ პანიკური მდლევარების ფსიქოლოგიური არსი შეიძლება გასაგები გახდეს განწყობის თეორიის მექანიზმით (სიტყვა „პანიკა“ ხშირად იხმარება უმწეო მდგომარეობის, მომღერლის შესაძლებლობათა მიმართ რწმენის დაკარგვის გამოსახატავად).

„პანიკური მდლევარების“ მომენტში მომღერალი თავის შესაძლებლობებს აფასებს არა რეალური პირობების მიხედვით, არამედ იმ განსაკუთრებული „პანიკური მდგომარეობისა“, რომელშიც იგი აღმოჩნდება. ასეთი ემოციების ტყვეობაში იგი გონივრული თვითანალიზის ნაცვლად თვითარსებობას ემორჩილება.

„პანიკური მდლევარების“ მდგომარეობაში პიროვნების აქტივობა ქვეითდება (ამას ადასტურებს მრავალი მკვლევარი) და ნაცვლად გონებრივი აქტიურობის უმაღლესი ფორმის — შემეცნებისა (აზროვნება, მესხიერება და სხვა) და ნებელობისა, მომღერალს უვითარდება აქტიურობის ის საპირისპირო ფორმები, როგორცაა ფანტაზია და თვითშთაგონება.

რატომ არის, რომ ფანტაზია კიდევ უფრო უღვივებს მომღერალს მონათლადელონის გარდუგალობის შეგრძნებას. რა შედეგი ახლავს ამგვარ ფანტაზიას?

საქმე იმაშია, რომ მომღერალს ექმნება განწყობა მოსალოდნელი საფრთხისადმი თავის არიდებისა. თუ მომღერალი წინასწარ განსაზღვრავს და შეაფასებს თავის მომავალ გამოსვლას პანიკური განწყობით, მაშინ მის ჯანსაღ, რაციონალურ აზროვნებას შეეცლით ფანტაზია, ზოლო ნებაყოფილობით მოქმედებას — იძულებით.

„პანიკური მდლევარების“ მდგომარეობაში მომღერალს უქვეითდება ნებისყოფის აქტივობა, რის გამოც თანდათან ძლიერდება თვითშთაგონება. ფანტაზიის წყალობით მომღერალი კარგავს საკუთარი ძალები — საღმი რწმენისა და მობილწების უნარს ასე ვლინდება იძულებითი თვითშთაგონების მომენტი.

„პანიკური მდლევარების“ მიხედვით მომღერლის შინაგან მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. თუმცა, თავდაპირველად გასარკვევია რა ფსიქოლოგიური კუთხით უნდა მივედუღოთ მომღერლის საშემსრულებლო მდგომარეობისა. საქმე იმაშია, რომ მომღერალი თავის შინაგან „არსებით ძალებს“ თავს უყრის არა უშუალოდ გამოცვლისას, არამედ წინასწარ, რადგანაც საშემსრულებლო პიროცესი ისევე როგორც ყოველგვარი შემოქმედებითი პროცესი, ვითარდება გარკვეული ორიენტაციის ბაზაზე. საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის მზადების ფუნქციური შინაარსი, სხვა მხარეებთან ერთად, განსაზღვრავს მომღერლის შემდგომი მუშაობის მიმეტი.

მომღერლის საშემსრულებლო განწყობა ერთ ფოკუსში უყრის თავს მის შინაგან ძალებს და ამყარებს წინასწარობას მომღერალსა, როგორც ინდივიდსა, და რეალურ გარემოს შორის. ამრიგად, მომღერალი საშემსრულებლო მოღვაწეობაში ემყარება წინასწარი შეზღუდების საფუძველს. განწყობის ფსიქოლოგიური შინაარსი, როგორც საშემსრულებლო მოღვაწეობის წარმმართველი, განსაზღვრავს მომღერლის შინაგან მოთხოვნილებათა და ობიექტური სიტუაციის ურთიერთმოქმედებას.

კრიტიკულ მომენტში ამ ორი დეტალისა და მომენტის შეცვლა იწვევს მომღერლის განწყობის შეცვლას. „წინა-პანიკურ“ მდგომარეობას მიუკავება მომღერლის განწყობის შეცვლა. პერიოდინაცია, რის გამოც მომღერალი მომავალი სამიშროების დაწინაურებას ნაცვლად დამეუბნებს იწყებს თავის შესაძლებლობაში, მას იპყრობს უწყობის

განცდა (პანიკური განწყობა, პანიკური წინასწარმეზადება).

მაინც რა ხდება პანიკური განწყობის დროს?

მივმართო გერმანელ ფილოსოფოს ანტონ კეიდგერს², რომელმაც, ჩვენს აზრით, „პანიკური მდგომარეობის“ სრულ ანალიზს იძლევა.

წონამალურ მდგომარეობაში მომღერალს ფლობს თავის თავს, ე. ი. წინასწარ გამოუმუშავებული განწყობის საშუალებით და საკუთარი შეხედულების თანახმად წარმართავს თავის „მეს“. პანიკურ მდგომარეობაში კი მომღერალი კარგავს თავის თავზე ბატონობის უნარს, მას საკუთარი „მე“ ესმის არა თავისი თავიდან გამომდინარე, არამედ როგორც გამოვლილი, ან როგორც რეალურად არსებული გარე სინამდვილის ნაყოფი. მომღერალი იბნევა, მას იმორჩილებენ გარე ფაქტორები. ამის შედეგად იგი მსმენელის წინაშე წარადგენს არა საკუთარ „მეს“, არამედ ისეთ პიროვნებას, რომელსაც გარემო ქმნის. ეს უკანასკნელი იპყრობს და წარმართავს მომღერალს თავისი სურვილისამებრ.

რას შეუძლია იხსნას მომღერალი პანიკური მიმისაგან? იგი უნდა დაუბრუნდეს საკუთარ „მეს“ და არ ექვბოს იგი გარემოში. სწორედ მაშინ დაუბრუნდება იგი თავის თავს და მის მიერ წარმოდგენილი ობიექტური სინამდვილე (განწყობის ობიექტური ფაქტორი) და ასევე მისი პირადი საშემსრულებლო მოთხოვნილებანი (განწყობის სუბიექტური ფაქტორი) ისევ შეიკავრეიან ერთ მთლიან სიტუაციაში (განწყობაში), რომელიც, როგორც მოქმედების მომდელი, შეიძლება ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე შემოაბრუნოს შემსრულებლის შინაგანი სამართ. ამგვარად, „წინაპანიკური“ მომენტი ფსიქოლოგიურად უნდა გავიგოთ, როგორც განწყობის შეცვლის მომენტი.

² T. Heidegger, Sein und Zeit. S. Zauffl.

¹ А. С. Франгивили. Исследования по психологии установок. Изд. «Мединереба», Тбилиси, 1967.



გიორგი მდივანი

მოკმედი პირნი

შ ე ნ ი ქ ი ა მ ი შ ა

პირობული ღრამა

მიხილ ქახიმი — 64 წლის
 ახალგაზრდა მიხილ ქახიმი — 19-20 წლის
 გიორგი ივანელი — 35 წლის
 მარიამ შოროლიანი — ექიმი
 მამუკა — მისი ვეფი, სტუდენტი
 ხათუნა — სტუდენტი გოგონა
 ზურაბ შოროლიანი — იურისტი
 კათევან შოროლიანი — მისი მეუღლე
 ნინო — მათი ქალიშვილი
 ხანიკა — მეფოვე
 სთმავლიანი მოხატი — მეფოვეს ვეფი
 ივანე მათაშვილი — სახლის პატრონი
 მარიამ მათაშვილი — მისი მეუღლე
 სიმონი — მათი ვეფი
 თემო — კომკავშირის მდივანი
 გივი —
 ნუგზარი — { მამუკას ამხანაგები
 რამო
 დუღუჩავა — ჩეკის თანამშრომელი
 ჩეკისტები, ხალხი საყაყებით, სიმონის მეგობრები.

იხსნება ფარდა. სცენაზე საკმაოდ მოზრდილი ოთახია დიდი ბუხრით, ძველებური კართული ჩუქურთმებით, ჭერზე ჩამოკიდებული დიდი ქალით. ოთახი ნაწილია ყოფილი მდარეული ბინის, სადაც ახლა წიგნებით სავსე თაროებია. სამუშაო მაგიდა, დივან-ტახტი, კედელზე ფოტოსურათებია. მაგიდაზე უთავბოლოა და დაყრილი ჟურნალ-გაზეთები. ეს სტუდენტის ოთახია.

სცენის შუაგულში ახალგაზრდა ქალ-ვეფი კოცნის ერთმანეთს. ღია კარებში გამოჩნდება მომხიბლავი გარეგნობის ქალი, რომელიც უმაღლე გაბრუნდება, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაყვინოს ახალგაზრდები. ისმის ხმა სცენის გარედან.

მ ა რ ი ა მ ი. მამუკა!
 (გოგონა სწრაფად გაინთავისუფლებს თავს მამუკასგან. მაგრამ მამუკა ხელს წააგლებს ხელზე და არუმეებს).

მ ა მ შ უ კ ა. (თვალეში ჩასცქერის გოგონას) რა იყო, დედა!

მ ა რ ი ა მ ი. რომელი საათია?

მ ა მ შ უ კ ა. ათის ნახევარი.

ხ ა თ უ ნ ა. (ჩურჩულით) გამიშვი.

მ ა მ შ უ კ ა. (ხელეგში ჩაავლებს ორთავე ხელს) შემომხედე, აი, ასე, გესმის, აი, ასე შემომხედე!

ხ ა თ უ ნ ა. (ჩურჩულით) გიყვარვარ?

მ ა მ შ უ კ ა. ძალიან, ძალიან მიყვარხარ.

ხ ა თ უ ნ ა. მე კი არ მიყვარხარ...

მ ა მ შ უ კ ა. სტუდი, მე ხომ ვიცი, რომ გიყვარვარ!

ხ ა თ უ ნ ა. კო, მიყვარხარ, მიყვარხარ.

მ ა მ შ უ კ ა. აბა, მარცხენე, როგორ გიყვარვარ?

ხ ა თ უ ნ ა. აი, ასე (დახუჭავს თვალებს და შეკრავს მუტებს).

მ ა მ შ უ კ ა. მე კი უფრო მეტად მიყვარხარ.

ხ ა თ უ ნ ა. უფრო მეტად სიყვარული შეუძლებელია.

მ ა მ შ უ კ ა. არა, მე რომ შენ მიყვარხარ, იმაზე მეტად სიყვარული მართლაც შეუძლებელია. (ისევ ეხვევა და კოცნის).

შეშინებული ხათუნა გაუსხლტება ხელიდან, მივა მაგიდასთან და დაიწყებს ჟურნალ-გაზეთების თვალიერებას. ოთახში შემოდის მამუკას დედა, მარიამი.

მ ა რ ი ა მ ი. (თითქოს ახლა დაინახა ხათუნა პირველად) ააა, მოხედი, ხათუნა?

ხ ა თ უ ნ ა. (დარცხვნილი) დიახ, დეიდა მარო.

მ ა რ ი ა მ ი. გამარჯობა.

ხ ა თ უ ნ ა. გამარჯობათ, დეიდა მარო.

მ ა რ ი ა მ ი. (ალაგებს მაგიდიდან საუზმის შემდეგ დარჩენილ ჭურჭელს) ღმერთო ჩემო, არასოდეს წესიერად არ ისაუზმებს ეს ბიჭი... ხათუნა, ჩაის დალევ?

ხ ა თ უ ნ ა . გამდლობთ, დეიდა მარო, მე უკვე ვისაუბრე. მ ა რ ი ა მ ი . პო, მართლა, ჩვენ აგარაკზე მივდევართ ჩემს დასთან. ხომ წამოხვალ?

ხ ა თ უ ნ ა . დიდი სიამოვნებით, მაგრამ უხერხული ხომ არ იქნება... (სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო ხათუნამ, რომ დეიდა მარო უკვე ოთხიანი გავიდა)

მ ა მ უ კ ა . რა სისულელეა, მე მთელი დღით უნდა წამოყვანონ, შენ კი „უხერხული ხომ არ იქნება“ (აჯაყრებს ხათუნას)

ხ ა თ უ ნ ა . (არც უყურებს მამუკას და ისევ აგრძელებს ჟურნალ-გაზეთების თვალღებებს) რა აუცილებელია შენი აგარაკზე წასვლა, დარჩენილიავე!

მ ა მ უ კ ა . დედა მიხვობს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც წაიხდე დეიდასთან და აი, ეს ერთხელ სწორედ დღეს არის!

ხ ა თ უ ნ ა . (ათვლიერებს გაზეთებს და უკებ მოულოდნელობისაგან ჩაედება).

„გივი გულბანი დარჩა უთვალად!“ (აგრძელებს კითხვას) თორმეტი წლის ბიჭა ზურგინამა, მესხეთე კლასის მოსწავლემ, ფარიკაშის დროს უცაბედად ხის ხმლით თვალში ამოუღო თავის მეგობარს გივი გულბანს, სკოლის დამლაგებლის ნინო გულბანის ვაჟს!“ (შემობის მარიამი, ჩერდება და უსმენს ხათუნას).

მ ა მ უ კ ა . (ხათუნას უკან დგას და აგრძელებს კითხვას) „ბიჭუნა მიიყვანეს მესტიის ცენტრალური საავადმყოფოში, მაგრამ, როგორც ექიმებმა დაასკვნეს, ავადმყოფში დაზიანებული აქვს თვალის რქოვანი გარსი და ბიჭუნა დაბრმავდება.“

მ ა რ ი ა მ ი . აი, რა მოყვება ხოლმე ბავშვების ცულქობას.

მ ა მ უ კ ა . (გამოსტაცებს ხათუნას გაზეთს და განაგრძობს) „მე ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, რომ ჩემი დანაშაულით გივი დაბრმავდა. გმხოვთ, მოგვეხმაროთ, რამდენი კარგი მკურნალია ჩვენს ქვეყანაში, ნუთუ არ შეიძლება გივის სინათლე დაბრუნდეს? მე ვიმოწმებ მთელი წელი, ორი წელი, რამდენიმე საჭირო იქნება, სულ ვიმოწმებ! მოვარგოვებ ფულს. რომ გივისა და დედამის თბილისამდე ეყუთ სამეზავროდ. მოგვეხმარო, რომ გივის ალუღაქს მხედველობა, თორემ თავს არ ვიცოცხლებ.“

ეს ბარათი წამოიჭობა მესტიის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ნიკარაძემ. თან მიხვრა, ალბათ გივის მხედველობა აღარ დაუბრუნდებაო, მაგრამ თქვენ გესმით 12 წლის ბიჭა ზურგინაის ტრაგედია? იგი არ ტოვებს მას მარტო არც ერთი წუთით...“

ხ ა თ უ ნ ა . ღმერთო ჩემო, რა უბედურება!

მ ა რ ი ა მ ი . ორთავე ბავშვი ცოცხლა, პირდაპირ საშინელება!

მ ა მ უ კ ა . დედა, ნუთუ მართლა არ შეიძლება მისთვის სინათლის დაბრუნება?

მ ა რ ი ა მ ი . არ ვიცი, ალბათ ბიჭი გასინჯეს გამოცდილმა საექილოისტებმა, მათ უკეთ იცინან.

მ ა მ უ კ ა . (უკებ) ტატიშვილს რომ ვკითხოთ?

მ ა რ ი ა მ ი . რას ამბობ, უხერხულია.

მ ა მ უ კ ა . რა არის უხერხული, შეიძლება ამაზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე.

მ ა რ ი ა მ ი . (სიყვარულით) წარმიდღინე, შვილო, რა დღემ ჩავარდება ბატონი ვანო. ყველა თბილისელმა რომ დაურევოს, ვინც ამ სტატიას წაიკითხავს?

მ ა მ უ კ ა . რა იქნება? არაფერიც არ იქნება (პასუხის მოლოდინში უყურებს ყველას).

ხ ა თ უ ნ ა . (აღღებებული) რასაკვირველია, არაფერიც არ იქნება (მაგრამ უკებ ცდილობს გამოასწოროს) თუმცა, შეიძლება მართლაც უხერხული იყოს, დღეს ხომ დასვეწმების დღეა.

მ ა რ ი ა მ ი . შესაძლია სახლშიც არაა, აგარაკზე იქნება წასული.

მ ა მ უ კ ა . იქნებ შეინა (იღებს ყურმილს და კრეფს ნომერს).

მ ა რ ი ა მ ი . მოიცა, რას ჩადი (წავალო მამუკას ხელი) სათქმელი მაინც მოვიფიქრო.

მ ა მ უ კ ა . (ყურმილს აძლევს ტელში) უთხარი, რომ შენი ახლობელის ბავშვმა დაკარგა მხედველობა.

მ ა რ ი ა მ ი . (დამბეულად) ქალბატონი თამარი ბრძანდებით? გამარჯობათ, მარიამ ჭორჭოლიანი გახლავართ... პროფესორი ალბათ აგარაკზეა?... სახლშია? მართლა?... (მამუკას გულმოსული) როგორ შეიძლება ასე?

ხ ა თ უ ნ ა . (ჩურჩულით მამუკას) ვინ არის?

მ ა მ უ კ ა . ცნობილი ავადმყოფისა, თვალის ექიმი.

მ ა რ ი ა მ ი . (იღიმება) ბატონი ვანო, გამარჯობათ!.. არა უშავს, კარგად, გამდლობთ! მაპატიეთ, ბატონო ვანო, რომ გაუხელო. ჩემი ახლობელის ვაჟს მესტიამ უხედურება შეუმთხვა, იტყობინებთან, რომ თვალის რქოვანა აქვს დაზიანებული... მითხარო, ბატონო ვანო, უიმედო მდგომარეობა?... (უსმენს, პაუზის შემდეგ) დიდი მადლობა, ნახვამდის (ღებს ყურმილს).

მ ა მ უ კ ა . რაო?

მ ა რ ი ა მ ი . რაღაც ადგილობრივმა ექიმებმა ასე დასკვნეს, ალბათ, უშეძლოა. მაგრამ, მაინც ჩამოიყვანონ დამე ყველა ზომას მივიღებო.

მ ა მ უ კ ა . პოდა, ახლავე გამოვიუძახებო.

მ ა რ ი ა მ ი . ვის?

მ ა მ უ კ ა . რა თქმა უნდა, დედა-შვილს.

ხ ა თ უ ნ ა . ძალიან კარგი იქნებოდა.

მ ა რ ი ა მ ი . რა გულუბრველობით ხართ, ხომ არ გავიქვით... (მამუკა და ხათუნა არ აცლიან ლაპარაკს)

მ ა მ უ კ ა . მე მაქვს ფული, თუ ნებას მომიცემენ...

ხ ა თ უ ნ ა . იცე მაქვს.

მ ა რ ი ა მ ი . (მხრები აიჩრება) ფული შენია, შენ თვითონ დადგაროვე.

მ ა მ უ კ ა . (მიდის წიგნებთან) მესტია. მაღალმთიანი რაიონი. რა სიმამლეზეა, ნეტავ, ზღვის დონიდან? დედა, სადა მატლას?

მ ა რ ი ა მ ი . ბიძია მიშამ წაიღო გუშინ.

მ ა მ უ კ ა . (გარბის ოთახიდან, თან იძახის) ძია მიშა... ძია მიშა...

მ ა რ ი ა მ ი . (მამუკას თვალს გააყოლებს) რა სულწასულია.

ხ ა თ უ ნ ა . იქნებ მართლაც აღუდგინონ ბიჭს მხედველობა.

მ ა რ ი ა მ ი . ყველაფერი შესაძლებელია (სუფრას დაუწყებს სწორებას).

შემობის მამუკა ატლასით ხელში. მას შემოეყვება მიხეილ კახიძე. სრულიად გათვითრებული მოხუცი. მიუხედავად მოხუცებულიობის, მის მოლოდინს, კეოსილი თვალზე ჩერ კიდევ ახალ-გაზრდულად გამოიურებინან. მას აცვია კარგად შეკერილი, დიდი ხნის ნახარის კოსტუმი, ქაოქაო თეთრი პერანგი პალსტუხით და სარკესივით გამართებული ფულსამკებელი, ატარებს ჭიბის საათს, თოჯინის ჭიბიდან მოინანს მოუღ მუწკვი.

მ ი ხ ე ლ ი . დილა მშვიდობისა, ქალბატონო მარიამ.

მ ა რ ი ა მ ი . მშვიდობა მოგკეთ ღმერთმა.

მ ი ხ ე ლ ი . სანებთის მიერის დალაშქრებს ხომ არ ამირებს ჭაბუკი?

ხ ა თ უ ნ ა. (მორიდებულად) მესტიაში ცხოვრობს ბიჭი, რომელმაც მხედველობა დაკარგა.
 მ ი ხ ე ი ლ ი. დიახ, დიახ, წაივითხე, უბედური შემთხვევა... (ხათუნას) რა გქვიათ თქვენ?
 ხ ა თ უ ნ ა. ხათუნა.
 მ ი ხ ე ი ლ ი. კარგი სახელია ხათუნა (ჩამოართმევს ხელს).
 მ ა რ ი ა მ ი. მამუკამ გადაწყვიტა გამოუძახოს დედა-შროს მესტიიდან, ჩამოიყვანოს თბილისში და აჩვენოს მოიფეროს ტატიშვილი.
 მ ი ხ ე ი ლ ი. კარგია... სწორი გადაწყვეტილებაა. რას იტყვი, ხათუნა, სწორია?
 ხ ა თ უ ნ ა. დიახ, ბატონო.
 მ ი ხ ე ი ლ ი. მერე და ფული? იმ ბიჭის დედა ხომ დამლაგებელია. „დამლაგებელი სკოლაში“, ასე სწორია. ჰოდა, რა დანაზოგი უნდა ჰქონდეთ მათ.
 მ ა მ უ კ ა. ფული მე მაქვს, ბიძია მიმა.
 მ ი ხ ე ი ლ ი. საკუთარი?
 მ ა მ უ კ ა. საკუთარი.
 მ ი ხ ე ი ლ ი. ფული რომ მქონდება, ალბათ მეც შენსავით მოვიტყულო, რასაკვირველია, თუ მოვიფერებდი (ეღიბება). შესაძლოა ვერც მოიფიქრებინა, იქნებ კიდევ, ასე არ არის, ხათუნა?
 ხ ა თ უ ნ ა. (დარცხენილი იღიბება) არ ვიცი.
 მ ი ხ ე ი ლ ი. (საქმიანად) ახლა როგორ მოვიტყუო?
 მ ა რ ი ა მ ი. გაუგზავნით დეკემბრს ბავშვის დედას, რომ ბიჭი ჩამოიყვანოს ჩვენთან.
 მ ი ხ ე ი ლ ი. დეკემბე კი არა, ქალბატონო მარიამ, წერილი უნდა გაუგზავნოთ, ავიადვილო, რომელშიც დეტალურად აუხსნით საცოდავ ქალს, რომ თქვენ მას იწყვეთ თბილისში, რათა ბიჭი აჩვენოთ ცნობილ სპეციალისტს, რომ თქვენ ყველაფერს იღიბებთ მათთვის. თუ გნებავთ, მე დაგიწერთ ასეთ წერილს.
 მ ა რ ი ა მ ი. დიდად დამავალბეთ, ბატონო მიხეილ.
 მ ი ხ ე ი ლ ი. დიდი სიამოვნებით (სიყვარულით მოეფერება, თავზე ხელს გადაუსვამს, მამუკას ეღიბება) ესე იგი, მეც ამ საქმის მონაწილე ვხდები (მიღის კარნახსავე, მისი მზერა მოხვდება ორ სურათს, ერთ-მანეთის გვერდით რომ ჰქვიდა კედელზე. ეს სურათები ღამისი ახალგაზრდა ქალისა და კაცის — საბჭოთა არმიის კაპიტნის, რომელიც ძალზე ჰყავს მამუკას).
 მ ა რ ი ა მ ი. ეს მამუკას ბებიია, ქალბატონი ნინო... მე მას არ მოგსწრებია... ეს კი ჩემი ქმარია, მამუკას მამა, კაპიტანი იყო. ბერლინთან დაიღუპა ომის უკანასკნელ დღეებში ბრმა ტყვიით.
 მ ი ხ ე ი ლ ი. ე... ძლიერ დასანანია. მით უფრო დასანანია, რომ ეს მოხდა ომის უკანასკნელ დღეებში (ერთხელ კიდევ შეხედავს სურათს და გადის).
 ხ ა თ უ ნ ა. (თვალებით აცილებს მიხეილს) ვინ არის ეს მოხუცი?
 მ ა რ ი ა მ ი. ჩვენი ახალი მეზობელია, ახლახან ახალი სახლის ორთახიანია ბინა გაცავდა ერთოთახიანზე ჩვენს ბინაში, უცნაური კაცია, არა?
 ხ ა თ უ ნ ა. (იყინის) პირდაპირ წარმოუდგენელია.
 მ ა რ ი ა მ ი. ჩვენი ბინიდან წავიდა სამი აუტანელი ადამიანი, მოვიდა მხოლოდ ეს ერთი. ჯერჯერობით კარგადაა საქმე, ფუი ეშმაკი, არ გაეთვალა. არავითარ გაუგებრობას ადგილი არა აქვს, პირიქით, ცდილობს მოეგებოს, გამოგადგვს რაიმეში. შემდეგ რა იქნება, ვინ იცის (გადის ოთახიდან). მამუკა წაველებს ხელს ხათუნას, ეხევა და კოცნის).
 ხ ა თ უ ნ ა. უხერხულია... დედა დაგვიანავს...

მ ა მ უ კ ა. დედა ეშმაკი ქალია... იგი ყველაფერს ხედავს! შენ გგონია, არ იცის, რომ ჩვენ ახლა ვკოცნით ერთმანეთს? იცის...
 ხ ა თ უ ნ ა. მართლა?
 მ ა მ უ კ ა. სინდის გვეცივები (იხეუ ეხევა და კოცნის).
 ხ ა თ უ ნ ა. გამიზრო (გავსდებტბა ხელიდან).
 (შემოდის მარიამი საწოლზე დასველებული ხარხარით).
 მ ა რ ი ა მ ი. აბა, წაიდე თ ხათუნა!
 ხ ა თ უ ნ ა. კი მაგრა... უხერხული ხომ არ იქნება...
 მ ა რ ი ა მ ი. (არ აცლის) არავითარი უხერხელობა, აბა რა არის აქ უხერხული, წაიდე თ, უფრო მზიარულად ვიქნებით.
 მ ა მ უ კ ა. წაიდე თ, წაიდე თ, თორემ ძალიან ცხელია (თვალს ჩაუკრავს ხათუნას, იღებს ჩანთებს და მიყვება ხათუნას და დედას)
 ისმის გართა კარის მიჯახუნება, რამდენიმე ხანს სიჩუმეა.
 შემდეგ კარზეც კაცური ისმის. კაცური მეორდება, კარები იღება და გამაჩრდება მიხეილს.
 მ ი ხ ე ი ლ ი. (შემოდის ქალაღლით ხელში) შეიძლება?... წასული... (რადაც განსაკუთრებული ინტერესით ათვალავს ირგვლივ ყველაფერს, მიდის მეორე კარებთან, შედის მეორე ოთახში).
 რამდენიმე ხანს ოთახი ცარიელია.
 მ ი ხ ე ი ლ ი. (ბრუნდება. ვაწყვეტილივ ათვალავს ერთხანს, გაუგებარია, რა უნდა ამ კაცს აქ. ეტყობა, თუქონდა არ არის. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს რაღაცა ეძებს ამ ოთახში. ათვალავს კედლებს ნივთებს... დიდხანს უუფრებს ძველებურ ქალს. მივა ბუხართან, ხელით ეხება ჩუქურთმებს. ჩერდება ღამაში ქალისა და მისი შვილის სურათებთან, ჯიბიდან ამოიღებს ქათვლა ცხვრისასხეს და დაუწყებს წმენდას სურათების შემოქმედს. ჩურჩულით) ბიძია... ბიძია... გამარჯობა ნინო! ნინო! კომუნისტური წლის წინათ პირველად შემოვივდი ამ ოთახში. გახსოვს, ნინო? გახსოვს? და აი ორმოცდაექვსი წლის შემდეგ იხეუ აქა ვარ, აქ, შენთან. (აღურსიანი ჩურჩულით) გახსოვს, შენ ამბობდი, „ჩუხა, დედა გაიგონებოს!“ (გაეცინა) „დედა გაიგონებოს!“ (თავი გაიქნია, შებრუნდა, მივიდა მავალთან, დაეყრდნო ხელებით და მაყურებელს მიმართავს).
 დიახ. ადამიანს შეუძლია იცინებოს, იფანტაზიროს, მოიგონოს, მაგრამ თუ თქვენ შემგვითხებით მე, უკვე მოხუცე, დასაბირებულ, ბედგაუკუღმართებულ მიხეილ კახიძეს, მინდა თუ არა დაიბრუნო ჩემი ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა, ძალია, ენერჯია, დაევიბრუნო ჩემი შეყვარებული გოგონა, ოცნებები, მე დევენი ვიპასუხებთ: „არა, არ მინდა!“ იმიტომ რომ, მე დავეცარაველ უფრო მეტს, ვიდრე ახალგაზრდობა. მთელ ჩემ სიცოცხლეს. დიახ, ბევრი ვერ გამოვიტყუო, მაგრამ მე არ გამტყუნებ მათ. ბევრს შეუძლია დამაციონოს, „რას მიაღწია მიხეილ კახიძემ?“ რა მიიღო მან თავისი მიფათი საცეს, მებრძოლი ცხოვრების სანაცვლოდ — მარტოხელა მიხეილ კახიძის, სამჯერ ტყვიით დახვრებული ფილტვები, გადამტყვეველი ფეხები, მოხუციის უძილო ღამეები, ავადმყოფი გული, ჟენსია და ცალკე ოთახი კომუნალურ სახლში. არა, ვინც ასე ფიქრობს ჩემზე, მან არ იცის ცხოვრების სიხარული. (პაუზა). დიახ, მეც ამ სახლში ვავიზარდებ, ისე, როგორც ჩემი მამუკა... თქვენ არ იცით, რისთვის ვეძებ ჩემს „ჩემსა“ მამუკა ჩემი შვილიშვილია? დიახ! ჩემი დიდიძი შვილის, ადგილის შვილი (შეხედავს კაპიტანის სურათს), რომელიც დაიღუპა ბერლინთან ომის უკანასკნელ დღეებში. „ბრმა ტყვიით“ (ჩაი-

ცინებს) „ბრმა ტყვია“... არიან ისეთი გულბრწყვილონი, რომლებსაც სჯერათ, რომ ომში არსებობს „ბრმა ტყვია“. დაე, გვნოთ ასე, თუ ამით გულს იმშვიდებენ (მევა სურათთან). ეჰ, ნინო, ნინო, ვიყავით მე და შენ ბედნიერები? ვიყავით! ვიყავით, ნინო! და არავინ ჩვენეი სისარულის, ჩვენი ბედნიერებისა არა იცოდდა. ვიყოფით მხოლოდ მე და შენ, შენ და მე

და ბ ნ ე ლ ე ბ ა

თბილისური ეზო. ქართული ორნამენტებით ნაშენი ხუთსართულიანი სახლი. აქ დღემდე შენარჩუნებულია ზის მოგძობ სკამები, ეზოც ხოთა შემოღობილი. წყალსადენი და სხვა დანარჩენი კი ახლებურია. სკაზე სხედან მიხეილ კახიძე და სათვალაიანი მოუცი, რომელსაც ნაყრისფერი ქუდი (უპა) ახურავს.

ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. პენსიას ლებლობ?
 მ ი ხ ე ი ლ ი. დიახ, ჯღებულობ.
 ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. რასაკვირავლია, უკენსიოდ ვარ შეიძლება! რამდენს ლებლობ?
 მ ი ხ ე ი ლ ი. ვიბრულობ, რამდენიც შეკუთვინს.
 ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. ეს კარგია! ძალიან კარგი... თუ-აი „რამდენიც გეკუთვინს“...
 მ ი ხ ე ი ლ ი. თქვან დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?
 ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. დიდი ხანია, დღიდან ჩემი დაბადებისა!...

მ ი ხ ე ი ლ ი. და სულ ამ სახლში?
 ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. დიახ, ზუსტად ამ სახლში! მამარჩემი აქ მეფეოვით მუშაობდა... (იყინის) ორი სიკვდილი, პროლეტარული წარმოშობის ვარ! მე აი აქ წყლისათვის ოსტაკად ვმუშაობდი და მაქვს ორმოცდარეწი წლის მუშაობის სტაჟი. აი, ასეთია საქმის ვითარება.

მ ი ხ ე ი ლ ი. ამ სახლის მემპარონები თუ გახსოვთ?
 ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. მავაშვილები? ის დაწველილები? ვინ არ იცნობდა მათ თბილისში. მდიდარი სახლი იყო... ყოველ ახალ წელს მამარჩემს ნაირნაირ კამათებებს აძლეოდნენ სარქქრად, რომ არჩადა ვმსახურებო. ვმშაი იყო ჩვენი ბატონი, უსინდისი.
 მ ი ხ ე ი ლ ი. კახიძეები თუ გახსოვთ, ისინიც მავაშვილებთან ცხოვრობდნენ?

ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. კახიძეები?... ჯანა ყველას დაიმახსოვრებს ააი? არა... სახლი დიდაა, აქ ბევრი პარტიოსანი ცხოვრობდა და ბევრი უსინდისოა (უყურებს ჯიბის საათს), ოპო, რ დრო გასულა, წავიდეთ, მიხა!

მ ი ხ ე ი ლ ი. (უსწორებს) მიხეილი, თუ გნებათ მიშა.
 ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. წავიდეთ, მიშა, გავერთით, დომინო ვითამაშოთ.

მ ი ხ ე ი ლ ი. მავ თამაშით არა ვარ გაბაკცებული.
 ს ა თ ვ ა ლ. მ ო ხ უ გ ი. აი, მე რას გეკვჩვი (ხეწვით დედას სკამიდან) მოწყინები ცხოვრება ჭკინია, მე-გობართ... რაღა პენსიონერი ხარ, დომინოს თამაში თუ არ გიყვარს (მიდის).

მ ი ხ ე ი ლ ი. (მწარედ გაიომა) „პროლეტარული წარმოშობისა! მახსოვს, რაოივ! კარგად მახსოვს! მამაშენი ხარკავ კარგად მახსოვს, მე არაფერი დამეწვიყვია! მე ყველაფერი მახსოვს, ყველაფერი!... (მავრებელს) აი, აქ (უთითებს ხელით) მამარჩემი ცხოვრობდა. სკამის მუშა ნიაოლოზ კახიძე (უთითებს სათაყ წვადი სათვალაიანი მოხუცი) არ ახსოვს მამარჩემი.. ახსოვს! დედაჩემს სალომე ერეკლე... მე დედის-ერთა ვიყავი... რომ შემეძლოს თქვენთვის იმ ფოტო-

სურათების ჩვენება, თვრამეტი წლისა რომ ვიყავი, იტყვიდით, რომ ეს ფოტოსურათები ჩემი შვილი-შვილის მამაკაცია, რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ. მართალია, მასზე მაღალი, მხარბეჭიანი ვიყავი, მაგრამ სახით ზედგამოჭრილი მამაკაც! არა... ნუ გავიკვირდებით, თუ ახლა ჩვენი საერთოს ვერ ხედავთ. მე მივემდინე რკინის წნელებით, მოვლავდნენ წიხლებით, მუშტით მიღწუნება ყებეს! მე გადაიტანე ყველაფერი, ყველაფერი, რისი ატანაც შეუძლია ადამიანს! მაგრამ, როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ! და არა მარტო ცოცხალი, არამედ ძალიან ბედნიერი! პატონოებო გეფიცვებით, რომ ბედნიერი ვარ! (გულმოსულად გაიმედვს იქით, საითაც სათვალაიანი მოხუცი წვადი და წამებურყენებს) „პროლეტარული წარმოშობისა!“... ქვეყნმავალი, მამაძალი... (მობრუნდება მავრებლისკენ) ეს სახლი ორმოცდაათი წლის წინათ ასევე იდგა აქ, როგორც დღეს... სახლის მფლობელინი, მავაშვილები, ცხოვრობდნენ მეთხუთსართულზე, და-ნარჩენი სართულები ეტრათ ვეიმებს... ინფირებს... იურისტებს... სახელმწიფო მოხელეებს და, ერთ სიტყვით, საქმიან ხალხს. მათ ჰქონდათ დიდი, მდიდრული ბინები. ეს სახლი მიუღ თბილისში განსაკუთრებული იყო... მამარჩემი მცირე ხელფასს ღებულობდა... მოშლები წვლებზე ფეხს იდგამდნენ, არაფერს მაკლებდნენ და ცდილობდნენ ჩემთან კაცი გამოსულიყო. მიმბარეს კიდევ თბილისის უნივერსიტეტში.

და ბ ნ ე ლ ე ბ ა

იმავე სახლის ეზო, 1921 წელი.
 ეკლავიური ისევა, მხოლოდ ჩამოკიდებულია დიდი აუზრული ქიშკარი, იმავე სკაზე სხედან მოხუცი მიხეილ კახიძე და ახალგაზრდა მიხეილ კახიძე სტუდენტურ ფორმალში. ერთი და იგივე გზით სიბერესა და ახალგაზრდაობაში. ახალგაზრდა მიხეილის როლს თამაშობს იგივე მსახიობი, ვინც ანსაზიერებს მამუკას.

მ ო ხ უ გ ი მ ი ხ ე ი ლ ი. რასაკვირველია, მე არ ვიყავი ისეთი გასუქებული, როგორც ამჟამად! მე ვიყავი სუსტი და უფრო მაღალი, უფრო მაღალი, ვიდრე მამუკა, ამიტომ არ კავებირდებოდა, წარმომიდგინოთ ახალგაზრდაობაში... მე გწერდი ლექსებს...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ი ხ ე ი ლ ი. მიყვარდა გალაკტონი.
 მ ო ხ უ გ ი მ ი ხ ე ი ლ ი. „შეუე თბიბათვისა, მწუხ თბიბათვისა,

ლოცვად მუხლმომყრილი გრალს შევედრები...
 ლოცვად მუხლმომყრილი გრალს შევედრები...
 ეჰ, დამავიწყდა!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ი ხ ე ი ლ ი. (ალფრედოვანებით) „იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე — ამას გვევდრები“...

მ ო ხ უ გ ი მ ი ხ ე ი ლ ი. დიახ, ძალიან მიყვარდა ლექსები!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ი ხ ე ი ლ ი. და გწერდი ლექსებს, თან ვიცნობდი გამომსილცივი ავიატორი.

მ ო ხ უ გ ი მ ი ხ ე ი ლ ი. მახსოვს, პირველი თვითმფრინავი, რომელმაც თბილისს თავზე გადაუფრინა და ისე ამიტგარა გული, რომ ამის რადიოცემა მენდლებდა! ეს მარტო სისარული კი არა, რაღაც უფრო მეტი იყო, სისარულზე უფრო მეტი გრძობდა... მინ რომ დაებრუნდი მფრინავზე დაწვერი ლექსი, რომელიც ვაგუკითხე ღედას... ან მახსოვს სიტყვები, მავარა ერთთ

რამ არ დამეწყინა! დედას გაეღიმა და თავზე ხელი გადამისვა... მერე...

ახალგაზრდა მიხეილი. მერე ეს ლექსი წაუკეთებინოს.

მოსუცი მიხეილი. ის მესამე სართულზე ცხოვრობდა, თითქმისდამეჩვიებოდა თანში... იქ, სადაც ახლა ვცხოვრობ მე და ცხოვრობენ ჩემი მამაყა და ჩემი მარიამი. დიას, ისინი ჩემები არიან. ნინოს მამა, ზურაბ ქორეოლიანი, განთქმული ვეკელი იყო. ნინოს ჰყავდა პატარა ძმა, მე მას გამოვლევდა:საფრის ვამზადებდი და ხშირად ვიყავი მათთან სახლში და ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღეები ჩემს ცხოვრებაში!

ახალგაზრდა მიხეილი. ჩემი ლექსები ძალიან მოსწონდა ნინოს და მეუბნებოდა, რომ მე დავდეგე-რდი დიდი პოეტი, არ მირჩევდა სამხედრო განათლების მიღებას, მეუბნებოდა „საშიშო პროფესიაა“.

მოსუცი მიხეილი. (ამობინება) „საშიშო პროფესია“... საშიშო პროფესია... იმიტომ არჩევნებოდა, რომ მაშინ თბილისში არეულობა იყო... ხშირად ღამ-ღამობით ისმდა სროლა: ჩეჩისტები აპატიმრებდნენ კონტრრევოლუციურ ბანდებს.

ახალგაზრდა მიხეილი. ჩვენს სახლში... მეორე სართულზე, აი, იქ, სადაც ორი ფანჯარა... ცხოვრობდა „საშიშო პროფესის“ კაცი...

მოსუცი მიხეილი. მასლავს გიორგი იშხნელი...

ახალგაზრდა მიხეილი. დიას, კომუნისტური გიორგი იშხნელი, ისიც მამასთან ერთად მუშაობდა რეაბილიტაციის ცენტრში, ყველას გაუკვირდა, როცა გაიგეს, რომ ის რევოლუციონერი იყო.

მოსუცი მიხეილი. და იცით, ყველაზე გაუბოდიხენ მათთან შეხედრას... უმინოლათ მათთან საუბრის... ის ამას გრძობდა! „ჩეჩისტები ცხოვრობს ჩვენთან სახლში“, შემინებულ რურჩულბდნენ ქალები ზედა სართულებიდან...

ახალგაზრდა მიხეილი. არა, პირადად მე არ მეწილობდა (ჩაფიქრდება). არ ვიცი, ალბათ მეწილობდა... ვცდილობდი, არ შეხვედროდი პირისპირ...

მოსუცი მიხეილი. ის ხშირად არ ათევედა სახლში დაბნეულ... კომუნისტებს მაშინ უჭირდათ, ძალიან უჭირდათ!

ახალგაზრდა მიხეილი. ერთ საღამოს ვხივარ აი აქ, ამ სკამზე, და ველოდები ჩემს ნინოს. და უკვებ, ნაბიჯების ხმა! ვხედავ, მოდის ეს „საშიშო პროფესის“ კაცი.

ქმურბიდან შემობრუნებული ტუავის ჭუბაში გამოწყობილი ოცდა-ბოთხობიერი წლის კაცი. ჭრბიდან გამოშვებოდა მარჯვნივ ხის ბუდე. სამოქალაქო ომის დროს, თავზე კეპა ახურავს, რამდენიმე დღის პირგაუპარსავია, დეკომა ძლიერ დაღლილ-დაქანცულია. ჩერდება სკამთან.

გიორგი იშხნელი. გამარჯობა, მიშა!

ახალგაზრდა მიხეილი. (მოკრძალებით დგება) გაგიმარჯობო, ბატონო გიორგი.

გიორგი. (მთხვევს მიშას ხელებს და მასთან ერთად ერთად ჯდება სკამზე) როგორაა შენი საქმეები? დიდი ხანია ერთმანეთი არ გვიხანავს.

ახალგაზრდა მიხეილი. არაუშავს... ინსტიტუტი... გამოვლდები... ყველაფერი ისეა, როგორც სტუდენტს შეეფერება.

მოსუცი მიხეილი. გიორგის ერთი თვისება ჰქონდა — შენთან საუბრისას ყველაფერს ათავსებოდა გარშემო! და ეს მე, რატომღაც, მანერეულებდა.

გიორგი. როგორ არიან მამა და დედა?

ახალგაზრდა მიხეილი. არაუშავთ, ცოცხლობენ!

გიორგი. ცოცხლობენ. ცოცხლობენ...

მოსუცი მიხეილი. მე მინდოდა შეთქვა, რომ ის სხვაგვარად, შევცლილი გამოიყურებოდა, მაგრამ... რატომღაც ვერ გავხედე. შემეშინა და თუ უხერხულად ჩავთვალე, ამას ვერ გეტყვი...

გიორგი. (შეხება ახალგაზრდა მიშას) ესე იგი გამოვლდები? (მოულოდნელად) მიშა, შენ კომკავშირელი ხარ თუ არა?

ახალგაზრდა მიხეილი. თითქმის შეშინდა ამ კითხვის (პაუზის შემდეგ) დიას, კომკავშირელი ვარ. გიორგი. ეს კარგია, მიშა! ახლა ჩვენ ძალიან გჭირდება შენისთანები, კომკავშირელები (შემდეგ ჩუმად ეკითხება) შენ ხშირად ხვდები სიმონ მაყაშვილს?

ახალგაზრდა მიხეილი. სიმონს?

გიორგი. კი!

ახალგაზრდა მიხეილი. კი, დღეს ვხვები.

გიორგი. მასთან ჭრელი ახალგაზრდობა დადის... ასე არ არის?..

ახალგაზრდა მიხეილი. მშ... არ ვიცი...

მოსუცი მიხეილი. შე ვიცი, რომ მასთან ხშირად დადიან მეგობრები... ისინი დღესაც იყვნენ, მე ვხვები ისინი, მაგრამ შეშინდა შეთქვა ყოველივე ეს. ის მიხვდა, რომ მე ვივრუე, ძნელი იყო ტყუილის თქმა გიორგი იშხნელისთვის. მე გეგონა, ის ყოველთვის ხვდებოდა ყველაფერს. მან იცოდა, რომ მე ვივრუე, იმიტომ კი არა, რომ ვემგობობდი სიმონთან და ვფარავდი მას, არამედ იმიტომ, რომ მეწილობდა მცოდნედა ის, რაც შეიძლებოდა სკოლდან გიორგის.

გიორგი. თვალთ გეჭირის, მიშა! გაივტე, მიძიმე დროა!.. ისინი ყველაინ მზად არიან მისხლში ჩაახშონ ჩვენი რევოლუცია! გესმის აქ? შენი რევოლუცია, შენი კომკავშირი.

ახალგაზრდა მიხეილი. მესმის, ბატონო გიორგი.

გიორგი. (ჯიბიდან იღებს პაპიროსს, არ აწოდებს მიშას და ეკითხება) ეწვევი?

ახალგაზრდა მიხეილი. არა, არ ვეწვევი.

გიორგი. კარგია, რომ არ ეწვევი (სამომენებით გააბოლა, მიჭუტა თვალები, პაუზის შემდეგ მოულოდნელად) კი, მართლა, ნინო როგორ არის?

ახალგაზრდა მიხეილი. (შეკუმუნებული) როგორი ნინო?

გიორგი. ჩემი აზრით, სიმონ მაყაშვილი ნინოს გულჯრობდა არ უყურებდა. შენ ბავშვი არა ხარ... პატიოსნებას გეუცხობ, იმიტომ კი არ გუებნები, რომ გაეჭვიანი! უხასარი ნინოს... არა, არ უთხრა, უბრალოდ აგრძობობზე, რომ სიმონს, მამამისსა და მათ მეგობრებს სხვა გზა აქვთ...

ახალგაზრდა მიხეილი. ნინო აქ რა შუაშია? გიორგი. ნუ ცხარობ!

